

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნინო ოყრეშიძე

**წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციები ინგლისურსა
და ქართულ ენებში**

10.02.04 _ გერმანიკული ენები

დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მადონა მეგრელიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

ქუთაისი

2010

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციათა შეპირისპირებით (კონტრასტულ) ანალიზს ინგლისურსა და ქართულ ენებში. ამ ნიშნით ჩატარებულმა სამეცნიერო კვლევებმა დაადასტურა, რომ ენებს შორის კონტრასტული ანალიზი ბევრ შემთხვევაში გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე შიდაენობრივი, რადგან იგი საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ ამა თუ იმ ენის ისეთი თავისებურებები, რომელთა დადგენა ძნელი იქნებოდა მხოლოდ ერთი ენის კვლევისას. არამონათესავე ენების კონტრასტული შესწავლა ადგენს ფუნქციურ მსგავსება-განსხვავებას ორ ენას შორის და განსაზღვრავს იმ კატეგორიათა ფუნქციობის თავისებურებას, რომლებსაც მატერიალური გამოხატულება მსგავსი არა აქვთ.

კონტრასტული ანალიზის პრინციპები და მეთოდი განსხვავებულია, რადგან შეპირისპირების საფუძველი ცნებათა კატეგორიებია, რომლებიც შესაპირისპირებელ ენებში ამა თუ იმ გამოხატულებას პოულობს. კვლევის საფუძველად ცნებათა კატეგორიები მხოლოდ იმიტომ შეიძლება იქნეს გამოყენებული, რომ მათ ენობრივი კატეგორიები შეუძლიათ განასახიერონ. თუმცა, ცნებათა კატეგორიები მხოლოდ გრამატიკული ფორმებით კი არ გადმოიცემა, არამედ მთელი რიგი სხვა საშუალებებითაც, როგორცაა ლექსიკური, სინტაქსური, კონტექსტური.

ნაშრომის მიზანია:

ა) გამოვლენილ და შესწავლილ იქნეს წარსული დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტული მნიშვნელობები შესაპირისპირებელ ენებში (ინგლისური და ქართული) მსგავსება-განსხვავებათა დასადგენად.

ბ) გამოვლენილ იქნეს წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტური პოტენციალი ფუნქციურ-სისტემობრივი შეპირისპირების მეთოდის გამოყენებით, რომ დადგინდეს ერთი და იგივე ენობრივი მოვლენის სხვადასხვაგვარი ქცევა ორ სტრუქტურულად განსხვავებულ ენაში.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ნაშრომში ეტაპობრივად არის გადაჭრილი **შემდეგი კონკრეტული ამოცანები:**

1. შემუშავებულია კონცეპტუალური აპარატი დასახული კვლევის საწარმოებლად;

2. განსაზღვრულია კვლევის მიმართულება შინაარსიდან ფორმისაკენ კონტრასტული ანალიზის ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით;

3. შესწავლილია წარსული დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია იმ მორფოლოგიური, ლექსიკური და კონტექსტური გამოხატვის საშუალებების გათვალისწინებით, რომლებიც ზოგად სემანტიკურ ინვარიანტად ერთიანდება.

4. განხორციელებულია წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციების კონტრასტული ანალიზი და მის საფუძველზე გამოვლენილია მათი რეალიზების განსხვავებული საშუალებები შესაპირისპირებელ ენებში.

5. ემპირიული მასალის კონტრასტული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ის ფუნქციურ-სემანტიკური და სტრუქტურული მახასიათებლები, რომლითაც მოცემული ენების იზო- და ალომორფიზმი დგინდება.

დასახული ამოცანების გადაჭრისათვის ნაშრომში **კვლევის მეთოდად** გამოყენებულია შეპირისპირებითი (კონტრასტული) ანალიზი, რომელიც უაღრესად ფასეული გამოდგა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

საკვლევ მასალად აღებულია ძირითადად მე-20 საუკუნის ინგლისელ, ამერიკელ და ქართველ მწერალთა მხატვრული ნაწარმოებები.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. მიუხედავად იმისა, რომ ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიების შესწავლას მრავალი თეორიული და პრაქტიკული გამოკვლევა მიემდვნა, აღნიშნული მოვლენის კვლევა ლინგვისტურ ლიტერატურაში მაინც არ არის ამომწურავი. ამიტომ ყოველი ახალი შრომა, რომელიც მიმართულია კვლევის ამ მეთოდიკის სრულყოფისაკენ აქტუალურია.

2. წარსული დრო როგორც ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიიდან გამოყოფილი ერთი სუბკატეგორია, წარმოადგენს ენებს შორის შესაპირისპირებელ ობიექტს. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც იგი შეისწავლის როგორც აღნიშნული დროის ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას თითოეულ განსახილველ ენაში, ასევე ახდენს მის კონტრასტულ ანალიზს იმ მსგავსება-განსხვავებათა დასადგენად, რომელიც წარსული დროის შინაარსის გადმოცემის საშუალებათა რეალიზებისას ვლინდება.

3. და ბოლოს, ნაშრომი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მასში ინგლისური და ქართული ენების მასალაზე პირველად წარმოებს წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციათა შესწავლა ონომასეოლოგიის (ნომინაციის თეორია) პლანზე ორიენტირებით.

ნაშრომში ძირითადად ვიყენებთ იმ **სამეცნიერო მასალას**, რომელშიც განხილულია ზოგადად ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში, ასევე ქართული გრამატიკის ძირითადი საფუძვლები. “ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას აქვს გამოხატულების და შინაარსის პლანები. ამ კატეგორიის გამოხატულების პლანი ენობრივი საშუალებებია, რომლებიც ენის სხვადასხვა დონეს განეკუთვნება, ხოლო შინაარსის პლანი ის სემანტიკური სფეროა, რომელშიც წარმოდგენილია გრამატიკული და სემანტიკური მნიშვნელობები. მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელობები ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი მაინც ერთ ცნებაში ერთიანდებიან. (მ. მეგრელიშვილი 1986:43) ზ.ი. ტურაევა კი “ვექტორული ნულის” ცნებას მიიჩნევს ტექსტისათვის რელევანტურ ცნებად. (Тураева 1979:18) ენათმეცნიერ უ.ე. ბულის ნოვატორულ იდეად დროის ვექტორის ცნების _ time vector შემოღება ითვლება. ცნება დროის ვექტორი აღნიშნავს ორ მიმართულებას, რომლებშიც შესაძლოა განლაგდეს მოვლენები (event) ათვლის წერტილთან მიმართებაში (Bull 1860:51). ტერმინს კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციები, რომელსაც ნაშრომში ხშირად ვიყენებთ ზ.ი. ტურაევას აზრით, ეს არის ფუნქცია, რომელიც დაკისრებული აქვს მოცემულ ენობრივ ერთეულს საუბრის პროცესში. კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციათა ერთობლიობა, რომელიც

ტექსტში რეალიზდება, შეიძლება განიხილებოდეს როგორც ფორმათა კომპოზიციურ-სტილისტური პოტენციალი (Typeeva 1979: 11).

რაც შეეხება წარსულ დროს ქართულ ენაში ა. შანიძე აღნიშნავს, რომ “ქართულში არ არის რამდენიმე ნამყო, არამედ არსებობს წარსული დროის გადმოცემის ფორმები: აშენებდა, აშენა, უშენებია, ეშენებინა – ყველა ერთია დროის კატეგორიის თვალსაზრისით, ისინი ამ მხრივ არავითარ განსხვავებას არ გვიჩვენებენ, რადგან ყველანი თანაბრად გულისხმობენ, რომ მოქმედება საუბრის მომენტს უსწრებდა.” (ა. შანიძე 1980:11) აქვე უნდა აღინიშნოს მ. მეგრელიშვილის მოსაზრება ქართული და ინგლისური ენების მორფოლოგიურ აგებულებაზე: “ქართული ენის აგებულება ცნობილია როგორც სინთეზური, ინგლისურისა როგორც ანალიზური... ამიტომაც, რომ შესაპირისპირებელ ენებში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეინიშნება როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული ნიშან-თვისებები (მ. მეგრელიშვილი 1986:222). რაც შეეხება მხატვრულ ლიტერატურას, აქ მრავლად არის მოცემული მაგალითები, როგორც ცნობილი ქართველი მწერლების ნაწარმოებებიდან, ასევე ინგლისელი და ამერიკელი მწერლების შემოქმედებიდანაც.

კვლევის მეთოდად ნაშრომში გამოყენებულია შეპირისპირებითი (კონტრასტული) ანალიზი, რომელიც უაღრესად ფასეული გამოდგა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას და სიახლეს განაპირობებს კვლევის სისტემური ხასიათი. სისტემურობის პრინციპის გარეშე შეუძლებელია არამონათესავე ენების სისტემათა და ქვესისტემათა მეცნიერული შეპირისპირება, რადგან სისტემურობა ცალკეული ფაქტების შეპირისპირება კი არ არის, არამედ მთლიანად ენათა სისტემებისა და ქვესისტემების შეპირისპირებას ითვალისწინებს. ჩატარებულმა კონტრასტულმა ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა ერთი და იმავე ენობრივი მოვლენის სხვადასხვაგვარი ქცევა სისტემურად განსხვავებულ ენებში, რამაც, ერთი მხრივ, თვალსაჩინო გახადა ის განსხვავება, რომელიც შესაპირისპირებელ ენებს შორისაა, ანუ გამოავლინა მათი სპეციფიკა; მეორე მხრივ, წარმოაჩინა ცალკეული ენის შიგნით შესასწავლი მოვლენის ბევრი ახალი მანამდე გაუთვალისწინებელი მხარე, დააზუსტა მათი გამოვლენა ენასა და მეტყველებაში.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის შეპირისპირებითი მეთოდი უდაოდ უწყობს ხელს უცხოური ენის ეფექტურ შესწავლას. ამიტომ ყველა შრომა ენათა შეპირისპირებითი შესწავლის სფეროში, ჩვენი აზრით, პრაქტიკულად ღირებულია. გარდა ამისა, მასში მოცემული მასალა და კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების ფუნქციურ-სემანტიკურ თეორიათა დამუშავებაში, ისე ამ ორი ენის თეორიული გრამატიკის სპეცკურსებში. ასეთ კვლევას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თარგმნის თეორიისა და პრაქტიკისათვის, მანქანური თარგმანისა და უცხოური ენის სწავლების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკისათვის.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომი შეესაბამება მის მიზნებსა და ამოცანებს. იგი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან (სულ 164 გვერდი). მას თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურისა და მხატვრული ნაწარმოების სია.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის არჩევანი, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, ხაზგასმულია მისი აქტუალობა და სიახლე, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, ჩამოყალიბებულია პრობლემისადმი ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომა და კვლევის პრინციპები.

პირველი თავი – “ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია”. დროთა მიმართებები არა მარტო დროის გრამატიკული კატეგორიითაა რეალიზებული, არამედ საშუალებებით, რომლებიც ენის სხვადასხვა დონეს განეკუთვნება. ობიექტური დრო ენაში ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიით გამოიხატება, რომელსაც ყოველ ენაში თავისი კონკრეტული გამოხატულება აქვს მორფოლოგიური, სინტაქსური თუ კონტექსტური საშუალებების სახით.

დროთა მიმართებების გამოხატვის მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ საშუალებათა ერთიანობა ქმნის ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას ენაში. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის შინაარსის პლანი ის სემანტიკური სფეროა, რომელშიც წარმოდგენილია გრამატიკული და ლექსიკური მნიშვნელობები.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელობები ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი მაინც ერთ ზოგად ცნებაში ერთიანდებიან.

ამავე თავში საუბარია რეალური და მხატვრული დროის ურთიერთმიმართებაზე. მხატვრული ნაწარმოებისათვის დროის კატეგორიის მნიშვნელობა პოეტიკის თვალსაზრისით პირველ რიგში გამოიხატება იმაში, რომ თხრობის დროითი ორიენტაცია განსაზღვრავს ნაწარმოების ავტორის მიერ გამოყენებულ ენობრივ საშუალებათა ხასიათს. თხრობის ტემპორალური ორიენტაცია – ერთ-ერთი ნიშანია, რომელიც პირველ პირში მიმდინარე თხრობას მესამე პირში მიმდინარე თხრობისაგან განასხვავებს. პირველ პირში მიმდინარე თხრობაში მთელი ტექსტი ორიენტირებულია მთხრობელის დროით გამოცდილებაზე. მისი ტემპორალური და სივრცითი მდგომარეობა განსაზღვრავს დროით და სივრცით მიმართებებს (time space system) ნაწარმოებში. მესამე პირში მიმდინარე თხრობაში ასეთი ორიენტაცია არ არსებობს. მოვლენები უბრალოდ გადმოცემულია როგორც მომხდარი მოვლენები.

მხატვრული დრო არ არის ნეიტრალური მოქმედებების სიმჭიდროვის მიმართ. მოქმედების სიმჭიდროვე ჩვენ გვესმის როგორც მოქმედების სწრაფი ან ნელი მიმდინარეობა ნაწარმოებში. მხატვრული დრო მოიცავს აგრეთვე დროის ობიექტურ აღქმას ნაწარმოების გმირის მიერ, მისი დროის გამოცდილების რეკონსტრუქციას. ამგვარად, მხატვრული დრო – ეს არის აღქმის სამი მექანიზმის: ავტორის, მკითხველის და პერსონაჟების ურთიერთმიმართება, შეკვრა.

პირველ თავში მივმართავ მხატვრული და რეალური დროის ტიპოლოგიურ თვისებათა შეპირისპირებას. რეალური დროის ერთ-ერთ ყველაზე აშკარა თვისებას ერთგანზომილებიანობა წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ დროის ღერძზე მოვლენების განლაგების განსაზღვრისათვის საკმარისია ერთი კოორდინატი: ათვლის დათქმული წერტილიდან მანძილის (ხანგრძლივობის) აღნიშვნა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალურ დროს აქვს ერთგანზომილებიანი თვისება.

მხატვრული დრო შეიძლება იყოს მრავალგანზომილებიანი. მხატვრული დროის მრავალგანზომილებიანობა დასტურდება იმ ნაწარმოებებში, რომლებშიც მოქმედება ვითარდება პარალელურად რამდენიმე ადგილას, სხვადასხვა დროს.

დროთა მრავალგანზომილებიანობა მარტო ასეთი კომპოზიციის მქონე ნაწარმოებებში კი არ ვლინდება, არამედ ისეთ ნაწარმოებებშიც, რომლებშიც ინდივიდუალური დროის სისტემათა სიმრავლეა, გადამკვეთი ან პარალელური სიუჟეტური ხაზებია, სადაც მოვლენათა დროში განლაგების განსაზღვრისათვის საჭიროა ათვლის რამდენიმე წერტილი.

ამავე თავში განხილულია დროის გრამატიკული კატეგორია. დროთა მიმართების გამოხატვის ძირითადი საშუალება ენაში დროის გრამატიკული კატეგორიით ზმნაა. ყოველი ზმნის გრამატიკულ სემანტიკაში დროის ფაქტორია მოქცეული. მაშასადამე, ზმნა, პირველყოვლისა, მეტყველების ტემპორალური ნაწილია. გრამატიკულ წყობას აქვს თავისი შინაარსი და ფორმა, ე.ი. შინაარსის პლანი და გამოხატულების პლანი. გრამატიკული წყობის შინაარსის პლანი ყველა გრამატიკულ მნიშვნელობათა ერთობლიობაა, რომლებიც ზოგადად, აბსტრაქტულად გამოხატავენ სინამდვილის სხვადასხვა ცნებას და ამ ცნებათა შორის ურთიერთკავშირებსა და მიმართებებს. გრამატიკული კატეგორიის გამოხატულების პლანი კი სისტემურად ორგანიზებული გრამატიკული საშუალებაა.

მეორე თავი – “წარსული დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში” – დათმობილი აქვს წარსული დროის შინაარსის გადმოცემის საშუალებების განხილვას ინგლისურ ენაში. წარსული დრო თავის საერთო გრამატიკული სემანტიკიდან გამომდინარე აშკარად უპირისპირდება ინგლისური ენის ყველა დანარჩენ დროის ფორმას. წარსულის პარადიგმული მნიშვნელობა საუბრის მომენტთან წინამავლობაა. მოქმედება დროის მიხედვით უკავშირდება სინამდვილეში უკვე გასულს, წარსულში მომხდარ ფაქტს. ზმნა წარსულის ფორმაში გამოხატავს იმას, რაც უკვე მოხდა წარსულში. ესაა წარსულის რეალური ფაქტი, რომელიც ახლანდელთან კავშირში არაა. აქედან გამომდინარეობს მისი ფორმებისათვის დამახასიათებელი დომინანტური ნიშნები. მოქმედებებს, რომლებიც წარსულის წრის დროის ფორმებითაა გამოხატული და ახლანდელ მომენტთან მიმართებაში არ არის, თავისი საკუთარი ცენტრი აქვს და ამ ცენტრის ირგვლივ იკეტებიან.

ამავე თავში გავიხილავ წარსული დროის ტემპორალურ – ასპექტურ ვარიანტებს ინგლისურ ენაში. ესენია: ცალკეული მოქმედების, თანაფარდობითი, მრავალგზისი და ა.შ. აღნიშნული ვარიანტული მნიშვნელობები ასპექტ-დროის ოთხი ფორმით რეალიზდება ინგლისურ ენაში. ესენია: მარტივი წარსული (Simple Past), წარსული განგრძობითი (Past Cont.), წარსული პერფექტი (Past Perfect) წარსული პერფექტ – განგრძობითი (Past Perfect Cont.).

მესამე თავში – “წარსული დროის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტებისა და კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციათა შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში” – განხილულია წარსული დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ქართულ ენაში, შემდგომ კი მოცემულია ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტების შეპირისპირებითი ანალიზი ორივე ენაში.

მრავალფეროვანი კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციების განხილვას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ კომპოზიციური ფუნქციები, რომელზეც თემაშია საუბარი, ის ვარიანტული მაჩვენებლებია, რომლებიც ორივე ენას მოეპოვება. ასეთი ფუნქციურ-სისტემობრივი შეპირისპირება იძლევა საფუძველს დავადგინოთ ერთი და იგივე ენობრივი მოვლენის სხვადასხვაგვარი ქცევა ინგლისურსა და ქართულ ენებში, რასაც საბოლოოდ მივყავართ ორგვარ შედეგამდე: ერთის მხრივ, თვალსაჩინო ხდება ის საერთო მახასიათებლები, რაც კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციებს გააჩნია ამ ენებში. კერძოდ, მათი უნარი ჩაერთონ თხრობის ორგანიზებაში და სტილისტური შეფერილობა შესძინონ მას. მეორეს მხრივ, წარმოჩინდება ენათა სტრუქტურული განსხვავება მოცემულ ფუნქციათა რეალიზების ენობრივი საშუალებების თვალსაზრისით, ამასთან ხდება ენათა სპეციფიკის გამოვლენა და ყურადღება მახვილდება თვით ქართული ენის შიგნით შესასწავლი მოვლენის ბევრ ახალ მანამდე უცნობ მხარეზე.

დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია კვლევის ძირითადი შედეგები და შემაჯამებელი განზოგადებები.


თავი II

წარსული დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში

2.1. წარსული დროის შინაარსის გადმოცემის საშუალებები ინგლისურ ენაში

წარსული დრო თავის საერთო გრამატიკული სემანტიკიდან გამომდინარე აშკარად უპირისპირდება ინგლისური ენის ყველა დანარჩენ დროის ფორმას. წარსულის პარადიგმული მნიშვნელობა საუბრის მომენტთან წინამავლობაა. მოქმედება დროის მიხედვით უკავშირდება სინამდვილეში უკვე გასულს, წარსულში მომხდარ ფაქტს. ზმნა წარსულის ფორმაში გამოხატავს იმას, რაც უკვე მოხდა წარსულში. ესაა წარსულის რეალური ფაქტი, რომელიც ახლანდელთან კავშირში არაა. აქედან გამომდინარეობს მისი ფორმებისათვის დამახასიათებელი დომინანტური ნიშნები. მოქმედებებს, რომლებიც წარსულის წრის დროის ფორმებითაა გამოხატული და ახლანდელ მომენტთან მიმართებაში არ არის, თავისი საკუთარი ცენტრი აქვს და ამ ცენტრის ირგვლივ იკეტებიან. წარსული დროის ფორმათა რაოდენობა შემოსაზღვრულია და აღნიშნული დროის ახლანდელში ტრანსპოზიციის შემთხვევები ხშირი არ არის. იგი ახლანდელს მხოლოდ ნეგატიურად უკავშირდება. ეს კი შემდეგნაირად შეიძლება გამოვსახოთ:

სქემა 4




“დროთა დაპირისპირებაზეა დაფუძნებული ბინარულ ოპოზიციათა თეორია, რომელიც ინგლისური ზმნის დროის სისტემას მოიცავს. ამ თეორიის თანახმად წარსული დრო განიხილება როგორც ოპოზიციის ძლიერი, მარკირებული წევრი, არაწარსული კი როგორც ოპოზიციის სუსტი, არამარკირებული წევრი” (მეგრელიშვილი 1986: 47). იქმნება ე.წ. “ჰერმეტიულად ჩაკეტილი მოცულობა”, ანუ დროის პერიოდი, რომლის შიგნითაც ვითარდება მიმართებები, რომლებიც წარსულის წრისთვისაა დამახასიათებელი, ე.ი. წარსული დროის ათვლის წერტილად ითვლება დროის ცენტრი, რომლის მიმართ იგება დროთა მიმართებები. მაშასადამე,

მოსაუბრისთვის წარსული დრო ახლანდელისაგან გამიჯნული მონაკვეთია, რომელიც დროის ხაზზე მოქმედების შესრულების მომენტის დაზუსტებას მოითხოვს.

წარსულის სფეროში უფრო ნათლად გადმოიცემა ენის სისტემის მიდრეკილება ობიექტური სინამდვილის პროცესების დროთა ლოკალიზაციის მკაფიოდ, ნათლად გადმოცემისკენ. ინგლისურ ენაში წარსული დროის კატეგორიული ფორმა ასპექტ-დროის ოთხი მწკრივითაა წარმოდგენილი: მარტივი წარსული (Simple Past), წარსული განგრძობითი (Past Continuous), წარსული პერფექტი (Past Perfect), წარსული პერფექტ-განგრძობითი (Past Perfect Continuous). აღნიშნული კატეგორიული ფორმა სქემატურად შეგვიძლია ასე წარმოვადგინოთ:

სქემა 5

წარსული დროის გამოხატვის საშუალებები ინგლისურ ენაში



მოცემული ოთხი მწკრივი ის ძირითადი გრამატიკული საშუალებებია, რომლებითაც გადმოიცემა წარსული დროის სემანტიკური პოტენციალი.

ახლა შევეცდები ამ თავში გავაანალიზო წარსულის სფეროს ყველა იმ ფორმის სემანტიკური პოტენციალი, რომელსაც ესა თუ ის დიფერენციალური ნიშანი აქვს.

მოცემული დროის სემანტიკა რომ საფუძვლიანად შევისწავლოთ, კვლევას

შინაარსიდან ფორმისაკენ მიმართულებით წარვმართავ. ამოსავალი ჩვენთვის არის ცნებები, რომელთა მნიშვნელობების განხილვის შემდეგ, ვიკვლევთ მოცემული სემანტიკური ღირებულებების გამოხატვის საშუალებებს. ამიტომ, დროთა ფორმები უნდა განვიხილოთ არა მარტო პარადიგმულ და სინტაგმატურ დონეზე, არამედ გაცილებით უფრო მაღალი დონის ერთეულის _ ტექსტის შემადგენელ ნაწილებად.

ამგვარად, წარსული დროის ინვარიანტული მნიშვნელობა _ საუბრის მომენტთან არაერთდროულობაა. რაც შეეხება აღნიშნული დროის ვარიანტულ მნიშვნელობებს, თითოეულ მათგანს დეტალურად განვიხილავთ აღნიშნულ თავში.

2.1.1. **ცალკეული მოქმედების წარსული.** იგი ამ დროის ერთ-ერთი ვარიანტული მნიშვნელობათაგანია. პ. ჰაუსტმა მარტივ წარსულს, როცა იგი ცალკეულ მოქმედებას გამოხატავს “იზოლირებული წარსული” (the isolated preterite) უწოდა. მისი როლი წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვაა მოქმედების განფენილობაში. მაგალითად:

1. Lord Henry **went out** to the garden, and **found** Dorian Gray burring his face in the great cod lilac-blossoms, feverishly drinking in their perfume as if it had been wine. (O. Wilde, The Picture of Dorian Gray)

2. You **didn't tell** me anything yesterday... You didn't tell me where you were meeting him, and you didn't tell me where he was. (ibid.)

3. As the ambulance **climbed along** the road, it **was** slow in the traffic, sometimes it **stopped**, sometimes it **backed on** a turn, then finally it **climbed** quite fast. I **felt** something dripping. At first it **dropped** slowly and regularly, then it **pattered** into a stream. (E. Hemingway, A Farewell to Arms)

როგორც მოცემული მაგალითები გვიჩვენებს, ცალკეული მოქმედების მარტივი წარსულისათვის შემდეგი სემებია დამახასიათებელი:

1. ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობა;
2. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში;
3. მოქმედების ერთგზისობა;
4. მოქმედების დროში ლოკალიზება.

პირველი, მეორე და მეოთხე სემები ტემპორალურად ნეიტრალურ კონტექსტში ხორციელდება, ისინი ხელსაყრელ კონტექსტს არ საჭიროებენ, თუმცა თავისუფლად ითავსებენ ისეთ ლექსიკურ საშუალებებს, რომლებიც ახლანდელისაგან მოშორებული დროის განსაზღვრულ მონაკვეთებს წარმოადგენენ. როგორცაა მაგალითად, yesterday, last week. რაც შეეხება მესამე სემას, იგი ფუნქციურად არ შეიძლება შეეხამოს ისეთ ლექსიკურ საშუალებებს, რომლებიც მოქმედების განმეორებად ხასიათს გადმოცემს.

მარტივი წარსული უმეტესად პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება. თხრობისას ცალკეული მოქმედება ერთდროულ ან ერთმანეთზე მიმყოფ მოქმედებებს ერწყმის. პერსონაჟთა მეტყველებაში, უშუალო ურთიერთობისას (გამონათქვამის დონეზე) მარტივი წარსულის კორელატი რეალურად არსებულ სამყაროშია.

აქვე უნდა შევეხოთ იმ არსებით განსხვავებას, რაც მხატვრული და გრამატიკული დროების სტრუქტურებს შორის არსებობს. წარსული განუსაზღვრელი დროის სემების ერთობლიობაში არის სემა “ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობა.” ყველა ასპექტუალური და ტემპორალური ფორმა უშუალოდ ან არაუშუალოდ არის დაკავშირებული ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან (საუბრის მომენტთან). მხატვრული დროისათვის ათვლის ასეთი წერტილი არ არის რელევანტური. მხატვრული ტექსტის მთელი დროის სისტემა ორიენტირებულია რაღაც პირობით მომენტზე წარსულში, რომლის გარშემოც ხდება მოვლენების განვითარება.

ცალკეული მოქმედების მარტივი წარსულის როლი მხატვრული დროის შექმნაში ისე, როგორც გრამატიკული დროის სხვა ფორმებისა, მდგომარეობს არა კალენდარული დროის გამოხატვაში (ამ ფუნქციას ლექსიკური საშუალებები ასრულებს), არამედ დროის ვექტორზე მოქმედების ადგილის განსაზღვრაში. მარტივი წარსული განსაზღვრავს მოვლენათა თანაფარდობას, მონაწილეობს სიუჟეტური ხაზის მოვლენათა რიგის თანმიმდევრობის შექმნაში.

ცალკეული მოქმედების მარტივი წარსული შეიძლება გადმოცემდეს განსხვავებული ხანგრძლივობის პროცესებს. მკაფიოდ იკვეთება მხატვრული დროის ისეთი მახასიათებლები, როგორცაა წყვეტილობა.

მოვლენათა ჯაჭვი დანაწევრებულია და შესაძლებელია დროში უკან დაბრუნება თავისუფლად. აღწერილ მოვლენათა თავისუფალი მონტაჟი, მათი ჩამოთვლა ნებისმიერი თანმიმდევრობით მოწმობს მხატვრული დროის წყვეტილობას და იმას, რომ მოვლენათა გადმოცემისას მიზეზი და შედეგი შეიძლება ადვილად იქნას გადანაცვლებული.

ამგვარად, ცალკეული მოქმედების მარტივ წარსულს შეუძლია გადმოსცეს განსხვავებული ხანგრძლივობის პროცესები. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ზმნების ლექსიკურ მნიშვნელობას (უფრო ზუსტად, გამოიყენება უზღვრადი ან ორმაგი ასპექტური მნიშვნელობის ზმნები) და კონტექსტურ საშუალებებს, რომლებიც მოქმედების პროცესუალურ ხასიათს გამოხატავენ.

ცალკეული მოქმედების წარსული გარდა მარტივი წარსულისა, რეალიზდება ასევე წარსული განგრძობითი დროის ფორმით (Past Continuous). იგი დროის ლოკალიზების ასპექტურ-ტემპორალურ და მოქმედების წარსულზე განკუთვნიების ტემპორალურ ნიშნებზეა დაფუძნებული. ეს გრამატიკული ფორმა აღნიშნული მნიშვნელობით გამოიყენება ცალკეულ, კონკრეტულ მოქმედებათა გადმოსაცემად. ცალკეული მოქმედების წარსულის მნიშვნელობას ემატება მოქმედების პროცესუალობა, როცა იგი გადმოიცემა განგრძობითი დროის ფორმით. მაგალითად:

4. The reason I **was standing** way up on Thomsen Hill, instead of down at the game, was because I'd just got back from New York with the fencing team. (J. Salinger. The Catcher in the Rye)

5. We **were talking** softly out on the balcony. The moon was supposed to rise but there was a mist over the town and it did not come up and a little while it started to drizzle and we came in. Outside the mist turned to rain and in a little while it **was raining** hard and we heard it drumming on the roof. (E. Hemingway. A Farewell to Arms)

6. A few minutes later Julia **was standing** at the chimney-piece, in front of the looking-glass, making herself tidy. (W.S. Maugham. Theatre)

7. Up the road, in his shack, the old man **was sleeping** again. He **was still sleeping** on his face and the boy **was sitting** by him watching him. The old man **was dreaming** about the lions. (E. Hemingway, The Old Man and the Sea)

წარსული განგრძობითი ამ მაგალითებში გამოიყენება ცალკეულ, კონკრეტულ მოქმედებათა გადმოსაცემად. მოქმედება მიმდინარეობს წარსულის კონკრეტულ მომენტში. ის მოქმედება, რომელიც წარსულის რომელიღაც მომენტს ემთხვევა და ჩვენგან მოშორებულია, ამ მომენტისათვის აქტუალურია.

აღნიშნული მნიშვნელობით წარსული განგრძობითის სემანტიკა სემათა შემდეგი შემადგენლობითაა წარმოდგენილი:

1. ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობა;
2. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში;
3. მოქმედების პროცესუალობა;
4. მოქმედების ერთგზისობა;
5. მოქმედების დროში ლოკალიზება.

პირველი და მეორე სემა იხამებს ისეთ ლექსიკურ საშუალებებს, როგორცაა ზმნიზედა still. პირველი და მეორე სემა ვექტორული დროის ისეთ საშუალებებს ეხამება, როგორცაა at that time, რომელიც ვექტორული ნულისადმი წინამავლობაზე არ მიუთითებს. მესამე სემა კი ეხამება დროის ისეთ ლექსიკურ ინდიკატორებს და საშუალებებს, რომლებიც დროში მოქმედების ხანგრძლივობაზე მიუთითებენ: long, for a long time, for a while.

მეოთხე სემას, რომელიც ნეიტრალურ კონტექსტში ვლინდება, არ შეუძლია შეითანხმოს მრავალგზისობის გამომხატველი ლექსიკური საშუალებები. როგორც ზემოთ მოცემული მაგალითები გვიჩვენებს, მოქმედებები, რომლებიც წარსულის განგრძობითს ფორმით გადმოიცემა, კონკრეტულ პროცესებს გადმოგვცემს წარსულში. “მათი გამოცალკავებული ხასიათი მოქმედების დროში ლოკალიზებით, კონკრეტულ სიტუაციასთან მისი მჭიდრო კავშირითაა განპირობებული. სწორედ ამიტომ ამ ფუნქციით წარსული განგრძობითი მხოლოდ ტემპორალურად და ასპექტურად ღირებულ ისეთ ელემენტებს ეწყობა, რომლებიც კონკრეტულობის ნიშანს არ ეწინააღმდეგება” (მეგრელიშვილი 1986: 54).

ამრიგად, ცალკეული მოქმედება წარსული დროის ის ვარიანტული მნიშვნელობაა, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა ხანგრძლივობის პროცესებს. ინგლისურ ენაში იგი ასპექტ-დროის ორი მწკრივის _ მარტივი წარსულის (Simple Past) და წარსული განგრძობითის (Past Continuous) საშუალებით რეალიზდება.

2.1.2 თანაფარდობითი წარსული კიდევ ერთი ვარიანტული მნიშვნელობა გახლავთ. თანაფარდობითი მარტივი წარსულის მნიშვნელობა განსაკუთრებით თხრობისას წარმოჩინდება. მხატვრულ ტექსტში იგი ერთ-ერთი წამყვანი ფორმათაგანია. მაგალითად:

8. I **took** a good room. It **was** very big and light and **looked out** on the lake. The clouds **were** down over the lake but it **was** beautiful with the sunlight. I was expecting my wife. There was a big double bed with a satin coverlet. The hotel was very luxurious. I **went down** the long halls, down the wide stairs, through the rooms to the bar. I **knew** the barman and **sat** on a high stool and **ate** salted almonds and potato chips. The martini **felt** cool and clear. (E. Hemingway, A Farewell to Arms)

9. This **happened** again and again and perhaps again. The time **wasn't** always precisely certain, but it **was** always between three and four in the morning. He was always left irritable at the fact that his memory could, quite independently of anything he **knew about** himself manipulate its resources in controlled and repeated designs. His memory **enjoyed** free will, and his irritability was increased by his realization that his memory **was** so unruly as his genitals. Then one morning, jogging from the mess to stop along the dark tunnel, he **heard** the music and saw the woman and the sea. He **stopped** so abruptly that several men **banged into** him. That **was** that for the morning. But the dream was to reappear again and again in different places around the prison. (J. Cheever, Falconer)

თანაფარდობითი მარტივი წარსულისათვის შემდეგი სემებია რელევანტური:

1. ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობა;
2. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში;
3. დროში მოქმედების ლოკალიზება-არალოკალიზება;
4. ერთდროული ან ერთმანეთის მომდევნო მოქმედებათა გამოხატვა;
5. მოქმედების ერთგზისობა-მრავალგზისობა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მარტივ წარსულს ამ მნიშვნელობით უმეტეს შემთხვევაში შეუძლია გადმოცეს როგორც დასრულებული ერთგზისი მოქმედება, ისე დაუსრულებელი მიმდინარე მოქმედებაც, ან კიდევ მრავალგზისი მოქმედება, რომელიც დროის ჩარჩოებითაა შეზღუდული.

თანაფარდობითი წარსულის ფორმა უმეტესად გამოიყენება მთხრობელის პლანში. მხატვრულ ტექსტში ეს ერთ-ერთი წამყვანი ფორმაა.

ამგვარად, როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, თანაფარდობითი მარტივი წარსული ძირითადად გამოიყენება:

1. წარსული განუსაზღვრელის ფორმებით, რომლებიც ერთი მეორეს ცვლის ან ერთმანეთს მოსდევს;
2. მარტივი წარსული და წარსული განგრძობითის შეხამებით ან მათი მონაცვლეობით;
3. ფორმებით, რომლებიც წარსულის ცალკეული ფაქტის მნიშვნელობას აღნიშნავენ, როცა მოქმედება მისი განფენილობის მიუხედავად წარმოდგება როგორც ერთი მომენტი;
4. წყვეტა-უწყვეტობის ერთიანობით. წყვეტა დროის ნაკადის ურთიერთმოქმედ დროთა პლასტებად დაყოფაა, უწყვეტობა კი დროის ნაკადის ერთიანობაა, რომელიც აღსაწერ ამბავს ერთიან თხრობით ქსოვილში აერთიანებს.

2.1.3. აქვე მინდა შევეხო **ჯერად-ფარდობითი** და **ჯერადი** მარტივი წარსულის დროის ფორმებს. მარტივი წარსული ჯერად-ფარდობითში შემდეგი სემეებითაა რეალიზებული:

1. ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობა;
2. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა დროის მონაკვეთში, რომლის მანძილზეც შესაძლებელია ერთეული მოქმედების ან მოქმედებათა ერთობლიობის გამეორება;
3. ერთეული მოქმედების ან თანადროულ და თანმიმდევრულ მოქმედებათა ჯერადობა;
4. მოქმედების ლოკალიზება-არალოკალიზება დროში. მაგალითად:

10. Sugar-Boy **was driving** the Cadillac, and it was a pleasure to catch him. Or it would have been if you could detach your imagination from the picture of what near a couple of tons of

expensive mechanism looks like after its turned turtle times at eighty and could give your undivided attention to the exhibition of muscular coordination... But the Boss loved it.

He always **sat up** front with Sugar-Boy and looked at the speedometer and down the road and **grinned** to Sugar-Boy after they **got through** between the mule's nose and the gasoline truck. And Sugar-Boy's head would twitch, the way it always did when the words **were piling up** inside of him and couldn't get out, and then he'd start. (R. Warren, All the King's Men)

მოცემულ მაგალითებში ერთი ან რამდენიმე მოქმედება, რომლებიც ერთ დროის პლანს მიეკუთვნებიან (წარსული დროის პლანს), წარმოდგენილია, როგორც განმეორებად პროცესების ერთობლიობა. მასში აღწერილია ეპიზოდი, რომელიც შედგება რამდენიმე ისეთი მოქმედებისგან, რომლებიც არ წარმოქმნიან თანმიმდევრულ რიგს. მთლიანად მაგალითი და მასში მოცემული ცალკეული მოქმედება წარმოდგენილია, როგორც განმეორებადი.

ცალკეული მოქმედების ჯერადობა უმეტესად გვხვდება პერსონაჟთა პლანში. მოქმედებათა ერთობლიობის ჯერადობა კი მთხრობელის პლანში. მარტივი წარსული თანაფარდობითი და ჯერად-ფარდობითი ერთმანეთთან ახლოს მდგარი ვარიანტებია, მაგრამ ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ორივე მათგანი გადმოცემს არა დროთა რიგის თანმიმდევრობას, არამედ მოქმედებათა ერთობლიობას, რომლებიც განეკუთვნებიან პერიოდს, რომელიც მოიცავს წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულს. მაგრამ თანაფარდობითი წარსული აღწერილ ეპიზოდს წარმოადგენს როგორც ერთჯერადს, ხოლო ჯერად-ფარდობითი კი როგორც _ მრავალჯერადს.

ფორმის ამ ვარიანტებს შორის არსებული განსხვავება ვლინდება აგრეთვე სემასთან მიმართებაში _ “მოქმედების დროში ლოკალიზება/არალოკალიზება.” მარტივი წარსული თანაფარდობითი და ჯერად-ფარდობითი კონტექსტის მიხედვით შეიძლება გამოხატავდნენ მოქმედებებს, რომლებიც განეკუთვნებიან გარკვეულ დროს, ან არიან ლოკალიზებული დროში. მაგრამ მარტივი წარსული ჯერად-ფარდობითი, მრავალჯერადობის მნიშვნელობის გამო ისწრაფვის დროთა მახასიათებლის განუსაზღვრელობისკენ. ამიტომ ამ ვარიანტში უფრო ხშირად ხდება სემის _ “მოქმედების დროში არალოკალიზება” რეალიზაცია. მარტივი წარსულის ჯერად-ფარდობითობის ფუნქცია მხატვრული დროის შექმნაში, მოვლენათა ერთიანი

ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დარღვევაში მდგომარეობს. ხდება სიუჟეტური დროიდან და სივრციდან გადახვევა. დროითი რიგის თანადროულობა ადგილს უთმობს დროის მრავალგანზომილებიან ასახვას.

სემას “მოქმედების ჯერადობა” თან სდევს გარკვეული კონოტაციები: დროის ემოციური აღქმა, ანუ განმეორებადი მოქმედებები შეიძლება გაცნობიერებული იქნას როგორც სუბიექტის დახასიათება და შესაძლოა შეიძინოს ფსიქოლოგიური მნიშვნელობა.

2.1.4 წარსული დროის შემდეგი ვარიანტული მნიშვნელობაა – **მრავალგზისობა**. მრავალგზისი მარტივი წარსული მიუთითებს მოქმედების სიხშირეზე, ციკლურ მოქმედებათა გამოხატვაზე. ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით მაშინ წარმოჩინდება, როცა გრამატიკული ფორმა ითავსებს შემდეგ ლექსიკურ საშუალებებს: often, sometimes, every day, whenever, seldom და ა.შ. მრავალგზისი წარსულის მნიშვნელობა შემდეგი სემებით გამოიხატება:

1. ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობა;
2. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა დროის პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ცალკეულ მოქმედებათა განმეორება;
3. ცალკეულ ან ერთდროულ ან მომდევნო მოქმედებათა ერთობლიობის მრავალგზისობა;
4. მოქმედების დროში ლოკალიზება-არალოკალიზება. მაგალითად:

11. It **was** really too bad that so much crumby stuff was a lot of fun sometimes... They **kept thinking** of more places and more names of people that lived there. The worst part **was**, the jerk **had** one of those very phony, Ivy League voices, one of those very tired, snobby voices. (J. Salinger, The Catcher in the Rye)

12. I **cried** every day for a month. Then I **got used** to the idea... As a child, Scarlett **had not given** Ashley Wilkes a single thought. But two years ago, he **had arrived** home after touring Europe – riding up to Tara with the sun so bright on his fair hair that it shone like silver. (M. Mitchell, Gone With the Wind)

13. But sometimes, when she **lay** in Rhett’s arms with the moonlight shining across the bed, she **thought** how perfect life could be if only it was Ashley’s arms that **held** her so closely. (ibid)

14. **Each time** she **came** to see the doctor the hotel keeper's wife **talked** a little more freely and after an hour or two in his presence **went down** feeling renewed and strengthened. (Sh. Anderson. Death)

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მრავალგზისი მარტივი წარსულის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი კონტექსტია საჭირო, კერძოდ კი მრავალგზისობის გამომხატველი ლექსიკური საშუალებები, რომლებიც ზმნის მიერ გამოხატული მოქმედების მრავალგზის ხასიათს განსაზღვრავენ..

მეოთხე სემა _ “დროში მოქმედების ლოკალიზება-არალოკალიზება” _ განპირობებულია ღია კონტექსტით. განმეორებად მოქმედებათა მნიშვნელობა კი დროის ზუსტი ჩარჩოებით არ არის შემოსაზღვრული. ამ ფორმისათვის დამახასიათებელია დროში არაკონკრეტულობის სემა, თუმცა დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია მოქმედების განმეორება, შეიძლება იყოს ლოკალიზებული.

ამგვარად, ინგლისურ ენაში არ არის ზმნის ფორმა, რომელიც ლექსიკური საშუალებების გარეშე გამოხატავს მოქმედების მრავალგზის ხასიათს. ეს მნიშვნელობა ინგლისურ ენაში წარმოდგება კონტექსტის დახმარებით, ან როცა ფორმა რომელიმე გარემოებით სიტყვას იხამებს.

აქვე უნდა შევეხოთ იმ სპეციალურ კონსტრუქციებს, რომლებიც მრავალგზისი მოქმედების გამოსახატავად გამოიყენება. ესენია: “used to + ინფინიტივი” და “would + ინფინიტივი.” ეს კონსტრუქციები დაახლოებით ერთგვარი ტიპის კონტექსტში ფუნქციობს. კონსტრუქცია “used to + ინფინიტივი” კი წარსულში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განმეორებად მოქმედებათა მთლიან ერთობლიობას გადმოსცემს ისე, რომ არ გამოყოფს ცალკე მოქმედებას. მაგალითად:

15. He **loved to walk** up and down the alleys and **used to spend** a lot of time hanging around Hummel's Garage, on the corner there. (J. Updike, The Centaur)

ბ. კომრი კონსტრუქციას used to + ინფინიტივი განიხილავს როგორც habitual aspect (კომრი 1976: 111) სხვა ენათმეცნიერთა აზრით, კონსტრუქციები used to+ინფინიტივი, would + ინფინიტივი მოქმედების მიმდინარეობის მრავალგზისობის საშუალებათა გამომხატველია. მათი ფაკულტატური გამოყენება უფრო სტილისტიკის ფაქტორებითაა განპირობებული, ვიდრე გრამატიკის (Comrie 1976: 56).

Used to – კონსტრუქციას არ გააჩნია ექვივალენტური კონსტრუქცია ახლანდელ დროში _ uses to. რადგან ის ძირითადად გამოხატავს რაღაც მდგომარეობას, რომელიც ჩვეულებრივ წარსულში ხდებოდა. მაგალითად: I used to be rich (but now I am poor). Used to კონსტრუქციას ჩვეულებრივ არ ახლავს დროის გარემოებითი სიტყვა _ when, მაგრამ ის თავის თავში მოიცავს ზმნისხედას once (at one time). სწორედ ამიტომ used to კონსტრუქციის პერეფრაზი შეიძლება გაკეთდეს აღნიშნული ზმნისხედით მარტივ წარსულ დროსთან ერთად. Used to კონსტრუქციის კომბინაცია დროის გარემოებით სიტყვასთან _ when უჩვეულოა, მაგრამ არა შეუძლებელი. მაგალითად: He used to live here in 1944. თუმცა used to არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა დასახელებულია დროის კონკრეტული მონაკვეთი. მაგალითად: He used to live here for twenty years. Used to არ გამოიყენება პერფექტულ ფორმებთან.

მრავალგზისი წარსულის ვარიანტული მნიშვნელობა გადმოიცემა განგრძობითი დროის ფორმითაც. ამ შემთხვევაშიც ლექსიკური საშუალებები და დეტერმინანტები აძლევენ ფორმას მრავალგზისი მნიშვნელობას, ისეთები როგორცაა: sometimes, often, constantly, always, every day, every week და ა.შ. მაგალითად:

16. Peter Forrester **was whispering** to Gloria, trying to make her laugh. (J. Updike, Tomorrow and Tomorrow and So Forth)

17. The **rain was constantly slacking** and we **were moving** along. Before daylight we were stalled again and when it was light we were at a little rise in the ground and I saw the road of the retreat stretched out far ahead, everything stationary except for the infantry filtering through. (E. Hemingway, A Farewell to Arms)

18. She was nearly at term and even under the loosely flowing night-gown and robe she **was wearing** the bulge was huge and clumsy. (B. Shaw, Rich Man, Poor Man)

მრავალგზისი წარსული განგრძობითისათვის შემდეგი სემებია რელევანტური:

1. ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობა;
2. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა განმეორებადი მოქმედების დროის პერიოდში, მოქმედების ყოველი ცალკეული სეგმენტიდან მისი გამორიცხვით;
3. მოქმედების მრავალგზისობა;
4. მოქმედების ყოველი ცალკეული სეგმენტის ხანგრძლივობა;

5. დროში მოქმედების არალოკალიზება.

მრავალგზისი წარსული განგრძობითის რეალიზაციისათვის საჭიროა სასურველი კონტექსტი, ე.ი. განმეორებადი, ციკლური მოქმედების გამომხატველი ლექსიკური საშუალებები. სწორედ ეს ლექსიკური ინდიკატორები აძლევს ფორმას მრავალგზის მნიშვნელობას.

მოცემული მაგალითების ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარსული განგრძობითის ფორმას თვითონ არ შესწევს უნარი მრავალგზისი, ციკლური მოქმედება გადმოცეს, იგი შეიძლება წარმოქმნას მხოლოდ ხელსაყრელ კონტექსტში: თუ საანალიზო ფორმა რომელიმე მრავალგზისობის გამომხატველ სიტყვას იხამებს; მეორე მრავალგზისი მოქმედების ზეგავლენით, რომელიც რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარ ან დამოკიდებულ ნაწილშია წარმოდგენილი, რომელთანაც განსახილველი ფორმა სემანტიკურად მჭიდრო კავშირშია; წინადადებაში შემასმენლის რამდენჯერმე განმეორებით.

ზემოთ მოცემულ მაგალითებში წარსული განგრძობითის მრავალგზისი მნიშვნელობა ლექსიკური აქტუალიზატორების საშუალებით ვლინდება, რომლებიც მრავალგზისობას გრამატიკული ფორმისაგან დამოუკიდებლად გადმოსცემენ. რაც შეეხება მესამე მაგალითს, იქ იტერატული მოქმედება გამოხატულია ზმნით to wear, რომელშიც მრავალგზისობის მნიშვნელობა თვით ზმნის სემანტიკაშია ჩადებული. ასეთი ტიპის ზმნები წარსული განგრძობითის ფორმაში მოცემული მოქმედების ბევრჯერ განმეორებას გულისხმობს.

წარსული პერფექტი მრავალგზის მოქმედებას ლექსიკური აქტუალიზატორების საშუალებით გადმოცემს. ესენია: always, seldom, frequently და ა.შ. მაგალითად:

19. Seated on the fallen trunk of a tree, he **had promised** for the twentieth time that if their marriage were not a success, she should be as free as if she **had never married** him. (J. Galsworthy, The Man of Property)

ამ მნიშვნელობით წარსული პერფექტისათვის შემდეგი სემებია დამახასიათებელი:

1. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა;

2. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ კონტაქტური რეტროსპექტულობა დროის პერიოდში, რომლის დროსაც შესაძლებელია მოქმედების განმეორება;

3. მოქმედების მრავალგზისობა;

4. მოქმედების ყოველი ცალკეული სეგმენტის აღკვეთა;

5. დროში მოქმედების არალოკალიზება.

ასევე წარსულ პერფექტ-განგრძობითაც შეუძლია გადმოსცეს მრავალგზისი მნიშვნელობა მხოლოდ ლექსიკური ინდიკატორების დახმარებით. მაგალითად:

20. Hallward shook his head, **he had been thinking** for a moment or two and followed Dorian into the library. There was a bright wood fire blazing in the large open hearth. (O. Wilde, The Pictuer of Dorian Gray)

21. He wondered if he had met the men in the hall as they were leaving the house, and had wormed out of them what they had been doing. He would be sure to miss the picyure – had no doubt missed it already, while he **had been laying** the tea-things. The screen had not been set back, and a blank space was visible on the wall. (ibid)

მრავალგზისი წარსული პერფექტ-განგრძობითი ფორმის ვარიანტია, რომლის რეალიზაციისას გადამწყვეტი როლი კონტექსტს ეკუთვნის. მესამე სემა – “ვექტორული ნულის ჩართვა პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია მოქმედების განმეორება” და მეორე სემა – “მოქმედების მრავალგზისობა” – კონტექსტითაა განპირობებული. მეექვსე სემის რეალიზაციაც კონტექსტით განისაზღვრება და დამოკიდებულია იმაზე, თუ მოქმედება რამდენად განზოგადებული ხასიათისაა.

ამრიგად, მრავალგზისობის მნიშვნელობა ინგლისურ ენაში ასპექტ-დროის ოთხი მწკრივით: მარტივი წარსული, წარსული განგრძობითი, წარსული პერფექტი და წარსული პერფექტ-განგრძობითი ფორმებით რეალიზდება.

ვიდრე წარსული დროის კიდევ ერთ ვარიანტულ მნიშვნელობას განვიხილავ, შევჩერდები ერთ-ერთ საინტერესო საკითხზე, რომელიც წარსულ დროს უკავშირდება. ესაა – წარსული დროის გამოყენება დამოკიდებულ წინადადებაში.

აღნიშნულ შემთხვევაში წარსულ დროს აქვს ვარაუდის მნიშვნელობა (hypothetical meaning). მაგალითად:

It's time we had a holiday.

If you loved me, you wouldn't do such a thing.

როდესაც ზმნური კონსტრუქციით გამოიხატება სავარაუდო მნიშვნელობა, ეს გულისხმობს, რომ ის მოვლენა, რაზეც საუბარია, არ მომხდარა, არ ხდება და არც მოხდება. თუკი ვინმე ამბობს მაგალითად: I wish I was beautiful and clever _ ის გულისხმობს, რომ I am not beautiful and clever. ნეტა ლამაზი და ჭკვიანი ვიყო ნიშნავს, რომ არც ლამაზია და არც ჭკვიანი.

ინგლისურ ენაში გამოიყოფა სავარაუდო მნიშვნელობის სამი ფორმა: ფაქტობრივი (factual), თეორიული (theoretical) და ჰიპოთეზური (hypothetical). თითოეული განვიხილოთ მაგალითების მეშვეობით.

ფაქტობრივი (factual):

It's laughable that Septimus is in love ("Yes, it's a fact that he is in love").

თეორიული (theoretical):

It's laughable that Septimus should be in love (Whether he is in love or not is a different matter")

ჰიპოთეზური (hypothetical):

It would be laughable if septimus were in love ("But actually, he isn't in love").

აღნიშნული სამი მაგალითიდან პირველი და მესამე ერთმანეთის საპირისპიროა, მეორე კი ნეიტრალურ ადგილს იჭერს მათ შორის. წარსული მნიშვნელობის ორ მხარეს გამოყოფს ლიჩი. პირველი, წარსული დრო, როცა ის ეხება წარსულში მომხდარ მოვლენებს. ეს არის ზმნის ბუნებრივი ფორმა, რომელიც თხრობისას გამოიყენება. ამ დროით გადმოცემული მოვლენები ეხება ჭეშმარიტ ისტორიულ ფაქტებს. ლიჩი აყალიბებს მეორე შეხედულებასაც, რომლის თანახმად წარსული დრო გამოიყენება მაშინაც, როცა აღნიშნული მოვლენები შეიძლება მომავალში მოხდეს. მსგავსი მაგალითები ძირითადად სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება. (Leech 1971: 106) მაგალითად:

22. In the year A.D. 2201, the interplanetary transit vehicle zeno VII made a routine journey to the moon with thirty people on board. (www.wikipedia.org/wiki/Grammatical aspect)

ამ მაგალითში აღწერილი მოვლენა სავარაუდოდ მოხდება მომავალში. ის ჯერ არსებობს მხოლოდ წარმოსახვაში, რეტროსპექტულ ხედვაში. წარსული დრო ზოგ შემთხვევაში გამოიყენება ყოველდღიურ საუბარში, რომელიც ახლანდელისკენაა მიმართული; კერძოდ გადმოსცემს მოსაუბრის თუ მსმენელის ახლანდელ გრძნობებს და ფიქრებს. მაგალითად:

23. Did they speak about the party? Scarlet asked quickly

Yes, I think they did, said Gerald.

Oh, so she did come! Scarlett's heart became heavy.

Was Ashley there, too?

Yes, he was. (M. Mitchell, Gone With the Wind)

მოცემული დიალოგის თემა ეხება მოსაუბრის ახლანდელ სურვილებს, მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებული წარსული მარტივი დროის ფორმა. ფაქტიურად აწმყო და წარსული ურთიერთშენაცვლებადია ამ მოცემულ კონტექსტში. გარდა ამისა, წარსული დროის გამოყენებამ აღნიშნულ მაგალითში უფრო მეტად მოკრძალებული ტონი შეიტანა.

ინგლისურ ენაში წარსული განგრძობითი ფორმის გამოყენება უახლოესი მომავალი მოქმედების _ პროსპექტულობის მნიშვნელობის გადმოსაცემად საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. პროსპექტული წარსულის სემანტიკა შემდეგ სემებს მოიცავს:

1. ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობა;

2. მოქმედების წინ მიმართვა _ პროსპექტულობა;

3. მოქმედების ერთგზისობა;

4. მოქმედების დროში ლოკალიზება;

5. მოქმედების პროცესუალობა. მაგალითად:

24. I **was returning** to New York in the morning, but if you will have breakfast with me, I think I might stay over. (Th. Dreiser, An American Tragedy)

25. There was no part of her busy life that she enjoyed more than those three hours that she spent in her dressing-room between the afternoon and the evening performances. The other members of the cast **were going away**; and Erie was there to attend to her wants and the door-keeper to guard her privacy. (W.S. Maugham, Theatre)

მესამე სემა_”მოქმედების ერთგზისობა” ვერ იხამებს მრავალგზისობის აღმნიშვნელ ლექსიკურ საშუალებებს, კერძოდ კი often, sometimes, seldom და ა.შ. რაც შეეხება მეხუთე სემას_”მოქმედების პროცესუალობა” იგი ფორმის აუცილებელი კომპონენტი არ არის და მას შეიძლება ჩაენაცვლოს სემა _ “პროცესუალობა”. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს პროცესის აუცილებელ კონტაქტურობას, ან ფორმის მიერ გადმოცემული დროის პერსპექტივის კონტაქტურობას ვექტორულ ნულთან. ეს მნიშვნელობა პროცესუალობის ძირითადი გრამატიკული სემანტიკიდან გამომდინარეობს (Траева 1979: 71).

პროსპექტული წარსული განგრძობითის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი კონტექსტია საჭირო. კერძოდ, მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები; პოზიციური დროის აღმნიშვნელი ისეთი ტიპის საშუალებები, როგორცაა: soon, the next day და ა.შ. მაგალითად:

26. It was nearly bedtime and when they awoke next morning land would be in sight. Since some of the passengers **were leaving** the ship **next day** at Pago-Pago they had had a little dance that evening and in his ears hammered still the harsh notes of the mechanical piano. (W.S. Maugham, Rain)

მომავალი მოქმედების გამოხატვა წარსული განგრძობითის ფორმით გვიჩვენებს, რომ მოსაუბრე დარწმუნებულია ამ მოქმედების შესრულებაში. წარსულ განგრძობითს ამ მნიშვნელობით ნათლად გამოკვეთილი სტილისტური კონოტაცია ახასიათებს და მას პლასტიკურობის ელფერი შეაქვს სასაუბრო მეტყველებაში. ეს ფორმა ძირითადად პირდაპირ ნათქვამში და ყველა სახის არასაკუთრივ პირდაპირ მეტყველებაში გვხვდება. ავტორის მეტყველებაში გამოყენებისას იგი მთხრობელსა და პერსონაჟს შორის დაპირისპირების ნეიტრალიზაციას ახდენს.

ამგვარად, პროსპექტულობა ინგლისურ ენაში ასპექტ დროის მხოლოდ ერთი მწკრივით _ წარსული განგრძობითით გადმოიცემა. მიუხედავად ამისა იგი წარსული დროისათვის დამახასიათებელი უცვლელი მნიშვნელობაა.

2.1.5. **ექსკლუზიურობა** წარსული დროის ერთ-ერთი ვარიანტული მნიშვნელობაა. წარსული პერფექტისათვის ძირითადი კატეგორიული ნიშანია _ წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა.

წინამავლობის მნიშვნელობა გრამატიკულადაა წარმოდგენილი თვით ფორმაში. ექსკლუზიური წარსული პერფექტისათვის შემდეგი სემებია რელევანტური:

1. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა;
2. წარსული დროის ღერძის ვექტორული ნულის მიმართ კონტაქტური რეტროსპექტულობა;
3. მოქმედების დასრულება ან აღკვეთა;
4. მოქმედების ერთგზისობა;
5. მოქმედების დროში ლოკალიზება-არალოკალიზება.

პირველი ოთხი სემის რეალიზება ნეიტრალურ კონტექსტში ხდება, მეხუთე სემა_”მოქმედების დროში ლოკალიზება/არალოკალიზება” განისაზღვრება კონტექსტით. მაგალითად:

27. As soon as they **had regained** strength, they stood up, joined hands again and continued slowly on their way. (Th. Hardy, Tess of the D’urbervilles)

28. It seemed to her that none but she knew what it was like to live with a man who was such a monster of vanity. His complacency when he **had beaten** an opponent at golf or got the better of someone in a business deal was infuriating. He gloried in his artfulness. He was a bore, a crashing bore. He liked to tell Julia everything he did and every scheme that passed through his head; it **had been** charming when merely to have him with her was a delight, but for years she had found his prosiness intolerable. (W.S. Maugham, Theatre)

29. She went out. God knows I **had not wanted** to fall in love with her. I had not wanted to fall in love with any one. But God knows I had and I lay on the bed in the room of the hospital in Milan and all sorts of things went through my head but I felt wonderful and finally Miss Gage came in. (E. Hemingway, A Farewell to Arms)

ექსკლუზიური წარსული პერფექტისათვის დამახასიათებელია სინტაქსური რეალიზაციის სიფართოვე. აღნიშნული ფორმა თანამედროვე ინგლისურ ენაში უფრო ხშირად გვხვდება დამოუკიდებელ წინადადებებში, თუმცა მისი არსებობა დამოკიდებულ წინადადებებშიც შეინიშნება.

ექსკლუზიურობა წარსული პერფექტ-განგრძობითი ფორმითაც გადმოიცემა. ძირითადი კატეგორიული ნიშანი წარსული პერფექტ-განგრძობითისათვის წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობაა.

წინამავლობას თვით ზმნის გრამატიკული ფორმა გადმოსცემს. ეს ფორმა წარსული პერფექტისაგან განსხვავებით პროცესუალობის მნიშვნელობის მატარებელია. იგი მოქმედებას განფენილობაში წარმოადგენს. მაგალითად:

30. When the last bell rang, the last class ended, I let out my breath. It seemed **I had been holding** it for all that time. (J. Baldwin, Sonny's Blues)

31. After a little while a black shadow that **had been creeping** along the dripping wall for a long time, moved out into the light and came close to him with stealthy footsteps. He felt a hand laid on his arm and looked round with a start. It was one of the women who had been drinking at the bar. (O. Wilde, The Picture of Dorian Gray)

32. This was the man Dorian Gray **had been waiting** for. Every second he kept glancing at the clock. As the minutes went by he became horribly agitated. At last he got up, and began to pace up and down the room, looking like a beautiful caged thing. He took long stealthy strides. His hands were curiously cold. (ibid)

ექსკლუზიური წარსული პერფექტ-განგრძობითის ფორმისათვის შემდეგი სემები რელევანტური:

1. მოქმედების წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა;

2. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი მოქმედების კონტაქტური რეტროსპექტულობა;

3. მოქმედების პროცესუალობა;

4. მოქმედების ერთგზისობა;

5. მოქმედების აღკვეთა. როგორც ჩამოთვლილი სემები გვიჩვენებს, წარსული პერფექტ-განგრძობითი წარსული პერფექტისაგან განსხვავდება სემით “მოქმედების პროცესუალობა”, რომელიც შემდეგი სახის ლექსიკურ საშუალებებს იხამებს: long, for days, for years, for an hour და ა.შ.

2.1.6. წარსული დროის კიდევ ერთი ვარიანტული მნიშვნელობა გახლავთ – **ინკლუზიური წარსული**. ინკლუზიური წარსული აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც ჯერ კიდევ წარსულის მომენტამდეა დაწყებული და წარსულის მომენტსაც მოიცავს. წარსული პერფექტი ინკლუზიური მნიშვნელობით შედარებით იშვიათად გვხვდება.

ინკლუზიური წარსული პერფექტი შემდეგი სემებით გადმოიცემა:

1. მოქმედების წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა;

2. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში;

3. მოქმედების ერთგზისობა;

4. მოქმედების წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან კონტაქტური რეტროსპექტულობა;

5. მოქმედების დროში ლოკალიზება.

როგორც ჩანს, ინკლუზიური წარსული პერფექტი ექსკლუზიური წარსული პერფექტისაგან ორი სემით განსხვავდება: “წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში” და “მოქმედების დროში ლოკალიზება.” ეს უკანასკნელი ნაწარმოებია სემისაგან “ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში.”

ინკლუზიური წარსული პერფექტის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი კონტექსტია საჭირო:

1. უზღვრადი ან ორმაგი ასპექტური ბუნების ზმნები

2. გარემოებითი სიტყვები, როგორცაა: for the first time, since, since Monday და ა.შ. ასევე გარემოებითი სიტყვები, რომლებიც მოქმედების ან მდგომარეობის ხანგრძლივობას გადმოცემენ: for a long time, long since და ა.შ. მაგალითად:

33. **For the first time** since I met him I noticed that life **had deepened** the distant stillness in which he **had always moved**. (J. Baldwin, Sonny's Blues)

ინკლუზიური მნიშვნელობით ასევე გვხვდება წარსული პერფექტ-განგრძობითის ფორმაც. ეს ხდება მაშინ, როცა წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნული ჩართულია მოქმედების განფენილობაში. მაგალითად:

34. **I had been dreaming** about wrapping bread in colored paroblendeum Filmex. I had dreamed a fullpage spread in a national magazine. Bring Some Color into Your Bread box. (J. Cheever, The House-breaker of Shady Hill)

35. I thought Catherine was dead. She looked dead. Her face was gray, the part of it that I could see. Down below, under the light, the doctor **had been sewing** up the great long, forcep-

spread, thick edged wound. Another doctor in a mask gave the anaesthetic. Two nurses in masks handed things. It looked like a drawing of the Inquisition. I knew as I watched I could have watched it all, but I was glad I hadn't. (E. Hemingway, A Farewell to Arms)

წარსული პერფექტ-განგრძობითისათვის ამ მნიშვნელობით შემდეგი სემეზია რელევანტური:

1. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ მოქმედების წინამავლობა;

2. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში;

3. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან კონტაქტური რეტროსპექტულობა;

4. მოქმედების პროცესუალობა;

5. მოქმედების ერთგზისობა;

6. დროში მოქმედების ლოკალიზება.

ამ მნიშვნელობის რეალიზაციისათვის წარსული პერფექტ-განგრძობითი საჭიროებს სასურველ კონტექსტს: 1. უზღვრად ან ორმაგი ასპექტური ხასიათის ზმნებს, 2. საშუალებებს, რომლებიც ვექტორული ნულის მოქმედების განფენილობაში ჩართვაზე მიუთითებენ. ექსკლუზიური წარსული პერფექტ-განგრძობითისაგან ინკლუზიური პერფექტ-განგრძობითი მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელს შეუძლია ვექტორული ნული ჩართოს მოქმედების განფენილობაში.

ამგვარად, ინკლუზიური წარსულის რეალიზება ასპექტ დროის ორი ფორმით: წარსულ პერფექტი და წარსული პერფექტ _ განგრძობითით ხდება.

2.1.7. წარსული დროის შემდეგი ვარიანტული მნიშვნელობაა _ რეზულტატური წარსული. იგი თავისთავად მოქმედების შედეგზე მიუთითებს. წარსული პერფექტი ახლანდელი პერფექტის მსგავსად გადმოცემს მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებს _ სუბიექტისა და ობიექტის მდგომარეობას, რომელიც დასრულებული მოქმედების შედეგია.

რეზულტატური წარსულის სემანტიკა შემდეგ სემებს მოიცავს: 1. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა; 2. წარსული დროის ვექტორულ ნულთან კონტაქტური რეტროსპექტულობა; 3. მოქმედების

დასრულება; 4. მოქმედების რეზულტატურობა; 5. მოქმედების შედეგი და ზოგადად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. მაგალითად:

36. No one knew better than I what you **had gone** through and I wanted to stop fighting and let me fight for you. I wanted you to play, play like a child – for you always **had been** a child. (M. Mitchell, *Gone with the Wind*)

37. For the next two months, Scarlett was happy. She **had felt** the quickness of Ashley's heart when her arm went round his neck. She **had seen** the look on his face. Oh, he loved her! She was sure of this now, and could almost feel sorry for Melanie. (ibid)

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, ამ მნიშვნელობით წარსული პერფექტი ექსპლიციტურად და იმპლიციტურად გამოხატავს მდგომარეობას. დრო წარმოდგება როგორც წყვეტა-უწყვეტობის ერთიანობა.

რეზულტატური წარსული დროის კიდევ ერთი ფორმით – წარსული პერფექტ-განგრძობითითაა წარმოდგენილი. მასში წარსული პერფექტისაგან განსხვავებით დამატებით ერთი სემაა წარმოდგენილი – “მოქმედების პროცესუალობა.” მაგალითად:

38. She was so beautifully out of contact but **it had been eating** her life away. (D. Lawrence, *Lady Chatterley's Lover*)

რეზულტატური ფუნქცია მოქმედების იმპლიციტირებას როგორც აღნიშნული მოქმედების შედეგის რეალიზაციას ითვალისწინებს.


ამგვარად, წარსული დროის პარადიგმული მნიშვნელობა – საუბრის მომენტთან მოქმედების არაერთდროულობაა, მისი დროის ისეთი პერიოდისათვის განკუთვნიება, რომელიც სინამდვილეში უკვე მომხდარია, ჩაბარებული წარსულს. ეს არის წარსულის რეალური ფაქტი, რომელიც ახლანდელთან დაკავშირებული არაა (Бархударов 1973: 169).

“წარსულის სფეროში უფრო ნათლად ვლინდება ენის სისტემის მიდრეკილება, რომ ობიექტური სინამდვილის პროცესების მკაფიო დროითი ლოკალიზაცია მოახდინოს. ამიტომ წარსული დრო ძლიერი გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც უფრო ნათლადაა გამოკვეთილი ვიდრე არა წარსული” (მეგრელიშვილი 1986: 220). წარსული დრო მაღალი სემანტიკური პოტენციალის მქონეა. მისი ინვარიანტული, თუ მრავალფეროვანი ვარიანტული მნიშვნელობები ასპექტ-დროის ოთხი ფორმით გადმოიცემა. ესენია: მარტივი წარსული (Simple Past), წარსული განგრძობითი (Past

Continuous), წარსული პერფექტი (Past Perfect), წარსული პერფექტ _ განგრძობითი (Past Perfect Continuous). სქემატურად კი აღნიშნული შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს:

სქემა 6

წარსული დროის ვარიანტულ მნიშვნელობათა გადმოცემის საშუალებები ინგლისურ ენაში



2.2 წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტური შინაარსის გამოცემის

საშუალებები ინგლისურ ენაში

წარსული დროის საფუძვლიანად შესასწავლად აუცილებელია განვიხილოთ ყველა ასპექტი, რომელიც აღნიშნული დროით სფეროს კიდევ უფრო რთულს, მრავალფეროვანს და საინტერესოს ხდის. ჩემი თემის ამ ნაწილში განვიხილავ წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციებს, მათ თავისებურებებს და დანიშნულებას დროის ემოციური შეფერილობის სრულქმნის პროცესში.

ზმნური ფორმების ვარიანტების გამოყოფა, როგორც ვნახეთ, ხდება ასპექტუალურ-ტემპორალური პრინციპით, ხოლო კომპოზიციური ნიშნის მიხედვით გამოიყოფა ფუნქციები. გრამატიკული ფორმები ის ენობრივი საშუალებებია, რომლებითაც გადმოიცემა ამა თუ იმ ფუნქციის მნიშვნელობა. დროითი ფორმების კომპოზიციური ფუნქციები გამოიყოფა მათი უნარის მიხედვით ჩაერთონ თხრობის ორგანიზებაში. მაგალითად, როგორებიცაა თხრობითი ფუნქცია, აღწერილობითი ფუნქცია და ა.შ. თითოეული კომპოზიციური ფუნქციის განხორციელება მისთვის განკუთვნილი გრამატიკული ფორმის საშუალებით ხდება, რომელიც კონტექსტის სხვა ელემენტებთან ურთიერთქმედებს.

როდესაც ვახდენთ წარსული დროის ფორმების მნიშვნელობებისა და ფუნქციების კანონზომიერებათა ანალიზს, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციები და ფორმათა კომპოზიციურ-სტილისტური პოტენციალი. ენათმეცნიერ მარტინისა და პრალის ფუნქციურ-ლინგვისტური სკოლის წარმომადგენელთა მიხედვით, ფუნქციის დეფინიცია შემდეგნაირია: ეს არის როლი, რომელიც დაკისრებული აქვს მოცემულ ენობრივ ერთეულს საუბრის პროცესში. კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციათა ერთობლიობა, რომელიც ტექსტში რეალიზდება, შეიძლება განვიხილოთ როგორც ფორმათა კომპოზიციურ-სტილისტური პოტენციალი (Траева 1979:21). ამა თუ იმ დროის ფორმის გამოყენების ცალკეულ შემთხვევაში ხორციელდება მხოლოდ რომელიმე გარკვეული ფუნქცია ან შესაბამის ფუნქციათა ნაკრები. ე.ი. გრამატიკული მნიშვნელობებისა და ფორმების

დასადგენად არსებითად გვევლინება კონტექსტისა და კონტექსტური კავშირების შესწავლა.

ამრიგად, კვლევისას ამოსავალ პუნქტად გვევლინება ტექსტი, როგორც ენობრივი ქმნილება. კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციების გამოყენება, როგორებიცაა: თხრობითი, აღწერილობითი, დრამატული, რეტროსპექტული და რეზულტატური _ დამახასიათებელია წარსული დროის ამსახველი ტექსტებისათვის. თითოეული ეს ფუნქცია გარკვეული გრამატიკული ფორმით გადმოიცემა. განვიხილოთ მოცემული კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციები ცალ-ცალკე.

2.2.1. **თხრობითი ფუნქცია** წარსული დროის მნიშვნელოვანი კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციაა. მისთვის დამახასიათებელია მოქმედების თანმიმდევრობა, რომელიც თხრობას ერთი მიმართულებით წარმართავს. დროის ღერძზე მოქმედება განლაგდება მკაცრი განრიგის მიხედვით. მხატვრული დრო აქ ემორჩილება ობიექტური დროის კანონებს: იგი ერთი მიმართულებით ვითარდება და წარმოდგენილია როგორც კონსტანტურად ორიენტირებული სიდიდე. აღნიშნული ფუნქციის რეალიზება ინგლისურ ენაში ხდება ასპექტ-დროის ორი მწკრივით: მარტივი წარსული და წარსული პერფექტი დროის ფორმებით.

პირველ რიგში განვიხილავ თხრობითი ფუნქციის მნიშვნელობას და თავისებურებებს წარსული მარტივი დროის მწკრივით გადმოცემისას. მაგალითად:

39. Ashley **bent** his head to her face and **as** he bent, at first touch of his lips on hers, he **felt** a sudden tensing of all muscles. Swiftly **dropped** the hat to the floor and, reaching up, **detached** his arms from her neck. (M. Mitchell, Gone with the Wind)

40. She moved a few more paces, disappeared through the scullery door, **and** could be heard setting the dishes down on the table **before** she came back and confronted him. (J. Wain, A Travelling Woman)

41. My friend **saw** the priest from our mess going by in the street, walking carefully in the slush, and **pounded** on the window to attract his attention. The priest looked up. He saw us and smiled. My friend **motioned** for him to come in. The priest **shook** his head and **went on**. (E. Hemingway, A Farewell to Arms)

წარსული დრო მონაწილეობს დროის, როგორც კატეგორიის გამოხატვაში, რომელიც ერთი მიმართულებით ვითარდება. დროის ნაწყვეტი, გამოხატული ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, დისკრეტულია. ცხადია, უმჯობესია ვისაუბროთ

წყვეტილობა/უწყვეტელობის დიალექტიკურ ერთიანობაზე. დისკრეტულობა (წყვეტილობა) იქმნება მოვლენათა დანაწევრების, მოვლენათა ჯაჭვის კონსტრუირების ხარჯზე, რომლებითაც იზომება დრო. არადისკრეტულობა (უწყვეტელობა) იქმნება მოცემული ეპიზოდის მოვლენათა ნაკადში ჩართვით. ერთი და იგივე გრამატიკული ფორმის გამოვლენა გამოხატავს აღწერილ მოქმედებათა თანმიმდევრობას. დრო განხილულ მაგალითებში ერთმიმართულებიანია და მოწესრიგებულად თანმიმდევრულია.

წარსული დროის თხრობითი ფუნქციის გამომსახველი მაგალითები ხასიათდება დინამიურობით, რომელიც ქმნის თანმიმდევრულად მოწესრიგებულ მოვლენათა რიგს. მოქმედებათა სიმჭიდროვე სხვადასხვა მაგალითებში სხვადასხვაა. სიმჭიდროვეს თავად მოცემული ფუნქციის ბუნება განაპირობებს.

განვიხილოთ 39-ე მაგალითი. პირველი რთული წინადადების სტრუქტურაში ფიქსირდება კავშირის as არსებობა, რომელიც აკონკრეტებს და აზუსტებს მოქმედებათა თანმიმდევრობას. ეს კავშირი გამოხატავს მოქმედების ერთდროულობას და არა მსვლელობას. პირველი ორი მოქმედება ურთიერთმონაცვლე სერიიდან ერთდროულია. ეს დაზუსტებანი სხვადასხვა დონის მოვლენებით შემოდის ტექსტში: 1. დროის მაქვემდებარებელი კავშირი as; 2. წინადადების სტრუქტურით, რომელიც მოიცავს დროით დამოკიდებულებას; 3. ლექსიკური გამოვლენებით. გამოვლენა არა მარტო აკონკრეტებს დროთა მიმართებებს, არამედ როგორც კავშირი as ანელებს დროის მსვლელობას იმისათვის, რომ საკვანძო მომენტის აღქმა _ he felt a sudden tensing of all muscles – მომზადდეს წინამდებარე ტექსტის სეგმენტით. ჩვეულებრივ საუბარში ეს გარემოება შეიძლება განხილული ყოფილიყო, როგორც გადაჭარბებული. მხატვრულ ტექსტში კი მორფოლოგიური ფორმის არჩევა და მისი გამოვლენა განისაზღვრება ინფორმაციით, რომელიც დამატებითია ძირითად ენობრივ ერთეულებთან მიმართებაში. მხატვრულ ნაწარმოებში ეს ინფორმაცია შესაძლოა დომინირებდეს. შემდეგ მოქმედება სწრაფად ვითარდება, რასაც ბოლო წინადადებაში ხელს უწყობს ზმნების ლექსიკური ხასიათი _ drop, detach. აღნიშნულ ზმნებზე საუბრისას შეიძლება გამოვყოთ მათთვის დამახასიათებელი საერთო თვისება _ მოძრაობა.

მე-40 მაგალითში მოქმედების თანმიმდევრობა გამოიხატება მათი განლაგებით. შემდეგ დროთა მიმართება ზუსტდება and და before კავშირებით. And კავშირს არ გააჩნია სპეციალური დროითი მნიშვნელობა და გამოიყენება როგორც კომპოზიციური საშუალება, რომელიც აკავშირებს თანმიმდევრული მოქმედების გამაერთიანებელ ერთგვაროვან შემასმენლებს. Before კავშირს შემოაქვს ინფორმაცია მოქმედების მსვლელობის შესახებ. იგი ასრულებს ერთი მოქმედების დამასრულებელი სიგნალის როლს _ setting the dishes on the table – და მეორეს დაწყებას. მოძრაობის მიმართულებას, მოქმედების ხანგრძლივობას და ა.შ. აზუსტებს ასევე არსებითი სახელების ჯგუფებიც _ a few more paces, through the scullery door.

თხრობითი ფუნქციის გადმოსაცემად მარტივი წარსული დროის ფორმა ლექსიკურ სპეციფიკატორებს ითანხმებს. წარსული დრო თხრობით ფუნქციაში გვაახლოვებს ობიექტური სამყაროს ცალკეულ ფაქტებთან, რომლის საშუალებით ავტორი თხრობის ინდივიდუალიზაციას ახდენს. ამრიგად, გრამატიკა _ მოცემულ შემთხვევაში ზმნის ფორმები განსაზღვრულ ამოცანას ემსახურებიან შინაარსის აგებაში _ თხრობის ინდივიდუალიზაციაში. ინდივიდუალიზაცია უპირისპირდება მნიშვნელობის შესაძლო განზოგადებას, რაიმე ემპირიული სინამდვილის მოდელის შექმნას. ამ მიზნით წარსული დრო თხრობით ფუნქციაში არ გამოიყენება. ეს ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია თხრობითი ფუნქციისა. წარსული მარტივი დროის გრამატიკული ფორმები კონკრეტულად ხატავენ გარკვეულ ცხოვრებისეულ სიტუაციას. თითოეულ განხილულ შემთხვევაში იქმნება არა სინამდვილის განზოგადებული მოდელი, არამედ კონკრეტული ნაწყვეტი რეალების სამყაროდან. ინდივიდუალიზაციას ხელს უწყობს სრულყოფილი ენობრივი გამოხატულება აღწერილი სიტუაციისა ზმნის ფორმებით, რომლებიც განისაზღვრება მოქმედების და მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვებით, რომლებიც აზუსტებენ მოქმედების ხასიათსა და მიმართულებებს, შემოაქვთ ნაწარმოებში მატერიალური სამყაროს წვრილმანთა აღწერის ხელოვნება, ცალკეული შემთხვევის განმსაზღვრელობა. მკაფიო პარამეტრები აღწერილი სიტუაციისა ართმევენ მათ განმსაზღვრებელ ძალას. კონკრეტულობა და ცალკეულობა აქ უპირისპირდება განზოგადებულსა და აბსტრაქტულს.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები აღებულია როგორც “ღია” (ისტორიულად განსაზღვრული), ისე “დახურული” (ისტორიულად განუსაზღვრელი) დროის მქონე ნაწარმოებებიდან. მოვლენები გარკვეული ისტორიული ქარგის ფონზე ვითარდება. ნაწარმოების დრო ერთვის ობიექტური დროის ფართო ნაკადს, იგი არა არის გამიჯნული ისტორიული დროისაგან. ზმნის ფორმათა გრამატიკული სემანტიკა ეყრდნობა რეალურ წარსულთან კავშირის გამოვლენის შესაძლებლობას. მე-40 მაგალითში, რომელიც ვეინის რომანიდანაა მოყვანილი, მიუხედავად იმისა, რომ არ არის მოცემული უშუალო მითითებები ისტორიულ დროსთან კავშირზე, დრო აღიქმება, როგორც წარსული. არ არსებობს გამიჯნულობა პერსონაჟების, ავტორისა და მკითხველის აღქმას შორის. მივმართოთ სხვა მაგალითებს:

42. The night was no different from a thousand others **in our time**. We should wake nights... and when we knew his rocket was over our house, - his rocket and the oak trees swaying from the concussion... That was **my father’s ship passing** over our town, a small town where **space rockets** never came...

I **lifted** my head from my pillow. Far down the street, coming closer and closer....foot steps. Now turning in at our house up the porch steps. (R. Bradbury, The Rocket Man)

43. When the man **came in**, carrying the machine, most of us **looked up** from our drinks, because we **had never seen** anything like it before. The man set the thing down on top of the bar near the beerpulls. It **took up** an ungodly amount of room and you could see the bartender didn’t like it any too well, having this big, ugly-looking gadget parked right there. (E.B. White, The Hour of Letdown)

რ. ბრედბერის ფანტასტიკური მოთხრობიდან მოყვანილ მაგალითში მოქმედება იშლება მომავალში. აღწერილი მოვლენები უკავშირდება ამ ხსენებული მოვლენების შემცველ არსებული ათწლეულის დასასრულს. ეს მოთხრობაა მომავალზე, მაგრამ მისი ადრესატები თანამედროვენი არიან. (მომავალი აღწერილია ახლანდელისათვის, მაგრამ წარმოდგენილია როგორც წარსული). ფანტასტიკური მოთხრობები განსაკუთრებული საშუალებაა სინამდვილის აღქმისათვის. აღწერენ რა ობიექტურ სამყაროს თავისებურად, ისინი ამასთანავე ახდენენ მის კონსტრუირებას. მოქმედების დრო იგება ფაქტორების გვერდით, მათთან ერთად. მაკროტექსტიდან მკითხველი გეგულობს, რომ მოქმედება ვითარდება გარკვეული ისტორიული ეპოქის ფონზე, და ერთვება მოქმედებათა დინებაში, რომლებიც სრულდება ნაწარმოების

ფარგლებს გარეთ. ეს არის ეპოქა კოსმოსური, პლანეტათა შორის მოგზაურობისა. მიუხედავად იმისა, რომ ზმნები წარსულ დროშია ჩასმული, თანამედროვე მკითხველი ხვდება, რომ საუბარია მომავალზე. ავტორის მეტყველების მომენტი, როგორც ანთოლოგიური საფუძველი დროთა მიმართებების ნაწარმოებში – არარელევანტური სიდიდეა. წარსული დრო გამოდის როგორც წმინდად რელატიური ვექტორული სიდიდე, რომელიც მიუთითებს კონსტანტურ მიმართულებას მოქმედების დროის პირობითად აღებული ათვლის წერტილის მიმართ.

დროის ფარდობითობა იქმნება სხვადასხვა დონის ენობრივ საშუალებათა გზით. 42-ე მაგალითში ერთ-ერთ ასეთ საშუალებად გვევლინება არსებით სახელთა სპეციალიზირებული ჯგუფი დროის მნიშვნელობით – **in our time**, რომელსაც შეჰყავს მკითხველი მოვლენათა გარკვეულ რიგში და ქმნის სიზუსტეს, დროთა მახასიათებლების კონკრეტულობას. ეს სიზუსტე ფიქტიურია, ისევე როგორც აღწერილი მოვლენები. სწორედ, ამ მოჩვენებით გარკვეულობაში – **in our time** – ჩადებულია პირველი მინიშნება, რომლის დახმარებით მკითხველს განაწყობენ იმ ინფორმაციის მისაღებად, რომელიც თითქოსდა მოგვეწოდა მომავლიდან, ათწლეულების შემდეგ. შემდგომი დაზუსტება ხდება ლექსიკურ დონეზე ისეთი სიტყვების შემოტანით, როგორებიცაა **the rocket, my father's ship passing over our town, space rockets** და ა.შ. სხვადასხვა დონის ყველა საშუალება განსაზღვრავს ნაწარმოების დროით ჩარჩოებს.

ზმნის გარკვეული გრამატიკული ფორმები გამოხატავს მოქმედების მიკუთვნებას წარსულთან, და ამასთან ერთად შედის რეალური დროის კოლიზიაში. ერთდროულად იქმნება ორი პლანი: ერთის მხრივ, აღწერილი მოვლენები შეუძლებელია თანამედროვე ადამიანის თვალთახედვით და ამიტომ იგი მას მომავალს მიაკუთვნებს, ხოლო მეორეს მხრივ, ისინი მთხრობელის მიერ წარმოდგენილია როგორც წარსულში მომხდარი მოვლენები. ხდება აღქმის დანაწევრება – პერსონაჟები, ერთის მხრივ, და ავტორი და მკითხველი მეორეს მხრივ. აქ აშკარაა განსხვავება ზმნის გრამატიკულ ფორმებს შორის კომუნიკაციის ორ პლანში – უშუალო ურთიერთობის პლანში და სიუჟეტის პლანში. უშუალო

ურთიერთობის პლანში დროის ენობრივი კატეგორიაა, რომელიც ზმნის ფორმებითაა გადმოცემული, უკავშირდება ემპირიულ დროს. სიუჟეტის დონეზე – ეს წმინდა რელატიური სიდიდეებია, რომლებიც არ არიან დაკავშირებული არც ერთ ემპირიულ დროით პლანთან.

თხრობითი ფუნქცია მეტად აქტუალურად გამოიყენება წარსულის სფეროში და ამდენად, მისი ფუნქციობა მკაფიოდ გადმოიცემა წარსულის წრის დროის ფორმებით. თხრობითი ფუნქციის განხორციელების მეორე, არანაკლებ გავრცელებული დროის ფორმა ინგლისურ ენაში, პერფექტული დროა. კონკრეტულ შემთხვევაში განვიხილავ მაგალითებს წარსული პერფექტის გამოყენებით.

44. Rosalind's life in Chicago **had changed**. First it **had run** forward, **had turned**, **had twisted** and then stopped changing. It had been like a stream that apparently turns back toward its source. The Rosalind recalled. In Chicago when she had first gone there to like a thing had sometimes happened that had startled Rosalind... (Sh. Anderson, Out of Nowhere into Nothing)

45. Dave had fifty cents in his pocket and I was determined not to let him buy me anything to eat. He **had baled** waste paper in a basement factory off and on for two weeks and when he worked, he made fifty cents a day. He **had worked** the day before in the basement, and the money had been kept all the time. (E. Caldwell, Slow Death)

წარსული პერფექტის კომპოზიციური დატვირთვა მდგომარეობს თხრობის მოძრაობაში, თანმიმდევრული რიგის მოქმედებათა შექმნაში, რომლებიც ერთმანეთს გასდევს დროში, ან ერთდროულია ამ ნაწილობრივ ერთმანეთზე გადაჯაჭვული.

ამას მოწმობს სიტუაციათა ანალიზი. მოქმედებები – had changed, had run, had turned – თანმიმდევრულია. იმ როლის მიხედვით, რომელსაც წარსული პერფექტი თხრობით ფუნქციაში ასრულებს გადმოცემის ორგანიზებისათვის, იგი უახლოვდება წარსულ მარტივს. განსხვავება თხრობის მრავალპლანიანი დროის შექმნაში მდგომარეობს. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ სწორედ წარსული სრული თხრობით ფუნქციაში გამოიყენება არასაკუთარი პირდაპირი მეტყველების სხვადასხვა სახეობისათვის.

თხრობითი ფუნქცია მხოლოდ ზმნურ ფორმებს არ გააჩნიათ. მოქმედების გაშლაში გრამატიკულ ფორმებთან ერთად მონაწილეობს კონტექსტის სხვა ელემენტები. უპირველესად უნდა აღინიშნოს სინტაქსური საშუალებები:

პოლისინდეტონი და პარატაქსისი (სინტაქსურ ურთიერთობათა გამოხატვის საშუალება, კავშირების გარეშე ელემენტების შეფარდება). პარატაქსისი ხელს უწყობს პარალელური დამოუკიდებელი წინადადებებით გადმოცემული მოქმედებების განლაგებას დროთა მკაცრი თანმიმდევრობით. პოლისინდეტონი ხელს უწყობს ახალი ინფორმაციის ორგანიზებას განსაზღვრული გზით: უცვლელ თემას უერთდება ახალი ელემენტები. მოვლენები, რომლებიც იშლება ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში, წარმოგვიდგება როგორც სწრაფად მიმავალი თანმიმდევრობა. შემდეგ თხრობა “ჩერდება”, დრო იყინება. ორი თანმიმდევრული წინადადება _ Rosalind’s life in Chicago had changed. It had been like a stream that apparently turns back toward its source - აჯამებენ ინფორმაციას, რომელიც ჩადებულია განხილული ნაწყვეტის პირველ წინადადებაში. შემდეგ იწყება თხრობის ახალი ხაზი: Rosalind recalled... მკაფიო დროთა თანმიმდევრობა მოვლენებს შორის არ არის. აზრობრივად როზალინდი წარსულის რეკონსტრუირებას ახდენს. წარსული და ახლანდელი წამიერად ერთმანეთში გადადიან.

ლექსიკური საშუალებანი, ზმნა recall, მაზუსტებელი დროის ჯგუფი _ when she had first gone there – ხელს უწყობს თხრობის გადაყვანას სხვა დროის სიბრტყეში. ციტირებულ ნაწყვეტში შეინიშნება ორი მწვერვალის არსებობა. თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში წარსული პერფექტი დრო არც თუ იშვიათად გამოიყენება თხრობით ფუნქციაში, იგი ხორციელდება მთხრობელის გეგმასა და არასაკუთარ პირდაპირ მეტყველებაში.

2.2.2. შემდეგი კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქცია, რომელსაც განვიხილავ _ აღწერილობითი ფუნქციაა. იგი გადმოგვცემს სუბიექტის თვისობრივ დახასიათებას: მოქმედება ან მდგომარეობა, რომელიც სუბიექტს მიეწერება იძენს კვალიფიციურ მნიშვნელობას.

აღნიშნულ ფუნქციაში უმეტესად გვხვდება მაკავშირებელი ზმნები, რომლებიც მიუთითებენ თვისების არსებობაზე, მათ შემადგენლობაზე. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი გამოიყენების მხრივ to be ზმნას უჭირავს. არც თუ იშვიათად ეს ზმნა გამოიყენება თავისი ძირითადი მნიშვნელობით _ “არსებობა”.

მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენენ ზმნები, რომლებიც მიუთითებენ საგნის ან პიროვნების განლაგებაზე სივრცეში. მაგალითად:

46. He **lay flat** on the brown, pine-needled floor of the forest, his chin on his folded arm and high overhead the wind **blew** in the tops of the pine trees... **There was** a stream alongside the road and far down the pass he saw a mill beside the stream and falling water of the dam, white in the summer sunlight. (E. Hemingway, For Whom the Bell Tolls)

47. **There was** an old two-storey yellow house on Fielding Avenue that year. We used to go there and sit on the front porch steps and watch the automobiles go by and act as if we lived in the house. It was a big house and we **didn't know** anything about it. (W. Saroyan, Three, Four, Shut the door)

48. The shoor was fledged **with palm trees**. **These** stood or leaned or reclined against the light and their green feathers were a hundred feet up in the air. The ground beneath them was a bank covered with coarse grass, torn everywhere. (W. Golding, The Lord of the Flies)

მსგავსად შინაგანი ლექსიკური განპირობებისა, შეინიშნება კონტექსტის სტრუქტურული განპირობება, რომელიც შეიცავს მარტივი წარსული დროის ფორმას აღწერილობით ფუნქციაში. ყველაზე ხშირად ვხვდებით შემასმენლის ტიპს – სახელობითი შემასმენელი. შედგენილი სახელობითი შემასმენლის ფართო გამოყენება აიხსნება მისი სემანტიკით – სუბიექტის მახასიათებელთა, მისი თვისებების და შემადგენლობის გამოხატვით.

როგორც ვხედავთ, ასეთივე შეთანხმებით შემასმენლის სემანტიკასა და კონტექსტს შორის, რომელიც შეიცავს დროით ფორმას აღწერილობით ფუნქციაში, უნდა ავხსნათ there was (there is) კონსტრუქციის ხშირი გამოყენება.

აღწერილობითი ფუნქციის გადმოსაცემად მარტივი წარსული დროის ფორმა იყენებს კიდევ ერთ განსაკუთრებულ სტრუქტურას – თანმხლებ გარემოებებსა და ადგილის გარემოებებს, რომლებიც სივრცითი ორიენტირები არიან და აზუსტებენ პირის ან საგნის მდებარეობას სივრცეში. მოცემული მაგალითები მრავლად შეიცავს განსაზღვრებებს. აღწერილობითი ფუნქციის შემცველ ნაწყვეტებში ხშირად ვხვდებით სიტყვათა ინვენსირებულ წყობას და ადგილის გარემოებათა გადმოტანას პრეპოზიციისაში, იმდენად, რამდენადაც სივრცითი პერსპექტივის ძირეულად განსაზღვრა არის ზუსტი ფიქსირება სივრცითი მიმართებებისა. ეს აგრეთვე

წინადადების განწევრებასთან არის დაკავშირებული და სიტყვათა წყობის ისეთ საშუალებად გამოყენებასთან, რომელთაც ახალი ინფორმაცია შემოაქვთ.

შევჩერდეთ წარსული დროის **აღწერილობითი ფუნქციის** მხატვრული დროის შექმნაზე. თითოეული მოყვანილი მაგალითი ხასიათდება მიკროდროით. დროის სამყარო, რომელიც იგება სხვადასხვა დონის ელემენტებთან შეთანხმებით, შეიძლება შევადაროთ დიაპოზიტივების ჩვენების დროს, როცა უწყვეტი დროის ნაკადი ჩერდება.

წარსული მარტივი დრო ხელს უწყობს ცენტრისკენული ტენდენციის რეალიზაციას მოქმედების განვითარებისას. ნაცვლად თანდათანობითი მოძრაობისა შეინიშნება დროის მნიშვნელობათა კონცენტრაცია გარკვეული წერტილის მიმართულებით, აღწერილი მოვლენების სინქრონულობა.

შევეცდებით დავადგინოთ, რომელი ტენდენცია _ ავტოსემანტიისა თუ სინსემანტიისა _ დომინირებს წარსული მარტივი დროის აღწერილობით ფუნქციაში გამოყენებისას. განხილული მაგალითებიდან (47-ე და 48-ე მაგალითებში) თითოეული ქმნის კონკრეტულ სახეთა რიგს, რომელთათვის უპირატესად გამოიყენება სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულები: პირის ნაცვალსახელები (განსაკუთრებით I და II პირის ნაცვალსახელები სრულ სინსემანტიურ ერთეულებად არ შეიძლება ჩაითვალოს. სახელობითი ბრუნვის ნაცვალსახელები თვით არსებითებზე არა ნაკლები სიზუსტით აღნიშნავენ პირს. ირიბ თქმაში ავტოსემანტია იკარგება, პირველ ხაზზე გამოდის მაჩვენებელ-შემეცნებითი ფუნქცია. სახელობით ბრუნვაში მდგარი პირის ნაცვალსახელების ფუნქციასთან ამგვარი მიმართებებისას, შეიძლება ვისაუბროთ ავტოსემანტიისადმი ჭარბ ტენდენციაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემულ მაგალითებში არ შეინიშნება სინსემანტიური ერთეულები. მეორე ნაწყვეტში ერთგვარ მაკავშირებლად წინადადებებს შორის გვევლინება ჩვენებითი ნაცვალსახელი these (48-ე მაგალითში). იგი სუბსტიტუტის როლში გამოდის და შემოჰყავს წინადადებაში ჯგუფი with palm trees (48-ე მაგალითში). იგივე პრინციპი მეორდება შემდეგ წინადადებებში. წინადადებათა გადაბმის საშუალებას შეიძლება მივიჩნიოთ დროის ფორმათა ერთიანობა, სიტყვების წყობა, ადგილის გარემოებათა პრეპოზიციაში მოთავსება. ტენდენცია კონტექსტის ავტოსემანტიისადმი საშუალებას იძლევა

ვივარაუდოთ რომ ავტოსემანტია/სინსემანტია და
ერთმწვერვალიანობა/მრავალმწვერვალიანობა განსაზღვრულ
ურთიერთდამოკიდებულებაშია. ისინი ერთობლივად მოქმედებენ, თანაარსებობენ.

მრავალმწვერვალიანობა, როგორც მოვლენათა შერწყმა, რომელთა შორის
მდებარეობს განსაზღვრული სიუჟეტური სივრცე, როგორც დაბრუნება რაიმესაკენ,
რაც უკვე ჩადებულ კონტექსტში ითვალისწინებს სხვადასხვა ასოციაციებსა და
მიზეზ-შედეგობრივი კავშირების არსებობას. აქედან გამომდინარეობს გამოთქმათა
სინსემანტია. როგორც ჩანს, შეიძლება წარმოვიდგინოთ მრავალმწვერვალიანობა და
სინსემანტია როგორც სხვადასხვა რანგის მოვლენები. მრავალმწვერვალიანობა,
როგორც მოვლენა უფრო მაღალი რანგისა და რეალიზდება გამოხატვის დონეზე
სინსემანტიური ერთეულების დახმარებით. იგივე უნდა ითქვას ავტოსემანტიასა და
ერთმწვერვალიანობაზე. ერთმწვერვალიანობა გაიგება კონტექსტის ისეთ
სტრუქტურად, რომელშიც არაა მითითება ამა თუ იმ ფორმისაკენ, წინა თხრობის
სიუჟეტურ მონახაზთან დაბრუნებისა. იგი გვთავაზობს კონტექსტის, თხრობის დიდ
თავისუფლებას, ამასთან ნაკლებ კავშირს მთლიან კონტექსტთან.

ავტოსემანტიისადმი ტენდენცია შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ თითოეულ
განაალიზებულ მაგალითში ხდება მხატვრული სინამდვილის არა განზოგადებული,
არამედ ინდივიდუალიზირებული ნაწყვეტის კონსტრუირება. აღწერის ძალა აქ
მდგომარეობს არა განზოგადებაში, არამედ ინდივიდუალიზაციაში.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტ-დროის მწკრივი, რომლის
საშუალებითაც გადმოიცემა აღწერილობითი ფუნქცია წარსულ დროში არის
წარსული განგრძობითი დროის ფორმა. წარსული განგრძობითი აღწერილობით
ფუნქციაში ინარჩუნებს ფორმისათვის დამახასიათებელ გრამატიკულ სემანტიკას და
ხდება მისი სტილისტური პოტენციალის რეალიზება. ფორმა მონაწილეობს
სუბიექტის თვისობრივი დახასიათების შექმნაში – მოქმედება ან მდგომარეობა,
რომელიც მას მიეწერება იმენს მაკვალიფიცირებელ კონტაქტებს. იმის გამო, რომ
ფორმა გამოხატავს მოქმედებას, რომლის დროითი დიაპაზონი შემოსაზღვრულია
ნიშანი ატარებს ცვალებად ხასიათს. მაგალითად:

49. The sun was low across the new-plowed fields and the tall woods across the river
were looming blackly in silhouette. Chimney swallows **were darting** swiftly across the yard,

and chickens, ducks and turkeys **were waddling and strutting** and **straggling** in from the fields.
(M. Mitchell, Gone With the Wind)

50. He was thin and rather stooping, with sandy hair; except when he **was being** pedantic, he could not be called badlooking... but he **was being pedantic a good deal of the time**. (J. Wain, A Travelling Woman)

51. One afternoon **I was sitting** in the lounge of the Grand Hotel. This was before the earthquake and they had leather armchairs there. From the windows you had a spacious view of the harbour with its crowded traffic. (W.S. Maugham, A Friend in Need)

ყურადღებას იქცევს 50-ე მაგალითში განგრძობით ფორმაში მაკავშირებელი ზმნის to be განსხვავებული გამოყენება. ხდება შეჯახება მაკავშირებელი ზმნის მორფოლოგიურ ფორმას, რომელიც მოქმედების დინების ხასიათზე მიუთითებს და შემასმენლის სტრუქტურას შორის, რომელიც აღნიშნავს თვისების არსებობას ან მდგომარეობას.

50-ე მაგალითში, საინტერესო ურთიერთქმედებაა მოცემულ წინადადებებში გრამატიკული და ლექსიკური ელემენტებისა. წარსული განგრძობითი მიუთითებს მოქმედების ხანგრძლივობის დროით ზღვრადობაზე. დროის გარემოება a great deal of time (50-ე მაგალითში) თითქოსდა უარყოფს ამ მნიშვნელობას და აქცენტირებას ახდენს მუდმივობაზე, ამ თვისებათა უცვლელობაზე მიუხედავად ფორმის მნიშვნელობისა. სინტაქსური და მორფოლოგიური ხერხების კონვერგენცია ქმნის ემფაზას.

წარსული განგრძობითის მნიშვნელობას აღწერილობით ფუნქციაში შემდეგი ტესტიც ამტკიცებს. 49-ე მაგალითში ზმნური შემასმენლის შეცვლა შესაძლებელია there is კონსტრუქციით, რომელიც ხშირად გამოიყენება აღწერისას. The tall woods across the river were looming blackly – There were across the river tall woods looming blackly (49-ე მაგალითში).

წარსული განგრძობითის აღწერილობითი ფუნქციის განხორციელებისას აუცილებელია სასურველი კონტექსტი. 1. წარსული განგრძობითის აღწერილობით ფორმებთან შეთავსება; 2. გარემოცვა there is ჩართვა; 3. გარემოცვა, რომელიც შეიცავს შედგენილ სახელობით შემასმენელს. აღწერილობითი ფუნქციის კონტექსტში, სადაც ჭარბობს ავტოსემანტიკური ერთეულები დამახასიათებელია ტენდენცია ტექსტის თითოეული ნაწყვეტის დამოუკიდებლობისაკენ, რომელშიც ხორციელდება ეს

კომპოზიციური ფუნქცია. აღწერის მხატვრული ხერხი ითვალისწინებს სისხლსავსე, მხატვრული სახეების შექმნას, რომლებიც სრულმნიშვნელოვან ერთეულებს საჭიროებენ სრულყოფისათვის. გამოხატვის მრავალპლანიანობა აქ არ გვხვდება. ტექსტის თითოეულ ნაწყვეტში აღწერილი სიტუაცია გარკვეულ ჩარჩოშია მოთავსებული და წარმოაგენს თხრობის ცალკეულ კადრს.

მაშასადამე, აღწერილობით ფუნქციას ინგლისურ ენაში წარსული დროის ორი მწკრივი გადმოსცემს: მარტივი წარსული და წარსული განგრძობითი. თითოეული მათგანი წარმატებით ანხორციელებს დაკისრებულ ფუნქციას.

2.2.3. შემდეგი ფუნქცია – დრამატული ფუნქციაა. დრამატული ფუნქცია წარსულ დროში ასპექტ-დროის მხოლოდ ერთი მწკრივით – მარტივი წარსული დროით ხორციელდება, მაგრამ აღნიშნული როდი მიუთითებს მის ნაკლებ ღირებულებაზე. დრამატული ფუნქციის გადმოცემის საშუალებებს წარმოადგენს ნაკრები წარსული მარტივი დროის სემებისა, როგორებიცაა ჯერადი ან ჯერად-ფარდობითი, მაგრამ ამით ფორმის გრამატიკული სემანტიკა არ ამოიწურება. მისგან გამომდინარეობს მოქმედების წარსულთან მიკუთვნების წარმოდგენა. მაგალითად:

52. Iwelei **was** on the edge of the city. You **went down** side streets by the harbour in the darkness, across a rickety bridge, till you **came** to a deserted road, all ruts and holes, and then suddenly you **came out** into the light. **There was** parking room for motors on each side of the road, and **there were** saloons, tawdry and bright, each one noisy with its mechanical piano, and there were barbers shops and tobacconists. There was a stir in the air and a sense of expectant gaiety. You **turned down** a narrow alleys, either to the right or to the left, for the road divided Iwelei into two parts, and you found yourself in the district. (S. Maugham, Rain)

53. The two parts of them **went out** the door. George **watched** them, through the window, pass under the arch-light and across the street. In their tight overcoats and derby hats they **looked like** a vaudeville team. George **went back** through the swinging door into the kitchen and untied Nick and the cook. (E. Hemingway, The Killers)

ერთი მოქმედება ან მოქმედებათა თანმიმდევრობა ქმნის წარმოდგენას მსგავს მოქმედებათა სიმრავლეზე. გამოიყოფა ერთი ტიპური ელემენტი და მის ტიპიურობაში ჩადებულია წარმოდგენა გამეორებადობასა და ჯერადობაზე. ცალსახობისა და ჯერადობის შერწყმა ქმნის უფრო ფართო დროით მონაკვეთს.

სემების გადანაწილების შედეგად, მარტივი წარსული დრო ენის სისტემაში უახლოვდება თავის საპირისპირო მარტივ ახლანდელ დროს. განსხვავებას ადგილი აქვს არა მარტო დენოტაციურ, არამედ კონოტაციურ დონეზე. მარტივი წარსული მრავალმნიშვნელობის გამო უფრო ექსპრესიულია ვიდრე მარტივი ახლანდელი.

54. Iwelei **was** on the edge of the city. You **go down** side streets by the harbour...till **you come** to a deserted road... You **turn down** a narrow valley, either to the right or to the left... and you **find** yourself in the district. (ibid)

დრამატულ ფუნქციაში მარტივი წარსული ცვლის გამოსახულების რაკურსს, ხელს უწყობს თხრობის თვალსაჩინოების შექმნას. დრამატულობის მნიშვნელობის რეალიზაციისათვის საჭიროა ხელსაყრელი კონტექსტი. ფორმის მნიშვნელობის მძლავრ “გადამრთველად” გვევლინება ნაცვალსახელი you განზოგადებული მნიშვნელობით და განუსაზღვრელი ნაცვალსახელი one, აგრეთვე ზმნიზედები და გარემოებითი სიტყვები, რომლებიც ხელს უწყობენ მოქმედების ჯერადობის გამოხატვას. ტექსტის გარკვეულ მონაკვეთებში, სხვადასხვა დონის ელემენტების ურთიერთქმედების შედეგად ხდება ამა თუ იმ მნიშვნელობის აკუმულირება. კონტექსტის ამ ზოგად მნიშვნელობას ექვემდებარება ფორმის მნიშვნელობა.

მხატვრული დროის შექმნის მიმართულებით ფორმის დატვირთვა ნიშნავს ორმაგი დროის ექსპოზიციის გადაცემას – წარსულისა და ახლანდელი აბსტრაქტულის შეჯახებისას, როცა ადგილი აქვს ერთიანი დროის წესრიგის დარღვევას. დრამატული წარსული, რომელიც შერწყმულია კონტექსტის სხვა ელემენტებთან, მკითხველს აღწერილი მოვლენების შთაბეჭდილებების ქვეშ აქცევს, რთავს მკითხველის დროთა სისტემას და პერსონაჟთა მოქმედებების დროს. ეპიკური დრო შეიძლება შევიწროვებულ იქნას ინდივიდუალური დროის მიერ, რომელიც მკითხველს თავის შეგრძნებაში გააჩნია. იქმნება თითქოსდა ობიექტური რეალობა დროისა და სივრცის. დროითი მნიშვნელობების მსგავსი თამაში შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მცდელობა განსხვავებული დროითი სისტემების შერწყმისა – პერსონაჟების და მკითხველის. ფორმის კომპოზიციური დატვირთვა უფრო ფართოა, ვიდრე უბრალოდ ორმაგი დროის ექსპოზიციის შექმნა. წარსული მარტივი დრამატულ ფუნქციაში ანიჭებს თხრობას სიღრმეს, დროის ტევადობას, აფართოვებს მის დროთა ჩარჩოებს.

კონკრეტულ შემთხვევაში წარსული მარტივი დროის კომპოზიციური დატვირთვა გამოისახება ასევე ტექსტის იმ ორი ქვესისტემის ინტეგრირებით, რომელთაც ახასიათებს არა მარტო მთხრობელის გეგმის ნიშან-თვისებები, არამედ პერსონაჟთა ნიშან-თვისებებიც. ნაცვალსახელის you ჩართვა აერთიანებს ავტორის თხრობას დიალოგთან, მაგრამ არა პერსონაჟებისა ერთმანეთთან, არამედ უხილავ თანამოსაუბრესთან. ტექსტის გრამატიკული ფუნქციის მხატვრული დატვირთვა ხელს უწყობს ესთეტიკური ინფორმაციის აღქმას, რომელსაც მოიცავს ტექსტი და მთელი ენობრივი მასალის გაგება.

მარტივი წარსული დრამატულით გადმოცემულ ტემპორალურ მნიშვნელობათა ხასიათი მჭიდროდ უკავშირდება კონტექსტის ერთმწვერვალიანობა/მრავალმწვერვალიანობას, თუმცა მათი იდენტური არ არის. წარსული მარტივი დრამატული ფუნქციით გულისხმობს ორი ან რამდენიმე მწვერვალის შექმნას. ერთი მწვერვალის (სიტუაცია-საფუძველი) რეალიზება ხდება მოცემული სიტუაციის კონტექსტში. მეორე მწვერვალი (ან მათი სიმრავლე) ეფუძვნება იმ პროექციას, რომელიც მხატვრული სიტყვის სამყაროდან მიმართულია სინამდვილეზე (54- მაგალითი), ან უკავშირდება ავტორის მცდელობას შექმნას განზოგადებული სურათი, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს სიტუაციას-საფუძველს ან უფრო ფართო ტემორალურ პლანს. ეს მეორე მწვერვალი წარმოადგენს გრამატიკული ფორმის მნიშვნელობისა და იმ კონტექსტის ურთიერთქმედების რეზულტატს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერთეულობისა და ჯერადობის შეთავსება.

მხატვრულ ტექსტში რეალიზებას ჰპოვებს არა მარტო სინტაგმური, არამედ პარადიგმური ორგანიზაციის საშუალებები. გამეორების პრინციპი (სხვადასხვა დონეზე) წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითადს ტექსტის პარადიგმატიკის შექმნაში. მხატვრული ტექსტის, როგორც ერთიანი სისტემის მრავალპლანიანობა განპირობებულია მისი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობებითაც. ენის ერთეულების პარამეტრები იცვლება და ნაკლებად მკაცრი ხდება. უჩვეულო, არავტომატიზირებული დაპირისპირებები, რომლებშიც ისინი შედიან მხატვრული ტექსტის დონეზე, მოწმობენ ნორმის ცვალებადობას მხატვრული ნაწარმოების

ფარგლებში, ენის ერთეულების მრავალპლანიანობასა და ტექსტში ენობრივი ნიშნის ორი ან მეტი მნიშვნელობის ერთდროულ რეალიზაციას. ზოგიერთი ამ მნიშვნელობათაგანი შეიძლება არ იყოს დაფიქსირებული ენის ოპოზიციათა სისტემაში.

კონტექსტის ავტოსემანტია/სინსემანტიას ანალიზისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ცალკეული წინადადების ან მასზე გაცილებით დიდი ერთეული – ტექსტის ავტოსემანტია და სინსემანტია. წარსული მარტივი ზემოთ მოყვანილ მაგალითებში გამოიყენება არა ერთ, არამედ რამოდენიმე წინადადებაში და წარმოადგენს გარკვეული სემანტიური კომპლექსის ბირთვის. ჩვენ გვინტერესებს არა მარტო კავშირები ამ კომპლექსის შიგნით, არამედ მისი ურთიერთქმედება უფრო ვრცელ კონტექსტთან. 54-ე მაგალითში მოცემული კავშირები გარეგან კონტექსტთან შესუსტებულია, რაც მეტყველებს მარტივი წარსული დროის დრამატულ ფუნქციაში გარკვეული დანიშნულების არსებობაზე. მისი მეშვეობით ხდება შექმნილი სურათის იზოლირება. ძირითადი ნაწილი გამოკვეთილია ტექსტიდან. მაგრამ ყოველივე ეს ხელს არ უშლის აბზაცის შიგნით კავშირების არსებობას. პირველ რიგში აღსანიშნავია ის გამოყოფილი ლაიტმოტივი, რომელიც ერთ მთლიანობად წარმოგვიდგენს აღწერილობას. არსებობს კავშირის სხვა საშუალებები: 1. სინტაქსური პარალელიზმი; 2. ტემპორალურ ფორმათა ერთიანობა; 3. სემანტიკურად დაკავშირებული სიტყვების არსებობა – side street, deserted road, narrow valley. დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ დრამატული ფუნქცია მაღალი კომპოზიციური დატვირთვის მატარებელია.

2.2.4. რეზულტატურობა კიდევ ერთი კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციაა. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, მისი ფუნქციობის ძირითადი დანიშნულება არის მოქმედების შედეგის ჩვენება, რომელიც გარკვეული მიზეზებით არის განპირობებული. ფუნქციის რეალიზაციისათვის გრამატიკული ფორმები ითავსებენ სხვადასხვა დონის ლექსიკურ საშუალებებს. განსაკუთრებული დატვირთვით გამოიყენება პერფექტული დროები რეზულტატურ ფუნქციაში. მაგალითად:

55. Comie could not remember when she **had dimly realized** the great truth of his soul. He was hopeless at the very core of him, and he wanted to be a hopeless. She couldn't be blamed for it. Clifford **had kept** this trait all his life. He rather hated hope. (D. Lawrence, Lady Chatterley's Lover)

56. It was generally known that he was incompetent resident manager at the mines and that he seldom showed up there before eleven. As a father he **had certainly failed** in the rearing of two of his three children. George was held to be a “rowdy” and a “terror”. Anne was a winning child who won by tantrums and rudeness. (Th. Wilder, The Eighth Day)

დროთა დამოკიდებულებასთან ერთად წარსული სრული დრო ახლანდელის მსგავსად, გადმოგვცემს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს-სუბიექტის ან ობიექტის მდგომარეობას, როგორც დასრულებული მოქმედების შედეგს. 55-ე მაგალითში სუბიექტის სულიერი მდგომარეობაა მოცემული. მიზეზი ბუნდოვანია, მაგრამ ცხადია, რომ იგი მისი პიროვნული თვისებაა, რომ მისი უიმედობის _ მოქმედების შედეგის წყაროები სხვაგან არ უნდა ვეძიოთ თუ არა თავად მის შინაგან სამყაროში.

წარსული პერფექტის დახმარებით მყარდება ღრმა კავშირები, ერთი დროის შრის მეორით განპირობება. დრო წარმოგვიდგება როგორც უწყვეტლისა და წყვეტილის ერთიანობა. წყვეტილობა წარმოადგენს დროის დინების დანაწევრებას ცალკეულ ფაზებად, მოვლენებად, ეტაპებად. ერთიანობა მდგომარეობს იმაში, რომ ცალკეული ეტაპებით მოვლენები ერთიანდება მთლიანი დროის დინებაში. მიზეზი და შედეგი შეიძლება გამოხატული იყოს ან ერთი წინადადების საზღვრებში ან სხვადასხვა წინადადებებში.

რეზულტატური ფუნქცია წარსული პერფექტ-განგრძობითის ფორმითაც გადმოიცემა. იგი მის შინაარსს პროცესუალობის მნიშვნელობას მატებს და მიუთითებს განგრძობით მოქმედებაზე, რომლითაც ხდება კონტექსტში მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარება. მაგალითად:

57. Everything in their old world **had changed** but the forms. They **had been holding** tightly to the things they knew best and loved best, but all these belonged to the old days. (M. Mitchell, Gone with the Wind)

რეზულტატური ფუნქცია იმპლიციურებული მდგომარეობის, როგორც განსაზღვრული მოქმედების შედეგის მნიშვნელობის აუცილებელ რეალიზებას მოითხოვს (Траева 1979: 190).

ამგვარად, რეზულტატური ფუნქცია ინგლისურ ენაში ასპექტ-დროის ორი მწკრივით _ წარსული პერფექტით (Past Perfect) და წარსული პერფექტ-განგრძობითით (Past Perfect Continuous) გადმოიცემა. ეს ის ძირითადი გრამატიკული

საშუალებებია, რომლებითაც ხდება ფუნქციის ძირითადი დანიშნულების განხორციელება.

2.2.5. რეტროსპექტულობა წარსული დროისათვის დამახასიათებელი კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციაა. მისი რეალიზება ხდება წარსული პერფექტი და წარსული პერფექტ განგრძობითი დროის ფორმებით. წარსული პერფექტით გადმოცემული რეტროსპექტული ფუნქცია მჭიდრო კავშირშია ფორმის მხატვრული დროის მოდელირებაში მონაწილეობასთან. მისი მნიშვნელობა მოვლენათა თანამიმდევრობის ქრონოლოგიურ აღნუსხვაში კი არ მდგომარეობს, არამედ განსხვავებული სახეობის ასოციაციათა შექმნაში. სემანტიკური კომპლექსი, რომლის ბირთვად წარსული პერფექტი გვევლინება, ცვლის სინამდვილის გარემოცვას მისი გაფართოვების მიზნით. მაგალითად:

58. Hugh **shifted** his gaze to the neighbouring umbrella under which he **made out** unusually subdued face of Humphrey's wife, Mildred... She was not a figure to pity: Mildred, whom Hugh **had kissed** passionately **once**, he remembered, on a summer evening over twenty-five years ago, when they were both already sensible middle-aged married people. He wondered, as he watched her dab eyes with a small handkerchief, whether she still recalled that curious incident...

Fanny **had not lived** out her appointed span. The cancer came sooner. (I. Murdoch, An Unofficial Rose)

59. He **also remembered** that in the past there **had been** a ritual salute, which the official of the lottery **had had** to use in a dressing each person who **came up** to draw from the necessary only for the official to speak to each person approaching. (Sh. Jackson, The Lottery)

როგორც 58-ე მაგალითშია მოცემული, ჰიუს მიერ წარსულზე თვალის გადავლებას, წარსულის გახსენებას, შემოჰყავს თხრობაში მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ იმ დროით გეგმამდე, რომელშიც იშლება რომანის მოქმედება. მყარდება გარკვეული კავშირები, ასოციაციები, რომლებიც მხატვრული დროის ნიშნებად გვევლინებიან. თხრობა თითქოს ნახტომს აკეთებს უკან, წარსულისაკენ. წარსული პერფექტი არა მარტო არღვევს თხრობის დინებას, არამედ ამასთანავე მაკავშირებელ სიგნალად გვევლინება ახალ დროით სიბრტყესთან. არა მხოლოდ ფორმებს **had kissed** და **had not lived** გააჩნიათ რეტროსპექტული ფუნქცია. ამავე ფუნქციას იძენს კონტექსტში კიდევ ერთი მორფოლოგიური დონის საშუალება –

მარტივი წარსული დროის ფორმა _ The cancer came sooner. მარტივი წარსულის და წარსული პერფექტის დროების შეთავსება _ Fanny had not lived out her appointed span. The cancer came sooner – განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მარტივი წარსული დროის ფორმა აღიქმება როგორც წარსული პერფექტის სინონიმი. დაპირისპირება მარტივი წარსული ფორმის პარადიგმულ მნიშვნელობასა და მის კონტექსტურ მნიშვნელობას შორის, ხაზგასმულია იმით, რომ იგი წარსულ პერფექტს გასდევს, ანიჭებს მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას. გამოდის, რომ წარსული პერფექტის პარალელურად მარტივი წარსული იძენს დამატებით აზრობრივ გამოხატულებას.

რეტროსპექტულობა ტექსტის კატეგორიაა. როცა ჩვენ ზმნურ ფორმას რეტროსპექტულ ფუნქციას მივაწერთ, მხედველობაში გვაქვს მისი მონაწილეობა გარკვეულ კომპოზიციურ ხერხებში, რომლის არსი დროთა სხვადასხვა შრეების აკინძვასა და განსხვავებულ მოვლენათა შორის კავშირის დამყარებაში მდგომარეობს. რეტროსპექტულობის აგებაში არა მარტო გრამატიკული საშუალებები მონაწილეობს. 58-ე მაგალითში ზმნიზება **once** (მას გააჩნია გამაძლიერებელი მნიშვნელობა) და წინადადების ჯგუფი on a summer evening over twenty-five years ago, რომელსაც მაკონტროლებელი მნიშვნელობა აქვს.

რეტროსპექტულობის მნიშვნელობის შექმნაში მონაწილეობს ზმნაც **remember** იმავე მაგალითში. ეს ზმნა განეკუთვნება სპეციალურ თემატურ ჯგუფს მნიშვნელობით “გახსენება”. მას შემოაქვს ინფორმაცია მრავალდროული მიმართულების მოვლენების შესახებ. ჩემ მიერ განხილულ ნაწყვეტში შეიძლება დავადგინოთ ორი მწვერვალის არსებობა. ფუძე-სიტუაცია გამოხატულია დამწყებ წინადადებაში და მის საზღვრებს გარეთ ფართო კონტექსტში, სადაც გრამატიკულ ბირთვად თხრობითი ფუნქცია გვევლინება. მეორე მწვერვალი შეინიშნება წარსული პერფექტით გამოხატულ წინადადებებში: Mildred, whom Hugh had kissed...

მეორე მწვერვალი არ იმეორებს ფუძე სიტუაციას, პირიქით, იგი წინა დროის პერიოდის რეკონსტრუირებას ახდენს, რომელიც ფუძე-სიტუაციას სხვადასხვაგვარი საშუალებებით უკავშირდება. რეტროსპექტული ფუნქციის შემცველ მაგალითებში

მრავალმწვერვალიანობა რეალიზდება როგორც უკან დაბრუნება დროში, როგორც დროის მრავალმხრივობის სიგნალი.

წარსული პერფექტი ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ლიტერატურაში რეტროსპექტული ფუნქციით. ამის ფესვები უნდა ვეძებოთ გმირის შინაგანი სამყაროს რეკონსტრუქციის ტენდენციაში, რამდენიმე დროის შრის შექმნაში, რომელიც გაერთიანებულია ერთ მთლიანობაში, რაც განპირობებულია ადამიანის მეხსიერებით. პერსონაჟის შინაგანი სამყარო წარმოგვიდგება თავად მის გამოცდილებაში და ეს ხდება რეტროსპექციის გზით.

რეტროსპექტული ფუნქცია გადმოიცემა აგრეთვე წარსული პერფექტ განგრძობითი ფორმით. ამ ფორმით გამოხატული მოქმედებები ხასიათდება მოქმედების მიმართ დისტანციურობით, რომელიც ძირითად სიუჟეტურ ხაზს ქმნის. ეს ფუნქცია შეიძლება გააჩნდეს წარსული პერფექტ განგრძობითის სხვადასხვა ვარიანტებს. აქედან შესაძლებელია ურთიერთ-გამომრიცხავი სემების რეალიზება – “ცალსახობისა” და “ჯერადობის”, “დროში ლოკალიზებისა და არალოკალიზებისა”. მაგალითად:

60. Now they were both in love with her, and India Wilkes and Litty Monroe from Lovejoy, whom Brent **had been half-heartedly courting**, were far in the back of their minds. Just what the loser would do, should Scarlett accept either one of them, the twins did not ask. They would cross that bridge when they came to it. For the present they were quite satisfied to be in accord again about one girl, for they had no jealousy between them. (M.Mitchell, Gone with the Wind)

61. I went out the door and down the hall to the room where Catherine was to be after the baby came. I sat in a chair there and looked at the room. I had the paper in my coat that I **had bought** when I went out for lunch and I read it. It was beginning to be dark outside and I turned the light on to read. After a while I stopped reading and turned off the light and watched it get dark outside. (E. Hemingway, A Farewell to Arms)

62. In the night it started raining. It rained on all morning and turned the snow to slush and made the mountainside dismal. There were clouds over the lake and over the valley. It **had been raining** high up the mountain. Catherine wore heavy overshoes and I wore Mr. Guttingen’s rubber-boots and we walked to the station under an umbrella, through the slush and the running

water that was washing the ice of the roads bare, to stop at the pub before lunch for a vermouth. Outside we could hear the rain. (ibid)


წარსული პერფექტ განგრძობითის ფუნქცია მხატვრული დროის შექმნაში დროთა ანტითეზის წარმოქმნაში გამოისახება. შორეული წარსული, რომელიც მოდელირდება წარსული პერფექტ განგრძობითის მეშვეობით უპირისპირდება ახლო წარსულს, რომელიც იქმნება მარტივი წარსულის სხვადასხვა საშუალებებთან კომბინაციით. ახლო წარსული ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ფორმით უახლოვდება ახლანდელ დროს, რასაც ძირითადად ხელს უწყობს წარსულ დროთა ფორმების უნარი ტექსტის დონეზე შეეხამოს ახლანდელი დროის ზმნიზედებს now, for the present. შორეულ და ახლო წარსულს შორის ოპოზიცია კონტექსტის არაგრამატიკული ელემენტებით ნარჩუნდება. შორეული წარსული _ ზმნიზედებით once და then, ახლო წარსული _ ზმნიზედების ჯგუფით for the present და ზმნიზედით now.

ამ ზმნიზედების ჩართვა თხრობის დრამატიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა. წარსული დროის საორიენტაციო დერძის ვექტორულ ნულს წინ უსწრებს ხანგრძლივი მოქმედება აუცილებელი კონტაქტური რეტროსპექტულობის ან პერიოდის ვექტორული ნულის მიმართ.

სქემა7

აქ ჩასამატებელია ბირთვი1 წრული დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ველი ინგლისურ ენაში

წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტური შინაარსის გადმოცემის
საშუალებები ინგლისურ ენაში



ამგვარად, განხილული მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციების შესწავლა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ენათმეცნიერებაში. ყოველი მათგანი შინაარსის აგებაში განსაზღვრულ ამოცანას ემსახურება და ტექსტის შიგა ლინგვისტურ მიმართებებს ნათელს ფენს. მარტივი წარსული, წარსული განგრძობითი, წარსული პერფექტი და წარსული პერფექტ _ განგრძობითი მწკრივების კლასიფიკაციის მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ მათი კომპოზიციურ-სტილისტური პოტენციალი. სუბიექტის თვისობრივი დახასიათება, ესთეტიკური სინამდვილის სამყაროს ერთეულობა/სიმრავლის გამოხატვა, დამატებითი დროის პლანის შექმნა, დროის რეზულტატურობის და რეტროსპექტულობის გამოხატვა. მხატვრული ლიტერატურიდან მოყვანილი მაგალითების მრავალფეროვნება მოწმობს კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციათა პრაქტიკული გამოყენების დიდ მნიშვნელობას.

თავი III

წარსული დროის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტებისა და კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციათა შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში

3.1. წარსული დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და მისი გადმოცემის საშუალებანი ქართულ ენაში

გრამატიკული კატეგორია მხოლოდ მაშინაა წარმოდგენილი, როცა მას რომელიმე ფუნქცია გრამატიკული ფორმით რეალიზდება, ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიებს კი სავალდებულო არ არის კონკრეტული მორფოლოგიური ინვენტარი მოეპოვებოდეთ, რადგან, მართალია, მათი გრამატიკული მოდელით გამოხატვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა, მაგრამ ისინი ასევე წარმატებით გამოიხატებიან ლექსიკურად და კონტექსტურად.

ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიების თაობაზე საკითხის დასმა უშუალოდ უკავშირდება და არსებითად ეყრდნობა კიდევ თეორიებს ე.წ. “ცნებათა კატეგორიების” შესახებ, რომლებსაც ო. იესპერსენი “უნივერსალურ კატეგორიებს” უწოდებდა იმის გამო, რომ ისინი არ იყვნენ დამოკიდებული ყოველი ენის სტრუქტურაზე და აქედან გამომდინარე, მათი გამოყენება მეტ-ნაკლებად ყველა ენაში შესაძლებელი ხდებოდა. (Эсперсен 1958:60-64)

“ცნებითი კატეგორიები” დაკავშირებულია გრამატიკის სფეროში გამოყოფილ სემანტიკურ ფუნქციებთან. სემანტიკური ფუნქციები გარეენობრივი სინამდვილის დამოკიდებულებებს ასახავენ. ეს არის სიტყვათა კლასების დროის, მოდალური, ასპექტური მნიშვნელობები. სემანტიკური ფუნქციებისაგან განსხვავებით, სინტაქსური ფუნქციები არ არის დაფუძნებული ცნებით, კონცეფციურ შინაარსზე. სტრუქტურული ფუნქციები ასახავს, როგორ მონაწილეობს ესა თუ ის საშუალება

ენობრივი ელემენტების ორგანიზებაში, ენის მექანიზმის მოქმედებაში. სემანტიკური და სინტაქსური ფუნქციები მჭიდროდ არის ერთმანეთში გადახლართული. სემანტიკურ ფუნქციებს უკავშირდება აგრეთვე ექსპრესიულ-ემოციური ფუნქციები.

ასეთი გარდაქმნა “ცნებითი კატეგორია” > “ენობრივი სემანტიკური ფუნქცია” წარმოადგენს ცნებითი კატეგორიის ენობრივ სემანტიკურ ინტერპრეტაციას. (Бондарко 1974: 20-24) ამგვარად, შესაძლებელია გამოვყოთ ცნებითი კატეგორიების ორი დონე:

1. უნივერსალური ფუნდამენტური ცნებითი კატეგორიები
2. ცნებითი კატეგორიები, რომლებიც მოცემული ენის სემანტიკურ ფუნქციებშია რეალიზებული.

პირველ დონეს განეკუთვნება ფუნდამენტური ცნებითი კატეგორიების უნივერსალური სისტემა, რომელიც, პირველყოვლისა დაკავშირებულია ობიექტური სინამდვილის საგანთა და თვისებათა ზოგად ასახვასთან. მეორე მხოლოდ უნივერსალურ ფუნდამენტურ ცნებათა კატეგორიებს კი არ შეიცავს, არამედ მათ სუბკატეგორიებსაც ეს მდგომარეობს მრავალსაფეხურიან, სემანტიკურ ვარირებაში, რომელშიც ვლინდება არაუნივერსალური ელემენტებიც, რომლებიც მოცემული ენის სისტემასთანაა დაკავშირებული. სწორედ ამ მეორე დონის _ ცნებითი კატეგორიების _ ენობრივი ხასიათის ხაზგასასმელად არის შემოღებული ტერმინი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია. ამ ტერმინის უპირატესობა “ცნებით კატეგორიებთან” შედარებით აიხსნება იმით, რომ იგი აღნიშნავს ისეთ კატეგორიებს, რომლებსაც ენობრივი შინაარსი და ენობრივი გამოხატულება გააჩნიათ. მაშასადამე, ხაზგასმულია მათი ენობრივი ხასიათი. ტერმინი “ცნებითი კატეგორია” უფრო ზოგადი ხასიათისაა, რადგან გარდა საკუთრივ ენობრივი კატეგორიებისა იგი ბევრ გარეენობრივ ცნებას მოიცავს.

ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიებს აქვს შინაარსის და გამოხატვის პლანი, ხოლო მათი სემანტიკური მხარე მორფოლოგიურ კატეგორიათა მნიშვნელობების ანალოგიურია. გამოხატვის პლანს ენის სხვადასხვა ასპექტისა და დონის ენობრივი საშუალებები ქმნის.

ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის რაობისა და მნიშვნელობის ზოგადად მიმოხილვის შემდეგ აუცილებლად მიმაჩნია განვიხილო წარსული დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიისა და აღნიშნული დროის შინაარსის გადმოცემის საშუალებები ინგლისურსა და ქართულ ენებში.

ქართული ენის მასალების შესწავლა გვარწმუნებს, რომ დრო ერთ-ერთი ელემენტია მწკრივისა და, რომ ის შეიძლება მხოლოდ სამი სახისა იყოს არა მარტო ქართულში, არამედ ყველა სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ “ქართულში არ არის რამდენიმე ნამყო, არამედ არსებობს წარსული დროის გადმოცემის ფორმები: აშენებდა, აშენა, უშენებია, ეშენებინა _ ყველა ერთია დროის კატეგორიის თვალსაზრისით. ისინი ამ მხრივ არავითარ განსხვავებას არ გვიჩვენებენ, რადგან ყველანი თანაბრად გულისხმობენ, რომ მოქმედება საუბრის მომენტს უსწრებდა” (შანიძე 1973:156). ა. ჩიქობავას აზრით “განყენებულად დრო სამია: აწმყო, ნამყო, მყოფადი. ეს სამი დრო განყენებულადაა აღებული მოქმედებისა და მისი აღმნიშვნელი სიტყვის შეფარდების ნიადაგზე. ამა თუ იმ ენაში ამ სამი დროის კონკრეტიზაციამ შეიძლება მოგვცეს გაცილებით მეტი ერთეულები დროისა. მაგალითად, ახალ ქართულში გვაქვს ერთი აწმყო, ერთი მყოფადი და ოთხი ნამყო: ნამყო უწყვეტი ანუ უსრული: აკეთებდა, აშენებდა, შრომობდა... ნამყო ძირითადი ანუ ნამყო წყვეტილი (აორისტი): აკეთა, აშენა, იშრომა... I თურმეობითი: უკეთებია, უშენებია, უშრომია; II თურმეობითი : ეკეთებინა, ეშენებინა, ეშრომა”(ჩიქობავა 1939: 128-129).

ქართულ ენაში წარსული დროის ფორმები სხვა დროის ფორმებისაგან მკვეთრადაა გამიჯნული. მიუხედავად იმისა, რომ წარსული დრო საკმაოდ ძლიერი გრამატიკული კატეგორიაა, ქართული ენის გრამატიკაში იგი სპეციალური კვლევის საგანი ჯერ არ გამხდარა. დროის ამ ფორმათა შესახებ გამოთქმული ყველა თვალსაზრისი სრულ ინფორმაციას არ იძლევა და ფრაგმენტული ხასიათისაა. ამიტომ, ჩვენ მიზნად დავისახეთ წარსული დროის, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის პოტენციალის დადგენა და იმ გრამატიკული და ლექსიკური საშუალებების მოძიება, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წარსული დროის მნიშვნელობები ენაში.

წარსული დროის ინვარიანტული მნიშვნელობა საუბრის მომენტთან წინამავლობა, მასთან არ მიმართება. იგი ახლანდელ დროს მხოლოდ ნეგატიურად უკავშირდება და მოქმედება დროის მიხედვით განეკუთვნება სინამდვილეში უკვე გასულს, წარსულში მომხდარ ფაქტს. წარსული დროისათვის გრამატიკული კატეგორია სხვადასხვა ვარიანტული მნიშვნელობებითაც ხასიათდება. სწორედ, წარსული დროის შინაარსის შესწავლას და მისი მნიშვნელობების გადმოცემის საშუალებათა დადგენა-განხილვას ეთმობა ჩვენი თემის წინამდებარე თავი.

ზოგიერთი გრამატიკული მნიშვნელობის გადმოცემისას ინგლისური და ქართული ენები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს. კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ორივე ენას აქვს ზმნის ფორმები, რომლებიც გრამატიკულად წინამავლობას (ანტერიორობას) გამოხატავენ. ინგლისურ ენაში ამ მიზნისათვის გამოიყოფა დროთა მიმართების კატეგორია, რომელიც დაფუძნებულია არაპერფექტ-პერფექტის ფორმათა ბინალურ ოპოზიციაზე.


დროთა მიმართების კატეგორია, ქართულ ენაში არ არსებობს, თუმცა წარმოდგენილია დროთა თანამდევრობის კატეგორია, რომელიც სემანტიკურად აღნიშნავს მოქმედების მიმართებას დროის რომელიმე მომენტთან ან მეორე მოქმედებასთან (ერთდროულთან, შემდგომთან). სხვაგვარად რომ ვთქვათ, დროთა თანამდევრობის კატეგორია სამ დიფერენციალურ ნიშანს ემყარება _ წინამავლობას, ერთდროულობას და შემდგომობას. ამ საკითხთან დაკავშირებით შანიძე წერდა: “თანამდევრობის სახელით აღვნიშნავთ ზმნის ფორმას, რომელიც გვაგებინებს, როგორია დროული მიმართება ორი მოქმედებისა წარსულსა და მომავალში. ორი მოქმედების შეფარდებისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ორივე ერთ დროს მიმდინარეობს და გვაქვს ერთდროულობა ორი მოქმედებისა. მაგრამ თუ განსხვავებაა დროში, მათ შორის ისეთი ურთიერთობა იქნება, რომ ერთი უნდა უსწრებდეს, მეორე მოსდევდეს” (შანიძე 1973: 140).

არსებული ლინგვისტური მასალის გაცნობამ გვიჩვენა, რომ წარსული დროის პარადიგმული მნიშვნელობა როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში ერთი და იგივეა _ საუბრის მომენტთან მოქმედების არაერთდროულობა. ქართულ ენაში წარსული დრო ასპექტ-დროის ხუთი მწკრივით გადმოიცემა: უწყვეტელი, წყვეტილი

(სრული), ხოლმეობითი, I და II თურმეობითი. წარსული დროის კატეგორიული ფორმა ქართულ ენაში სქემატურად შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

სქემა 9

წარსული დროის გადმოცემის საშუალებები ქართულ ენაში



წარსული დროის პარადიგმული მნიშვნელობა წარსული დროის გამომხატველი ასპექტ-დროის ხუთი მწკრივით გადმოცემის საშუალებები ქართულ ენაში

63. “ნათიას ძალიან უყვარდა მამა... ჯერ ქვითინითა და შემდეგ ძილდაკარგულობით გასავათებული და გარე ამბებს გამოთიშული ნათია როგორღაც ნაკუწ-ნაკუწ ფიქრობდა და მისი ფიქრიც მამის შესახებ თითქოს უკუფენილად იყო და არც იყო”. (ლ. გოთუა, ლეკვი ლომისა)

64. “სამხატვრო აკადემიაში შესვლის განცხადებაზე ხელი მოაწერა და შეიტანა. კონკურსშიც გავიდა და მამის ნაცნობებმაც ხელი მოუმართეს. სწავლასაც კარგად დაეწაფა, ნიჭიც ხელს უწყობდა და ყურადღებაც მიაქცია”. (იქვე)

65. “მერე კი, მაღლა რომ ამოიწვერებოდა მზე, ტყისპირისაკენ გარბოდა... აცოცდებოდა გრილ ხეზე და მაღლიდან სხვაგვარი ეჩვენებოდა სოფელი”. (გ. დოჩანაშვილი, სამოსელი პირველი).

66. “ეგ კიდევ ცოტაა, მეფევ ბატონო, შორენა დაუხატავს, ერისთავის ასული. ყაყაჩოების ველზე დგას იგი, მხრებზე ქედნები ასხედან, ხოლო ორი დათვი, ერთი წმინდა თაფლისფერი, მორე _ წაბლისფერი, ფერხით დავარდნია დიაცს”. (კ. გამსხურდია, დიდოსტატის მარჯვენა).

67. “ღამე ნაზდის კარავი **დაედგა** ხილნარში, რატისეულ სასახლეში აგზავნიდა თავის დესპანებს”. (იქვე)

ამგვარად, მოცემულ მაგალითებში წარსული დროის ინვარიანტული მნიშვნელობა ასპექტ-დროის ხუთი მწკრივით ხორციელდება. ესენია: უწყვეტელი, წყვეტილი (სრული), ხოლმეობითი, I და II თურმეობითი. წარსული დროის ეს ფორმები სრულყოფილად გადმოსცემენ მოცემული კატეგორიის სემანტიკურ პოტენციალს და სხვადასხვა დონის ლექსიკურ ინდიკატორებთან ერთად წარმოგვიდგენენ ახლანდელი დროისათვის უკვე დასრულებულ მოქმედებას ანუ წარსულის რეალურ ფაქტს, რომელიც ახლანდელთან კავშირში არ არის.

წინამავლობის აღსანიშნავად წარსულში ქართულ ენას აქვს სპეციფიკური დროის ფორმა – II თურმეობითის მწკრივი. მაგალითად:

68. “მის გულში გამოურკვეველი სიხარული **ჩასულიყო**. არც კი იცოდა რა უხაროდა, წელში გამართული, აღტყინებული, მსუბუქი ნაბიჯით მიდიოდა თემშარაზე გადახიდული კოპიტების ჩრდილების ქვეშ. შუბლზე წვიმის წვეთი დაეცა. დასავლეთით პირსისხლიანი ცისკარი ელავდა აკაციების ლანდების გადაღმა”. (კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი)

69. “შინ მივედი ლუკა არსად იყო, მაგიდაზე თუმნიანი **დაეტოვებინა** და **წასულიყო**. ბაზრამდე სულ ტირილ-ტირილით ვირბინე, იქნებ სადმე ვნახო – მეთქი, იმედი მქონდა”. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, II თურმეობითის ფორმა მიუთითებს მოქმედებაზე, რომელიც წარსულში მეორე მოქმედების ან რომელიმე მომენტის წინამავალია და ამ მოქმედებასთან ან მომენტთანაა მიმართებაში.

II თურმეობითის ფორმები გამოხატავს წინამავლობას როგორც დამოკიდებულ, ისე დამოუკიდებელ წინადადებებში. ისინი ცალკე არსებულებას წინამავლობის მნიშვნელობას მიუთითებენ და ისეთ მოქმედებას გამოხატავენ, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის წინამავალია. თუმცა საკამათოა I თურმეობითის ინვარიანტული მნიშვნელობა, რომლის კვლევასაც ჩემი დისერტაციის ამ მოცემულ თავში შევეცდები. უნდა აღინიშნოს, რომ II თურმეობითის ფორმები წყვეტილისა (სრული ასპექტი) და

უწყვეტლის (უსრული ასპექტი) ფორმებისაგან არსებითად განსხვავდება. წყვეტილი გამოხატავს წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი ერთდროულობას; რაც შეეხება უწყვეტელს, იგი დროის დამოუკიდებელ ნიშანს გადმოცემს, რომელიც მოქმედების არა მოწესრიგებულობას, არამედ სიგრძივობას (განგრძობითობას) აღნიშნავს. მოქმედება, რომელიც უწყვეტლის მწკრივით გამოიხატება, ერთდროულია მოქმედებისა, რომელიც წყვეტილის ფორმებით გამოიხატება. (მ. მეგრელიშვილი


1986: 120-121)


უწყვეტლის მწკრივის მარტივად აღწერისათვის შემოგვაქვს დამატებითი ვექტორი, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო ღერძის პერპენდიკულარულადაა მიმართული. უწყვეტლის მწკრივი წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ გაუთიშველ მიმდინარე მოქმედებას გამოხატავს. II თურმეობითის ფორმები წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობასა და ლოგიკურად მასთან მიმართებას გამოხატავს. დამატებითი ვექტორი (განგრძობითობის) მარკირებულია V ნიშნით. ზემოთ აღნიშნული სქემატურად შეიძლება ასე გამოვხატოთ:

სქემა 10

I და II თურმეობითის ფორმების მიმართება წარსული დროის

საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ





როგორც ჩანს, II თურმეობითის მწკრივი წარსული დროის ღერძზე მდებარეობს და ხასიათდება უარყოფითი ანუ რეტროსპექტული ვექტორით, რადგანაც შეფასება რეალური დროის მიმდინარეობის საპირისპირო მიმართულებით წარმოებს. ეს მწკრივი გამოხატავს წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობას და მასთან მიმართებას. იგი მდებარეობს წყვეტილის მწკრივის ჰორიზონტალურად, რომელიც II თურმეობითის მიერ გამოხატული მოქმედების შემდგომობას გამოხატავს. წყვეტილის მწკრივი წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულს მოიცავს, მასთან ერთდროულობას გამოხატავს. ეს მწკრივი II თურმეობითის მიერ გამოხატული მოქმედების შემდგომობას და ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობას გადმოცემს.

უწყვეტლის მწკრივი კი, რომელიც წყვეტილის ვერტიკალურად მდებარეობს, გამოხატავს მასთან ერთდროულობას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მნიშვნელობები (ერთდროულობა, შემდგომობა) წყვეტილისა და უწყვეტლისათვის არ არის ძირითადი და ერთადერთი. ეს მწკრივები ამ მნიშვნელობებს შეიწყობს. სქემის მიხედვით, I თურმეობითი ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძზეა, ე.ი. ძირითადი ღერძის ვექტორულ ნულთან კონტაქტშია. ამგვარად, I თურმეობითი გადმოცემს ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობას და მასთან მიმართებას. ესაა ამ მწკრივის ინვარიანტული მნიშვნელობა. სხვა დანარჩენი მნიშვნელობები კი – რეზულტატურობა, თურმეობითობა და ა.შ. ამ ფორმის ვარიანტული მნიშვნელობებია.

ამრიგად, ქართულ ენას აქვს ორი მწკრივი I და II თურმეობითი, რომლებიც გამოხატავენ ერთი მოქმედების მეორის მიმართ წინამავლობას, თანაც ზღვრადი მნიშვნელობის მქონე ზმნებში წინამავლობას თან ახლავს მოქმედების

დასრულებლობის მნიშვნელობაც. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში I თურმეობითის ძირითად მნიშვნელობად ითვლება მოქმედების რეზულტატის გამოხატვა. მას “რეზულტატურ აწმყოსაც” უწოდებენ. “რეზულტატური აწმყო” ის ფორმაა, რომელიც გამოხატავს დასრულებულ მოქმედებას, რადგანაც იგი შედეგზე მიუთითებს. აღნიშნულ ტერმინთან დაკავშირებით საინტერესოა ნ. ნათაძის მოსაზრება. “გარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველი ისტორიულად არის არა წარსული, არამედ “აწმყო სრული” ისეთივე მნიშვნელობისა, როგორც “პერფექტია” ევროპულ ენებში. როგორც ძველი ქართული, ისე სხვა ქართველურ ენათა მონაცემები მხარს უჭერენ იმ აზრს, რომ თურმეობითი პირველის პირვანდელ მნიშვნელობად “აწმყო სრულის” მნიშვნელობა ვცნოთ და მნიშვნელობის სხვა ნიუანსები შემდეგ განვითარებულად მივიჩნიოთ” (ნ. ნათაძე 1955: 82-85).

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ I თურმეობითი მხოლოდ დასრულებულ მოქმედებას კი არ გადმოცემს, რომლის შედეგიც სახეზეა ახლანდელ დროში, არამედ დაუსრულებელ მოქმედებასაც. მაგალითად:

70. “გააწყო თაბაგარმა სუფრა, მოიტანა ყველაფერი და ფეხზე იდგა, სანამ მეთაურმა არ უთხრა, დაჯექი ახლათ. რა ხმაზე ლაპარაკობდა ის მარჯვენა ხელი, ვერ გავიგონე კაი ხანს, კრინტი არ დაუძრავს იმ ღამეს. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

როგორც მაგალითიდან ჩანს, მოქმედების დასრულებულობა ამ ფორმის ძირითად მნიშვნელობად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან მოქმედების დასრულებულობა-დაუსრულებლობის გამოსახატავად გადამწყვეტ როლს თვით ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა და მასთან შეხამებულ გარემოებათა ხასიათი თამაშობს. “მიუხედავად ზოგიერთი საერთო ნიშნისა, I თურმეობითის ფორმები რომანული და გერმანიკული ენების პერფექტული ფორმებისაგან მაინც განსხვავდება, რადგანაც ქართულ ენაში ეს ფორმები გამოხატავს უნახაობის კატეგორიას, რომელიც წმინდად ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა. I თურმეობითოს ფორმები მაშინ გამოიყენება, როცა მოსაუბრეს სურს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ, მოქმედება, რომელსაც იგი გვაცნობს, არ წარმოადგენს მისი პირადი დაკვირვების შედეგს, იგი მას თვალთ არ უნახავს, გადმოცემს მას როგორც

გაგონილს და, თუ პირადად ესწრებოდა კიდეც ამ მოქმედებას, მისთვის საკმაო ყურადღება არ მიუქცევია” (მ. მეგრელიშვილი 1986: 124-125). მაგალითად:

71. “ერთი თვის წინათ, ნაშუალამევს, კვირიკე ჩამოსულა, კახეთ-ჰერეთის ტახტის მემკვიდრე, ლიპარიტის უბანში, ლიპარიტი და თირქაში შეხვედრიან, უთენია გაბრუნებულა კვირიკე, მათი საუბრის საგანს ვერ მივაკვლიო...” (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა).

72. “ _ ააა! კი, კი მასე იყო, მასე _ დათანხმდა ბიძაშვილი. რაჟა სარჩიმელისა მაზრის უფროსის ეტლი გაუჩერებია, თურმე და ოჯახი გაუძარცვავს, მისი ქალებისათვის პერანგი აღარ შეურჩენია მამაძალს” (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

უნახაობის მნიშვნელობის გამოსახატავად ქართულ ენას სპეციალური ფორმები არ გააჩნია. ამ მიზნისათვის გამოიყენება ნაწილაკი “თურმე”, რომელიც შეიძლება შეურთდეს ნებისმიერი ზმნის ფორმას. რაც შეეხება I თურმეობითის ფორმებს, ისინი “თურმე” ნაწილაკის გარეშეც გამოხატავენ უნახაობის მნიშვნელობას, რადგან თურმეობისათვის თურმეს დართვა ზედმეტი უნდა იყოს, რადგან თურმეს გაგება აქ ისედაც არის გამოხატული. მაგრამ ახალ სალიტერატურო ქართულში არც თუ იშვიათია თურმე ნაწილაკიანი I თურმეობითი მათივე უნაწილაკო ფორმების გვერდით. მაგალითად:

73. “თურმე ჩამოგვიტოვებია მუხა.” (ი. ჭავჭავაძე, ამბავად გაგონილნი)

აღსანიშნავია, ასევე ა. შანიძის კიდეც ერთი მოსაზრება უნახავი აქტის საკითხთან დაკავშირებით. იგი წერს, რომ უნახავი აქტის ფორმა გვიჩვენებს მოქმედებას გათვალისწინებულს რეზულტატის, ანუ შედეგის მიხედვით, ან სხვისგან გაგონილს. ამის მიხედვით უნახავი აქტის ფორმა ისეთ მოქმედებას გადმოცემს, რომელიც ისე მომხდარა, რომ მოუბარი იმ დროს იქ არ ყოფილა, ან თუ ყოფილა და დასწრებია, ცნობიერება მაინც არ ჰქონია... და ამის გამო მოქმედება ვერ დაუნახავს, მის ცნობიერებამდე ეს მოქმედება არ მისულა. (შანიძე 1961: 216-218)

მაშასადამე, უნახაობა, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციათაგანია თურმეობითის (I და II) მწკრივებისათვის, არ შეიძლება ჩაითვალოს ამ ფორმათა ძირითად, ინვარიანტულ მნიშვნელობად. ზემოთ თქმული საშუალებას

გვამღევს, I თურმეობითის ფორმათა ძირითად, ინვარიანტულ მნიშვნელობად ჩავთვალოთ ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა და მასთან მიმართება, ხოლო ვარიანტულ მნიშვნელობებად – რეზულტატურობა, უნახაობა, მრავალგზისობა და ა.შ. ამგვარად, ქართულ ენაში წინამავლობა გრამატიკულად თვით ზმნის ფორმით გამოიხატება.

ამგვარად, წარსული დროის ფორმები სრულყოფილად გადმოცემენ მოცემული კატეგორიის სემანტიკურ პოტენციალს და სხვადასხვა დონის ლექსიკურ ინდიკატორებთან ერთად წარმოგვიდგენენ ახლანდელი დროისათვის უკვე დასრულებულ მოქმედებას ანუ წარსულის რეალურ ფაქტს, რომელიც ახლანდელთან კავშირში არ არის.

ქართულ ენაში წარსულ დროს შემდეგი ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები აქვს:

3.1.1. ცალკეული მოქმედების მნიშვნელობა ხანგრძლივობის პროცესების გადმოცემაში მდგომარეობს. ქართულ ენაში წარსული დროის ეს მნიშვნელობა სამი მწკრივით რეალიზდება: წყვეტილი (უსრული ასპექტი), I თურმეობითი და უწყვეტელი. მაგალითად:

74. “**ბარათა კი მიმოდიოდა**, მადლსა და სიკეთეს აფრქვევდა, ხან ბობოწვერას და აბედს სეაცლიდა ხეს, ხან მრუდე ნაზარდს სეასწორებდა. გაასველებდა გრეხილად ნაყართ, ბუტბუტით შემოსწყურებოდა კიდეც.” (ლ.გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში).

75. “**შემინდევ ბატონო!** ხმალი კარგა ხანია **არ გამიძვრია**, ქარქაშიანად ვარიდებდი მომხდურებს. აბა დახედე და ქარქასზე მრავალი ნაჭდევი აჩვენა.” (იქვე)

76. “**ამ ტაძრის ხუროთმოძღვარს, ვიღაც ლაზს, შეჰყვარებია** ერისთავის ასული, ზალუმად ლამაზი ყოფილა მაგ დიაცი, ქა. მეფე გიორგის **ნდომია** იგი საცოლედ, ხუროთმოძღვრის სიყვარული არჩია თურმე მაგ სულელმა დედოფლობასა.” (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა)

როგორც ვხედავთ, ცალკეული მოქმედების მნიშვნელობა წარსული დროის სამი მწკრივით ერთნაირი სრულყოფილებით გადმოიცემა. ამ მწკრივთა სინონიმური გამოყენება სხვადასხვა პირობებზეა დამოკიდებული: 1. ზმნების ლექსიკურ ხასიათზე (უზღვრად ან ორმაგ ასპექტური ხასიათის ზმნებზე), რომლებიც

უმთავრესად მოქმედებას მის მიმდინარეობაში, პროცესში გადმოგვცემენ. 2. ზმნებზე I თურმეობითის ფორმაში (განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი უარყოფით ფორმაშია წარმოდგენილი). 3. წყვეტილისა და უწყვეტლის, წყვეტილისა და I თურმეობითის ახლო თანამდებარეობაზე. მოცემული დროის ფორმები ამ მნიშვნელობით გვხვდება როგორც პერსონაჟთა მეტყველებისას, ასევე თხრობის გადმოცემისას ავტორის მიერ. ქართულ ენაში ეს ფორმები წარსულში მთელი რიგი მოქმედებების გადმოსაცემად გამოიყენება.

77. “პირმშვენიერმა შორენამ ნუშის გულივით თეთრი ღაწვები დაიხოკა, დალალები დაიშალა, მამას მკერდზე მიეყრდნო და ატირდა საწყალობელად.” (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა)

78. “ცერებზე დგებოდნენ, კისერს იგრძელებდნენ, ბრბოში ისრისებოდნენ, შეპრწუნებული, გაოცებული თვალებით ეძებდნენ მრისხანე ჯვარს, ამ ლომგულოვანი რაინდის მომაკვდინებელს.” (იქვე)

79. “დიდი ხნის შემდეგ ჩემს ყურს მოსწვდა ვერსია თითქოს, სახნოვი გადადგომით კი გადადგა, მაგრამ თავის გამართლების იმედი კარგა ხანს არ დაუკარგავს _ ზარანდიას ნამოქმედარის გასაბათილებლად, ამგვარ საქმეებში გამოცდილი ადვოკატების თანადგომითა და დახმარებით, ორი წელი უშრომია. ამან მისთვის სასურველი შედეგი ვერ მოიტანა.” (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

უწყვეტლისა და წყვეტილისაგან განსხვავებით, I თურმეობითში დამატებით შემდეგი სემა წარმოჩინდება _ “ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი კონტაქტური რეტროსპექტულობა დროის პერიოდში, რომლს განმავლობაშიც მოქმედების განმეორებაა შესაძლებელი”. ხოლო უწყვეტლისა და წყვეტილის მწკრივები ახლანდელი დროის ღერძთან გათიშულობით ხასიათდება, მასთან კონტაქტური რეტროსპექტულობის გარეშე. ყველა ამ ფორმას ქართულ ენაში შეუძლია გადმოცეს სხვადასხვა ხანგრძლივობის პროცესი, რომელიც ინგლისურ ენაში მარტივი წარსულითა და წარსული განგრძობითით გადმოიცემა.

3.1.2. თანაფარდობითობა წარსული დროის ერთ-ერთი ვარიანტია, რომელსაც ქართულ ენაში თავის გამოხატვის საშუალებები გააჩნია. თანაფარდობითი წარსული ძირითადად წარსული დროის ფორმებით გადმოიცემა, რომლებიც ერთმანეთს

ცვლიან და წარსულის ცალკეული ფაქტის მნიშვნელობას აღნიშნავენ, როცა მოქმედება მისი განფენილობის მიუხედავად წარმოდგება როგორც ერთი მთლიანობა, როგორც ერთი მომენტი. თხრობისას დროის წყვეტა-უწყვეტელობის გაერთიანება ხდება. ამ მნიშვნელობის გადმოცემა წარსულში შემდეგი მწკრივებით წარმოებს: წყვეტილი (სრული ასპექტის და იშვიათად, მაგრამ მაინც უსრული ასპექტისაც), უწყვეტელი და I თურმეობითი. მაგალითად:

80. “ერთმანეთს **ჰკოცნიდნენ** აბარბაცებული სტუმრები, ყველა მღეროდა თითქმის, ვისაც როგორ შეეძლო და გალის კედლებს **აწყდებოდნენ** მამიდა არიადნას დამფრთხალი იადონები.” (გ. დოჩანაშვილი, სამოსელი პირველი)

81. “ადამიანებს სახე აღარ უჩანთ. მათ ტანისამოსს ფერი **დაუკარგავს**. თალხი ლანდები **დალასლასებდნენ** ნისლში ჩაძირულ ქალაქის ქუჩებში. სულ ორიოდე საათის წინ ელავდნენ, ბრწყინავდნენ ავტომობილების, ვიტრინების შუშები, ქალების ლაკიანი ფეხსაცმელები” (ვ. გამსახურდია, დიონისეს ღიმილი).

82. “ ... მას შემდეგ ბევრმა დღემ **ჩაიარა...** ბევრ გზა-ღრიანტებში მატარა. ხე და ხევი რა ბედენაა... არა ერთ მწვერვალამდე **ავსულვარ** _ იალბუზისა და მყინვარწვერის ჩათვლით. იქედან შორეთისთვის თვალი არაერთხელ **გამიყრია...** მაგრამ იმ, არცთუ დიდ ხიდან ერთბაშად დანახულის ოდენა მაინც აღარასოდეს მინახავს, არც შემიგნია... მასე გულადი ვგონებ, არასოდეს ვყოფილვარ.” (ლ.გოთუა, უფოთლო ხის ჩრდილი).

როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, I თურმეობითის ფორმები თანაფარდობითი მნიშვნელობით ჩვეულებრივ, ეპიკურ კონტექსტში, უფრო მეტად კი უარყოფით კონტექსტებში გამოიყენება.

3.1.3. **მრავალგზისობა** შემდეგი ვარიანტული მნიშვნელობაა. იგი დროის გარკვეულ პერიოდში მოქმედებების ციკლურ განმეორებად ხასიათზე მიუთითებს. თავად მნიშვნელობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი გამოხატვის საშუალებები მრავალფეროვანია ქართულ ენაშიც ინგლისურის მსგავსად.

მრავალგზისი წარსულის რეალიზება ქართულ ენაში წარსული დროის შემდეგი მწკრივებით ხდება: უწყვეტელი, წყვეტილი, ხოლმეობითი და I თურმეობითი. უწყვეტელი, წყვეტილი და I თურმეობითი _ ამ მნიშვნელობას

მხოლოდ ლექსიკური საშუალებების დახმარებით გადმოცემენ. მათში მრავალგზისობის მნიშვნელობა რეალიზდება ლექსიკური აქტუალიზატორების დახმარებით. რაც შეეხება ხოლმეობითს, ამ მნიშვნელობას იგი ყოველგვარი დამხმარე საშუალებების გარეშეც გადმოცემს. სემას “მოქმედების მრავალგზისობა” განსაზღვრული კონოტაციები ახლავს თან, დრო აღიქმება ემოციურად. ზოგჯერ ხოლმეობითი ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად იყენებს დამხმარე სიტყვას “ხოლმე”, თუმცა ამ სიტყვის გარეშეც ზმნის ფორმას ხოლმეობითში შესწევს უნარი მრავალგზისობის მნიშვნელობა გამოხატოს (ქავთარაძე 1961: 65).

მრავალგზისობის გამომხატველ ფორმებს ხშირად მიმართავს ვაჟა ფშაველა თავის ლექსებსა და პოემებში. მაგალითად:

83. “სთვლობით გულ-გაცოფებულმა ირემმა დაიღრიალის,
ან მოსქდის ზოვი მთიდანა, დაიზრის, დაიღრიალის,
ახავლდის შველი დამთხვარი, კოდალამ დაიკრიალის,
ჭალას აძრახდის ხოხობი, ზარივით დაიზრიალის,
ზღაპარს უამბობს ნიავი, ფოთლებმა დაიშრიალის.”

(ვ. ფშაველა, ეთერი)

მაგალითების დახმარებით განვიხილოთ მრავალგზისი წარსულის გადმოცემის საშუალებები ქართულ ენაში.

84. “ზაჩანა ბევრჯერ დაკიდებულა ღერძზე ბავშვობაში თავდაყირა,
ფიზკულტურის მასწავლებლის მოწონება და აღტაცებაც კი დაუმსახურებია, მაგრამ
ახლა რომ გაიხსენა, მაინდამაინც დიდ სიამოვნებას ასე თავდაყირა ყოფნა არასოდეს
არ ანიჭებდა. (ნ. დუმბაძე, მარადისობის კანონი).

85. “ფარნაოზს გულში ათასჯერ ჰქონდა გამეორებული, რაც აქ უნდა ეთქვა,
რასაც მისი წარმოდგენით შავთვალა მალალოც უნდა აელეღებინა, გაეხარებინა.” (ო.
ჭელიძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა).

86. “ ... იმის ერთადერთი იმედი მე ვიყავი: თავს მევლებოდა, ჩემზე
ლოცულობდა, მოკრძალებით მახსენებდა და ყოველ ჩემს ახირებულ სურვილსა და
ბავშვურ ჟინს სიტყვის შემოუბრუნებლად ასრულებდა.” (მ. ჯავახიშვილი, ეკა).

87. “ რაკი კნეინა თვალს გააჭყეტდა, შავარდენივით გადმოფრინდებოდა ტახტიდან, გადიკრავდა შუბლსაფენს, ზედ წაიკრავდა ჩითმერდინს, გადიცვამდა ჩითის კაბასა _ ხანდისხან სიჩქარისაგან უკულმაცა _ შიშველა ფეხს შეიმოსავდა ჩუსტითა და _ ჰერი, ბიჭო _ დაეშვებოდა ჩალურისაკენ.” (ი. ჭავჭავაძე, კაცია-ადამიანი?!)

მრავალგზისობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო და ამავე დროს განსხვავებულ აზრს ვაწყდებით თ. ზურაბიშვილის სტატიაში “მრავალგზისობის საკითხი თანამედროვე ქართულში.” იგი წერს, რომ “მრავალგზისობის გამოსახატავად თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას არ მოეპოვება საკუთარი მწკრივი. მის გადმოსაცემად ენა სხვადასხვა საშუალებას მიმართავს, მათ შორის “ხოლმე” ნაწილაკსაც, და თუ არა ეს “ხოლმე”, მხოლოდ კონტექსტით არის შესაძლებელი მრავალგზისი მნიშვნელობის დადგენა” (თ. ზურაბიშვილი 1965: 508-509).

თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზემოთ განხილული მწკრივები გამოხატავენ მრავალგზის მნიშვნელობას, მაგრამ აქვე ავღნიშნავ, რომ მხოლოდ ლექსიკური საშუალებების დახმარებით. ხოლმეობითი კი მრავალგზისობის მნიშვნელობას ყოველგვარი დამხმარე საშუალებების გარეშე გადმოსცემს და ამიტომ ვთვლი, რომ ეს მნიშვნელობა აღნიშნული მწკრივისათვის პირველადაა.

გარდა ზემოთ აღნიშნული სპეციალური გრამატიკული ფორმებისა, რომლებიც მრავალგზისობის მნიშვნელობას გადმოსცემენ ქართულში, აგრეთვე გვაქვს კონსტრუქცია “ხოლმე + უწყვეტელი.” მაგალითად:

88. “მარტო დათას ცხოვრების ექო მიწვდებოდა ხოლმე ხანგამოშვებით: ცოცხლობდა, დაუნდობლად ებრძოდა თავს და იყო მუდამ მართალი კაცი.” (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

89. “დროდადრო ქარი ჩამოურბენდა გზის პირს ჩაყოლებულ ნაზვებს და თოვლს ჩამოჰყრიდა. შემსუბუქებული ტოტები შრიალით სწორდებოდნენ.” (ვ. ლორთქიფანიძე, კოლხეთის ცისკარი).

90. “როგორც ამ სანახებში შემორჩენილი ნასახლარები, ნასაყდრალეები და ნაციხარები, ისე ტყეში გაფანტული ვაზნარების ნამუსრევეები აშკარად მოწმობდნენ,

რომ ამ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე სიცოცხლე სჩქეფდა ოდესღაც.” (კ. გამსახურდია, ვაზის ყვავილობა).

91. “სწორედ ამ ბერძუხის ქვეშ იჯდა თებერვლის ტფილ დღეს ახლადშეღერებული გოგონა. წარამარა გასცქეროდა ალაზნის ველს, ხანაც აღმოსავლეთისაკენ მიმავალ ურმის გზას უთვალთვალეზდა.” (იქვე)

92 .” ... და ვიდრე ეს გოგონა ასე გარინდებული იჯდა, ბერძუხას მოუახლოვდა საკმაოდ ტანმალალი, ბრგე ყმაწვილი, რომელსაც წაბლისფერი კულულების ფონზე მერცხლის ბუდესავით წამოეკოსებინა ნაბდის შავი ქუდი, როგორსაც მუზარადის ქვეშ იხურავდნენ ხოლმე ძველი რაინდები ოდესღაც და ახლა “თუშურს” უწოდებდნენ.” (იქვე)

93. “არავგის ხეობაში შემოჭრილან საერთო ჯარით; ციხეებს შემოწყობიან, უბრძოლველად გაუტეხიათ ციხისთავები, რადგანაც შინაკაცები ჰყოლიათ წარმართთაგანნი თურმე” (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა).

ამრიგად, მრავალგზისობის მნიშვნელობისათვის დამახასიათებელია ვექტორული ნულის ჩართვა პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია მოქმედების განმეორება და კონტექსტით განპირობებული მოქმედების მრავალგზისობა. აღნიშნული ორი სემა მრავალგზისი წარსულის სემანტიკას განასხვავებს წარსული დროის სხვა ვარიანტულ მნიშვნელობათა სემანტიკისაგან.

3.1.4. მოქმედების წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან შეფარდების მიხედვით გამოყოფენ ვარიანტულ მნიშვნელობებს, რომელთაგან ერთ-ერთი წამყვანი **ექსკლუზიური წარსულის** მნიშვნელობაა. ექსკლუზიური წარსულისათვის დამახასიათებელია წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა, მასთან კონტაქტური რეტროსპექტულობა, მოქმედების ერთგზისობა და მოქმედების დროში ლოკალიზება/არალოკალიზება.

ექსკლუზიური წარსული ქართულ ენაში სამი მწკრივით: წყვეტილით (სრული), უწყვეტლით და II თურმეობითით გადმოიცემა. მაგალითად:

94. “ასე გადაკვრით რაღაცას წლიდან წლამდე ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, ვერც ერთი ვერ ბედავდა აშკარად გულისნადების გამოთქმას.” (ნ. ლორთქიფანიძე,

95. “იმათ სოფელში უცნაური დღესასწაულები იცოდნენ, რას არ ევედრებოდნენ ბუნებას: წვიმას, მზესა და ნაყოფიერებას. ცისკენ თავაწეულნი ღრიალით ითხოვდნენ ყოველივე ამას.” (გ. დოჩანაშვილი, სამოსელი პირველი).

ექსკლუზიური წარსული ქართულ ენაში სამი მწკრივით რეალიზდება: უწყვეტელი, წყვეტილი (სრული) და II თურმეობითი. მაგალითად:

96. “მან გვითხრა, რომ ბიძაჩემს თვითონ ჯამბაზებიდან ესწავლა ფრენა”. (ო. ჭილაძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა)

97. “თქვენისთანა მუშტარი ჩემს კანტორას წინათ, მართლაც არ ჰყოლია და ამიტომ მაგ წინადადებამ მით უფრო დამინტერესა. ეგ არის ამგვარი საქმეების წარმოებაში არავითარი გამოცდილება არ გამაჩნია.” (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

98. “ექვსი თვე დაჰყო მამამზემ მცხეთაში და ამ ხნის მანძილზე არც მეფეს, არც კათალიკოსს, არც სპასალარს სიტყვაც არ დაუძრავთ ფხოველთა და არაგველთა ამბოხის გამო. არც ეკლესიების შემუსვრა უხსენებიათ. ამ მოჩვენებითი თავაზიანობის მიღმა საშინელი წყრომა და მუქარა ბობოქრობდა.” (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა).

99. “ეს მეფეს გაუგია, მერმე წაუსწრეს თურმე შეყვარებულებს, ქა, დიაცი გაქცეულა, მაგრამ საწმერთული დარჩენია ხუროთმოძღვრის სართაულის ქვეშ. განრისხებულა მეფე გიორგი, ქა, მკლავი მოუჭრიათ იმ ქალის გამო ბოლოს.” (იქვე).

როგორც ცნობილია, ქართული ენის ნორმატული გრამატიკა წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობის გადმოსაცემად ძირითადად იყენებს II თურმეობითს. თუმცა ქართულ ენაში (სასაუბრო, საგაზეთო-პუბლიცისტურ და მხატვრულ ბელეტრისტულ მეტყველებაში) საკმაოდ ხშირად შეინიშნება წყვეტილის (სრული ასპექტი) მწკრივის სინონიმური გამოყენება ამ მნიშვნელობითი რაც შეეხება უწყვეტლის მწკრივს, ისიც გვხვდება ექსკლუზიური მნიშვნელობით, მაგრამ ეს მწკრივი განსხვავებით II თურმეობითისა და წყვეტილისაგან მოქმედების პროცესუალურ ხასიათზე მიუთითებს და დამატებით სემას _ “მოქმედების პროცესუალობას” შეიცავს.

3.1.5. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან კონტაქტურობა **ინკლუზიურ ფორმაში** ისე ვლინდება, რომ მას შეუძლია აღნიშნოს მოქმედება, რომელიც ჯერ კიდევ წარსულის მომენტამდეა დაწყებული და წარსულის მომენტსაც მოიცავს. ინკლუზიური წარსულისათვის დამახასიათებელია წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში, მოქმედების ვექტორულ ნულთან კონტაქტური რეტროსპექტულობა, მოქმედების ერთგზისობა და დროში ლოკალიზება.

ინკლუზიურ წარსულს ქართულ ენაში თავის გამოხატვის საშუალებები გააჩნია: უყვეტელი, წყვეტილი (უსრული ასპექტი), II თურმეობითი. მაგალითად:

100. “გუშინ სარკეში ჩაიხედა და სარკე მიწაზე დაანარცხა. სარკემ უთხრა, რომ მის მთვარიანობა **დიდი ხანია ჩაჭკრობოდა**, ბროილს ნათელი, ლალის ბრდღვიალი **გაჭხუნებოდა**, შუქჩამდგარ საღამოს მიჰგავდა. მისი ყვავილიანი სამზეო **დალეულიყო**. წყალმა წაიღო სილამაზე და თაყვანისცემაც.” (გ. ლეონიძე, ფუფალა)

101. “იოანე უტყვი **დაქვეითდა**, გამყოლები და ჯორ-ცხენები წინ **გაისტუმრა**. ქვევიდან **დიდხანს უმზერდა** ყინცვისის გუმბათს. (ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში)

ქართულ ენაში ინკლუზიური წარსულის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი კონტექსტია საჭირო: 1. უზღვრადი და ორმაგი ასპექტური ბუნების ზმნები; 2. ლექსიკური საშუალებები, რომლებიც ვექტორული ნულის მოქმედების განფენილობაში ჩართვაზე მიუთითებენ: დიდხანს, მთელი თვე, უკვე, მას შემდეგ და ა.შ.

3.1.6. წარსული დროის სფეროში შედის გადმოგვცეს მიზეზ-შედეგობრივი მიმართებები სუბიექტისა და ობიექტის მდგომარეობისა, რომელიც დასრულებული მოქმედების შედეგია, **რეზულტატია**.

იგი ქართულ ენაში ორი ფორმით II თურმეობითით და უწყვეტლით რეალიზდება. მაგალითად:

102. “თურმე ერთი ოსის ქალი **შეჰყვარებოდა**, ქართველი კაცის ქვრივი, როსტომიანთ გომურებს ეტყოდნენ, ერთ ღამეს იქ **დაებარებინა** შალიბაშვილს თავისი საყვარელი”. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

103. “დასაზვერავად გამოეგზავნა ვაჟს ეს საპატიო სტუმარი. გიორგის შეეძლო ახალიწლის მორე დრესვე ტვალები დაეთხარა მამამზისათვის, წიაბერისა და კოლონკელიზის წინააღმდეგ ჯარი გაეგზავნა, ვიდრე პირველი თოვლით შეიფიფქებოდნენ მთები, მაგრამ ჭიაბერი ახლადმოზრუნებული იყო ბიზანტიდან, სადაც იგი თურქებთან ბრძოლაში შველისათვის ოქროს მუზარადითა და “არხეგისის” სახელწოდებით დააჯილდოვა კეისარმა”. (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა)


როგორც მაგალითებიდან ჩანს, II თურმეობითი უნახაობის მნიშვნელობას გადმოგვცემს როგორც ნაწილაკით “თურმე”, ისე მის გარეშეც. II თურმეობისათვის დამახასიათებელია სემა – მოქმედების უნახაობა. სემა “მოქმედების უნახაობა” აღნიშნავს, რომ მოსაუბრე არ იყო მონაწილე მომხდარი მოქმედებისა. მის შესახებ მან მხოლოდ სხვისგან გაიგო. I თურმეობითისაგან განსხვავებით, იგი ისეთ უნახავ მოქმედებას გადმოსცემს, რომელიც წარსულში მეორე მოქმედების წინამავალია.


104. “მოგზაურ სოვდაგარს განურჩევლად შეეძინა, რაც კი ხელში მოხვედროდა”. (კ. გამსახურდია, მთვარის მოტაცება).

I თურმეობითის შედეგობით ფუნქციასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას ვხვდებით ჟ. ფეიქრიშვილთან. იგი აღნიშნავს, რომ “თურმეობითი ძირითადად წყვეტილის შინაარსის მატარებელია. საკმაოდ ხშირია I თურმეობითისა და წყვეტილის პარალელური ხმარების შემთხვევები, რაც აიხსნება მათი შინაარსობრივი სიახლოვითა და ზოგჯერ ფუძეთა ერთიანობით. თუმცა უფრო ხშირად, I თურმეობითი გახაზავს არა დამთავრებულ მოქმედებას, როგორც ეს წყვეტილს ახასიათებს, არამედ აჩვენებს ამ მოქმედების შედეგს, ე.ი. აქ ერთგვარად შედეგობითის ფუნქციაა მთავარი” (ჟ. ფეიქრიშვილი 2007: 104-105)

აქვე ავტორს განხილული აქვს ზმნის ისეთი ფორმები, როგორიცაა მიმიცია=მიცემული მაქვს, მომიცდენია = მოცდენილი მყავს და ა.შ. I თურმეობითის გამოყენება ამ კონსტრუქციაში ჩათვლილია, როგორც ქართული ენის ძველისძველი ფაქტი, რომელიც XIX-XX სს სალიტერატურო ქართულშიც იჩენს თავს შესამჩნევად. იგი დამახასიათებელია პერსონაჟის მეტყველებისათვის და ნახმარია “სამეტყველო კოსტიუმის დასახატავად, კოლორიტის შესანარჩუნებლად. თურმეობითის შინაარსი ამ შემთხვევაში უფრო მარილიანია აორისტთან შედარებით”. (ი. ქავთარაძე 1961:180)

წარსული დროის სემანტიკური მოდელი და მისი გამოხატვის საშუალებები ქართულ ენაში





სქემა 11

სქემა 12

წარსული დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ველი ქართულ ენაში

ამგვარად, როგორც შესწავლილი მასალის ანალიზმა გვიჩვენა წარსული დრო ქართულ ენაში ძლიერი გრამატიკული კატეგორიაა. იგი ასპექტ-დროის ხუთი მწკრივით გადმოიცემა: უწყვეტელი, წყვეტილი, ხოლმეობითი, I თურმეობითი და II თურმეობითი. ეს გრამატიკული ფორმები ის საშუალებებია, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება წარსული დროის შინაარსის გადმოცემა ენაში, ლექსიკურ თუ სხვა დონის ერთულებთან ერთად.

იმდენად, რამდენადაც ქართული ენა თავისი სტრუქტურით განსხვავდება ინგლისური ენისაგან, ბუნებრივია, რომ წარსული დროის სემანტიკაში ვლინდება განსხვავება ამ ორ ენას შორის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ წარსული დრო მეტად რთული გრამატიკული კატეგორიაა, მაგრამ ქართული ენის დიდი ლინგვისტური პოტენციალი დროის სემანტიკის სრულყოფილად გადმოცემის შეუდარებელ საშუალებას იძლევა.

3.2. წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტური შინაარსის გადმოცემის საშუალებათა შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში

ენათა შეპირისპირებით-ტიპოლოგიური შესწავლის მეთოდი სიახლეს აღარ წარმოადგენს ენათმეცნიერებაში, მაგრამ კვლავ დიდია მისი თეორიული თუ პრაქტიკული მნიშვნელობა როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენებში. შეპირისპირებითი შესწავლა საშუალებას გვაძლევს უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოვავლინოთ შესასწავლი ენების თავისებურებანი, რადგან დედაენაში არაფერია შესამჩნევი _ მასში ყველაფერი მარტივი და ცხადია, და არავითარ ეჭვს არ იწვევს. უცხო ენა კი, რომელიც შეპირისპირებით პლანში შეისწავლება, შესაძლებლობას იძლევა გადმოვცეთ იგივე აზრები სხვა საშუალებით, გარდა ამისა, იგი გვეხმარება გამოვამჟღავნოთ გამოხატვის სხვადასხვა საშუალება დედაენაშიც (Щерба 1947: 44).

ვითვალისწინებთ რა აღნიშნული მეთოდის უპირატესობებს ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი კუთხით კვლევას აქტუალურად მივიჩნევთ. მიუხედავად ქართული ენის მაღალი ლინგვისტური პოტენციალისა, შეპირისპირებით პლანში მის შესწავლას დიდი ტრადიცია არ გააჩნია. ენათმეცნიერები, მკვლევარები, ქართული თუ უცხო ენის სპეციალისტები ყოველდღიურად ხვდებიან დედაენის მსოფლიოს სხვა ენებთან ურთიერთობის პრობლემებს. გაიზარდა უცხო ენების შესწავლის, ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნის, მანქანური თუ ზეპირსიტყვიერი თარგმნის მოთხოვნილება.

შეპირისპირებითი კვლევის მიზანი აღნიშნული პრობლემების გადაჭრაში მდგომარეობს.

კონტრასტური ლინგვისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია საკვლევ ენათა შესაპირისპირებელი ობიექტების დადგენა. ასეთად კი ჩვენ წარსული დრო მივიჩნიეთ და შევეცადეთ დაგვედგინა ის მსგავსება-განსხვავებები, რაც წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტური შინაარსისა და ფუნქციებს გადმოცემის საშუალებებს შორის არსებობს ორ მოცემულ ენაში. ჩვენი მიზანია, შეპირისპირებით პლანში შევისწავლოთ აღნიშნულ კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციათა პოტენციალი და მათი გადმოცემის საშუალებები ინგლისურსა და ქართულ ენებში.

დისერტაციის მეორე თავში განვიხილეთ წარსული დროის შინაარსის გადმოცემის საშუალებები და ის კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციები, რომლებიც აღნიშნული დროით რეალიზდება ინგლისურ ენაში. მესამე თავში კი მოვახდინეთ მათი შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში.

3.2.1. მარტივი წარსულისა და წარსული გნგრძობითის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტებიდან **ცალკეული მოქმედების** მნიშვნელობა ერთ-ერთია, რომელიც მოქმედების წარსულზე განკუთვნიების ნიშანს ემყარება. მისი როლი წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ჩართვაა მოქმედების განფენილობაში. წარსული განგრძობითის ფორმა (Past Continuous) დროის ლიკალიზების ტემპორალურ-ასპექტურ და მოქმედების წარსულზე განკუთვნიების ტემპორალურ ნიშანზეა დაფუძნებული. მაგალითად:

105. I **had dinner** with Gorwin and Hunt last night; They feel that the sooner I get to work the better. (H. Robbins, Where Love Has Gone).

106. “შენ მართალი ხარ, მგზავრო, _ მძიმე სუნთქვით მითხრა, _ ჯავარიან სიტყვით მეცნობი... მაგრამ ამ გზაზე რამდენ ხალხს აუვლია და ჩაუვლია... იყო ერთი კაცი, იმასაც ბევრი კაკალი დაატეხა ცხოვრებამ... ამ ტყეში უყვარდა ყოფნა. მერმე შორეთში წავიდა.” (ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში)

107. He **was sitting** on the grass with Melanie Hamilton, talking quietly and smiling the slow, lazy smile that Scarlett loved. Melanie had dark hair and a heart-shaped face. She was small, but seemed older than her seventeen years. (M. Mitchell, Gone with the Wind)

108. We **were talking** softly out on the balcony. The moon was supposed to rise but there was a mist over the town and it did not come up and a little while it started to drizzle and we came in. (E. Hemingway, A Farewell to Arms)

109. “დიდხანს დავეყვებოდი ტყის აღმდგენელს და თითქოს მის დაღლილ თვალთა და ჩამხმარ ხელთა შუა ნახატარის ახალი ტყე იზრდებოდა, მალღებოდა, უღრან ტევრად იქცეოდა” (ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში)

110. “თოფი საფანტით გავტენე და მშრალ ხევეს ავეყვი, ნეტავ, მტყუანი და ფუჭ-ექვიანი გამოვმდგარიყავ... _ ხმა ჩაეკარგა ბარათას, მიწა მოჩიჩქნა და დიდხანს ახველა” (იქვე).

111. “ერთ დილას ზამთარაძე თურქეთში მცხოვრებ ქართველი ტომების ამბავს მეკითხებოდა, ვსაუბრობდით. თუთაშხია გარეთ იყო გასული. დიდ პალატაში ავადმყოფები საუზმეს აპირებდნენ”. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

პერსონაჟთა მეტყველებაში, უშუალო ურთიერთობისას (გამონათქვამის დონე) წარსული განუსაზღვრელის კორელატი რეალურად არსებულ სამყაროშია.

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, მოქმედებები, რომლებიც წარსულის განგრძობითის ფორმით გადმოიცემა, კონკრეტულ, ცალკეულ პროცესებს გადმოგვცემს წარსულში. “მათი გამოცალკავებული ხასიათი მოქმედების დროში ლოკალიზებით, კონკრეტულ სიტუაციასთან მისი მჭიდრო კავშირითაა განპირობებული. სწორედ ამიტომ ამ ფუნქციით წარსული განგრძობითი მხოლოდ ტემპორალურად და ასპექტურად ღირებულ ისეთ ელემენტს ეწყო, რომელიც კონკრეტულობის ნიშანს არ ეწინააღმდეგება” (მ. მეგრელიშვილი, 1986: 198)

წარსული განგრძობითის ფუნქციობის პირობები ამ მნიშვნელობით განსხვავებულია და ქართულში მას შეესატყვისება სამი მწკრივი: წყვეტილი (უსრული ასპექტი), უწყვეტელი და I თურმეობითი. ამრიგად, ინგლისური ენის ერთ ფორმას ქართულში შეესატყვისება სამი მწკრივი: უწყვეტელი, წყვეტილი (უსრული ასპექტი) და I თურმეობითი.

ყველა ამ ფორმას ქართულში შეუძლია გადმოცეს სხვადასხვა ხანგრძლივობის პროცესი, რომელიც ინგლისურ ენაში წარსული განგრძობითით (Past Continuous) გადმოიცემა.

3.2.2. თანაფარდობითი მარტივი წარსულის ფორმა თხრობისას გამოიყენება. მხატვრულ ტექსტში იგი ერთ-ერთი წამყვანი ფორმათაგანია. მაგალითად:

112. The strange thing was that when she **looked into** her heart it was not Julia Lambert the woman who **resented** the affront, she didn't care for herself, **it was** the affront to Julia Lambert the actress that stung her. She **felt** that her talent, genius the critics called it, was not really herself, not even part of her, but something outside that used her, Julia Lambert the woman, in order to express itself. It was a strange, immaterial personality that **seemed** to descend upon her and it did things through her that she **did not know** she was capable of doing. She was an ordinary, prettyish, ageing woman. Her gift had neither age nor form. It was a spirit that played on her body as the violinist plays on his violin. (W. S. Maugham, Theatre)

113. She **went out** of the store and **sat down** on a bench in front of it o drink her Coke. The Coke was icy and sweet and **stung** the back of her mouth in little tart explosions. She **drank** slowly. She was in no hurry. She saw the graveiled road leading away from the highway to the river. The shadow of a little cloud **raced down** it, like an animal running. It was silent from one coast to the other. The wood of the bench under her was warm. No cars passed. She **finished** her Coke and **put the bottle down** under the bench. She heard the ticking of the watch on her wrist. She **baned back**, to catch the weight of the sun of her forehead. (I. Shaw, Rich Man, Poor man)

114. “**გამოვბრუნდი.** ჩანთა ჩამომხრჩვალავით **ეკიდა** კაკლის ტოტზე. შეძრულ ხელით **ჩავაწყვე** ჩემი ბარგი, შიგ კაკალიც იყო, მაგრამ აღარ **ჩხრიალებდა** ჩემი კაკალი! ზურგზე რომ **მოვიგდე**, ჩანთას კუზის სიმძიმე **ჰქონდა**. ფესვებს ველარ შევახე ხელი. ტყის ბილიკს ქურდულად **ჩავყევი**. წყაროსთან მაინც **შევდექი**, შიგ **ჩავიხედე** – წყაროს სარკე, თვალზე გადაკრულ ლიბრივით უსიღრმო და უანარეკლო იყო. დადმართს მგლური ძუნძულით **ჩავყევი.**” (ლ. გოთუა, ნისლი ნახატარის ტყეში)

თანაფარდობითი წარსული განუსაზღვრელისათვის დამახასიათებელია ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობა, ერთდროული ან ერთმანეთის მომდევნო მოქმედებათა ერთობლიობის გამოხატვა და მოქმედების ერთგზისობა-მრავალგზისობა.

ინგლისური ენის თანაფარდობით წარსულს ქართულში შემდეგი მწკრივები შეესაბამება: წყვეტილი (სრული ასპექტის და იშვიათად უსრული ასპექტისაც), უწყვეტელი და I თურმეობითი. მაგალითად:

ამგვარად, ინგლისური ენის ერთ ფორმას _ მარტივ წარსულს, ქართულში ასპექტ-დროის სამი მწკრივი შეესაბამება.

3.2.3. მარტივი წარსულის შემდეგი ვარიანტული მნიშვნელობაა ჩვეულებრივი **მრავალგზისი**, ციკლური მოქმედების გამოხატვა. თავად მნიშვნელობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი გამოხატვის საშუალებები მრავალფეროვანია როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში. მრავალგზისი მარტივი წარსულის რეალიზაციისათვის საჭიროა მრავალგზისობის გამომხატველი ლექსიკური საშუალებები, რომლებიც მოქმედების მრავალგზის ხასიათს განსაზღვრავენ. მაგალითად:

115. During his stay in jail Triunfador **was frequently visited** by Father Vigil, and to his surprise he found the Catholic priest to be a man of profound vision. (J.A. Michener, Centennial)

116. **“ზშირად** დათა თუთაშხიას რომელიმე საქციელის მაგალითზე მიმართავდა ადამიანის ავ-კარგს და ხანდახან _ ალბათ, ჩემს გასაგონად _ თავის თავს **ესაუბრებოდა** ამ თემაზე”. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

117. Whenever the matter **came** before the legislature, it was quickly brushed aside on the grounds, “We need them”. They were needed, but they were not wanted. (ibid.)

118. **რამდენჯერ ვყოფილვარ** მიპატიჟებული, ან საქმეზე მისვლა დამჭირვებია, **იმდენჯერ** _ სტერეოტიპის ძალით და მისგან გამომდინარე _ საგანგებოდ **მიფიქრია**, თუ რისთვის უნდა მიმეცია ყველაზე მეტი ყურადღება ჩაცმულობაში”. (იქვე)

119. As for shirts, today the red seemed the one. I nearly **wore** it because, its bright shoulders pointed up the white specks that showed from my scalp, like a show of dandruff. (J. Updike, The Centaur)

120. “სიცილმა ისევ **იფეთქა** სუფრაზე, მაგრამ ბესიკი კვლავ წარბშეკრული **იჯდა** და ოდნავ ღიმილითაც კი არ გაუხსნია სახე. ის ხანდახან **გადახედავდა** ხოლმე მასპინძელს და უნებურად **გრძნობდა**, რომ ბრმა მოხუცი, მისანივით, რომ წინასწარმეტყველებდა, მართალი იყო პაპუნას მიმართ”. (აკ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი)

როგორც ვხედავთ, მრავალგზისი მარტივ წარსულს ქართულში შეესატყვისება მწკრივები: უწყვეტელი, წყვეტილი, ხოლმეობითი და I თურმეობითი აღნიშნული

მნიშვნელობით. უწყვეტელი, წყვეტილი და I თურმეობითი ამ მნიშვნელობას მხოლოდ ლექსიკური საშუალებების დახმარებით გადმოცემენ. რაც შეეხება ხოლმეობითს, ამ მნიშვნელობას იგი დამხმარე საშუალებების გარეშე გადმოცემს.

ინგლისურ ენაში კი ზმნის ფორმა ლექსიკური საშუალებების გარეშე ვერ გამოხატავს მოქმედების მრავალგზის ხასიათს. ეს მნიშვნელობა წარმოდგება ძირითადად კონტექსტის დახმარებით.

ინგლისურ ენას მრავალგზისობის გამსახატავად მოეპოვება სპეციალური კონსტრუქციები “used to + ინფინიტივი” და “would + ინფინიტივი”. ქართულშიც მოიპოვება მათი შესატყვისი სპეციალური გრამატიკული ფორმა – ხოლმეობითის მწკრივი და აგრეთვე კონსტრუქცია “ხოლმე + უწყვეტელი”. მაგალითად:

121. Pete, I often think of what your Dad **used to tell** me about teaching. It’s rough, he’d say, “but you can’t beat it for the satisfaction you get.” (J. Updike, The Centaur)

122. “ხეობიდან წამოსული დილის სიო კაკლებს ჩამოუქროლებდა ხოლმე, ფოთლებს ააშრიალებდა, ააფუსფუსებდა.” (იქვე)

123. “შევეყოფდი ხოლმე ხელს ჯილეში, ქვებში და, თუ შევხვდებოდი თევზს, დავიჭერდი და გამოვიყვანდი.” (ა. წერეთელი, ჩემი თავგადასავალი)

მრავალგზისი წარსული განგრძობითის ვარიანტული მნიშვნელობა ემყარება დროში არალოკალიზებისა და მოქმედების წარსულზე განკუთვნების ნიშანთა შეხამებას. მრავალგზისობის მნიშვნელობას წარსული განგრძობითი სხვადასხვა ლექსიკური საშუალებებით გადმოცემს. მაგალითად:

124. I t was still many days had passed that the Princess began to accept the idea of having done, a little, something she **was not always doing**, or indeed that of having listened to my inward voice that spoke in a new tone. (H. James, The Golden Bowl)

125. “მუშნი ზარანდია საინტერესო თანამოსაუბრე იყო ყოველთვის, მაგრამ ახლა, ათას ცხრაას ცხრა წელს იგი უკვე ისეთი მუშნი ზარანდია გახლდათ, როგორსაც, შეიძლება ითქვას, პირდაღებული ვუსმენდი.” (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

მრავალგზისი წარსულ განგრძობითს ქართულში შეესატყვისება შემდეგი ფორმები: უწყვეტელი, ხოლმეობითი და I თურმეობითი. მაგალითად:

126. “მუშნი ზარანდია საინტერესო თანამოსაუბრე იყო ყოველთვის, მაგრამ ახლა, ათას ცხრაას ცხრა წელს იგი უკვე ისეთი მუშნი ზარანდია გახლდათ, როგორსაც, შეიძლება ითქვას, პირდაღებული ვუსმენდი.” (ქ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

127. “ ხანდახან ქარისა მოუკაკუნებდათ ხოლმე, რა გაქვთ ამდენი სალაპარაკო. შემოსვლით კი არ შემოვიდოდა.” (ო. ჭელიძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა).

128. “ჩვეულებრივ დღის ამ ნახევარში არასოდეს მიმუშავია და მიმძიმს ამაზე შეგუება _ განაცხადა გოგია აბაშიძემ”. (აკ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი)

წარსული განგრძობითის ფორმა ინგლისურში ქართული უწყვეტლისაგან განსხვავებით გადმოცემს რეგულარულად განმეორებად მოქმედებას ზუსტი დროის მითითების გარეშე.

წარსულ პერფექტს მრავალგზისი მოქმედება ლექსიკური აქტუალიზატორების საშუალებით შეუძლია გადმოცეს. ესენია: seldom, always, sometimes და ა.შ. მაგალითად:

129. She **had** already **written three or four times**, first to tell him, that she was married, well and happy. (W. S. Maugham)

130. “კურკამ სამხერხაოს ეზოში ათიოდეჯერ შეჰყო თავი. მერე დაქირავებულ აგილზე ორსართულიანი ფიცრული ქოხი წამოჭიმა. თითო სართული სიმაღლით, სიგრძით და სიგანით ორ-ორი ადლი ძლივს იქნებოდა.” (მ. ჯავახიშვილი, კურკას ქორწილი)

131. As for George Willard he **had many times wanted** to ask about hands. At times an almost over whelming curiosity had taken hold of him. (Sh. Anderson, Hands)

132. “ჯიხვზე, მშველზე, ხოხობზე ნადირობის სეზონში ხშირად ჩავდიოდი ხოლმე მასთან, ამიტომაც განსაკუთრებით მაინტერესებდა მისი ბედი”. (ვ. გამსახურდია, ვაზის ყვავილობა)

133. The thought of many father-in-law, whom I **had not seen eight times** in my marriage life, but knew well enough to fear profoundly, was a subject so vast, however, I put it away form me altogether. (N. Mailer, An American Dream)

134. “ორივენი ლელავდნენ, ერთ სათქმელს სამჯერ იმეორებდნენ, კვლავ ერთმანეთს არიგებდნენ და გულის ფანცქალით წასასვლელად ემზადებოდნენ”. (მ. ჯავახიშვილი, შურის მაძიებლები)

135. “ადრედვეც გაგონილი ჰქონდა, რომ სოლომონი იშვიათად იცვამდა ფარჩისა და სტავრის სამეფო ტანსაცმელს, თავისი მეფობის მთელი ოცდახუთი წლის მანძილზე სულ ორჯერ თუ სამჯერ მორთულიყო ამ სამოსელში. (ავ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი)

ამგვარად, განხილული მაგალითები ნათლად გვიჩვენებს, რომ წარსულ პერფექტს ამ მნიშვნელობით ქართულში შეესატყვისება: II თურმეობითი, უწყვეტელი და ხოლმეობითი. როგორც ინგლისურში, ისე ქართულში მრავალგზისობის მნიშვნელობას ზმნის ფორმა კი არ გამოხატავს, არამედ სხვა კომპონენტები _ განმეორებადი მოქმედების აღმნიშვნელი ლექსიკური საშუალებები, ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა და წინადადების სტრუქტურა.

წარსულ პერფექტ-განგრძობითს მრავალგზისობის მნიშვნელობა მხოლოდ ლექსიკური ინდიკატორების დახმარებით შეუძლია გადმოცეს. მაგალითად:

136. He remembered how often he **had been waiting** for a minute or two on the landing to get his breath after the ascent, and how absurdly his impatience to see her had taken it away again. (W.S. Maugham, Catalina)

137. “კაროლინას არაერთხელ ენახა ეს საოცარი გაცხენება ლუკაიასი” (კ. გამსახურდია, მთვარის მოტაცება).

138. “მიჰქროდნენ მათ გვერდით სერები, კორდები, ნაკეპი, ნაჩეხი ტყეები. ლასლასით გარბოდნენ სივრცეში ცამდის ალანძული მთები, შავნაბადიან რაინდებივით ამპარტავანნი და ამ სოფლის ჟრიამულს განრიდებულნი” (იქვე)

ამგვარად, მრავალგზის პერფექტ-განგრძობითს ქართულში შეესაბამება მწკრივები: II თურმეობითი და უწყვეტელი.

3.2.4. ინგლისურ ენაში წარსული განგრძობითი ფორმის გამოყენება პროსპექტულობის _ უახლოესი მომავალი მოქმედების გადმოსაცემად საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. მაგალითად:

139. Her husband, as usual, lighted his cigar, remaining apparently as busy with it as she with her agitation. “You it makes you feel that you have nothing?” To which, as she made no answer, the colonel added: “What in the world did you ever suppose **was going** to happen? The man’s in a position in which he has nothing in life to do.” (H. James, The Golden Bowl)

140. “ფარნაოზი ტახტზე დაიხარა, მომაკვდავს ოფლიან შუბლზე აკოცა და უტხრა, წავალ და დილით მკურნალს მოგიყვანო.” (ო. ჭილაძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა).

141. “ ... ჯერ ეკლესიებისა და ხატების შემუსვრას დაიწყებს კოლონკელიძე, მერე არაგვის ხეობაში გადმოვა, საერთო ძალით შემოეწყობა უფლისციხეს და მცხეთას.” (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა)


როგორც ვხედავთ, წარსულ განგრძობითს ამ მნიშვნელობით ქართულში შეესატყვისება მყოფადისა და აწმყოს მწკრივები. ამგვარ ტიპოლოგიურ სხვაობას ამჟღავნებს ეს ორი ენა პროსპექტულობის მნიშვნელობის გადმოცემისას წარსულში.

სქემა 13

წარსული განგრძობითის სემანტიკური მოდელი ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები

ფორმის მნიშვნელობები

ქართული შესატყვისები



3.2.5. წარსული პერფექტის ძირითადი კატეგორიული ნიშანია _ წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა. წინამავლობის მნიშვნელობა გრამატიკულადაა წარმოდგენილი თვით ფორმაში. მოქმედების წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან შეფარდების მიხედვით გამოიყოფა ფორმის ვარიანტული მნიშვნელობები, რომელთაგან ძირითადი მნიშვნელობა ექსკლუზიურია:

142. It was dusk when the priest came. They **had brought** the soup and afterward taken away the bowls and I was lying looking at the rows of beds and out the window at the treetop that moved a little in the evening breeze. (E. Hemingway, A Farewell to Arms).

143. “მას შემდეგ რაც პირველად **დაგინახე**, მე ვალიარე აბსოლუტური ჭეშმარიტება მშვენიერებისა. (ნ. დუმბაძე, მე, ბეზია, ილიკო და ილარიონი)

144. They **had already heard** about polo and they even believed it before they even saw it. (W. Faulkner, Knight's Gambit)

145. “მებორნეს ცეცხლი უკვე გაეჩაღებინა, იდაყვი მუხლზე დაებჯინა, ცალი ყბა ხელის გულზე დაეყრდნო და მორიდებულად ათვალისებდა ბეჭებგანიერს, ტანმორჩილს, ჟღალჩოხიან მოხუცს” (კ. გამსახურდია, მთვარის მოტაცება)

146. It had already been a pretty rough day, according to my transistor radio. The day **had been** full of demonstrations in cities all over France. (J. Jones, The Merry Month of May).

147. “გაიტაცა ცხენი ერთბაშად წყალმა, მაგრამ მხარული გაჰკურა კაც ზვამბაიამ, ძუაში წაავლო ცხენს ხელი და ცურვით მიჰყვნენ ორივენი წყალს” (იქვე).

ამგვარად, როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, წარსულ პერფექტს ექსკლუზიური მნიშვნელობით ქართულ ენაში შეესატყვისება მწკრივები: II თურმეობითი, წყვეტილი (სრული), და უწყვეტელი. მკვეთრი მიჯნა II თურმეობითსა და წყვეტილის (სრული ასპექტი) გამოყენებას შორის ამ მნიშვნელობით არ შეინიშნება.

უნდა ავლნიშნოთ, რომ წყვეტილის მწკრივი (სრული ასპექტის) ისე, როგორც მარტივი წარსული ინგლისურ ენაში, საკმაოდ ხშირად გამოიყენება წინამავლობის ნიშნის გადმოსაცემად. ამგვარად ინგლისურშიც და ქართულშიც შეინიშნება მნიშვნელობათა სიჭარბე წარსულში წინამავლობის ნიშნის გადმოცემისას. რაც ინგლისურში მარტივი წარსულისა და წარსული პერფექტის, ქართულში კი წყვეტილისა და II თურმეობითის სინონიმური გამოყენებითაა განპირობებული. ამიტომაცაა, რომ მარტივი წარსულისა და წყვეტილის მწკრივი ხშირად რელატიური მნიშვნელობითაც გვხვდება.

რაც შეეხება უწყვეტლის მწკრივს, ისიც გვხვდება ექსკლუზიური მნიშვნელობით, მაგრამ ეს მწკრივი განსხვავებით II თურმეობითისა და წყვეტილისაგან მოქმედების პროცესუალურ ხასიათზე მიუთითებს.

ექსკლუზიურობა წარსული პერფექტ-განგრძობითის ვარიანტული მნიშვნელობაცაა. მისი ძირითადი კატეგორიული ნიშანი წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა და მასთან მიმართებაა. წინამავლობას თვით ზმნის გრამატიკული ფორმა გადმოცემს. ეს ფორმა წარსული პერფექტისაგან განსხვავებით პროცესუალობის მნიშვნელობის მატარებელია. იგი მოქმედებას განფენილობაში წარმოადგენს. მაგალითად:

148. Outside the mist turned to rain and in a little while it **had been raining** hard and we heard it drumming on the roof. I got up and stood at the door to see if it was raining in but it wasn't so I left the door open. (E. Hemingway, A Farewell to Arms).

149. “ტკბილად ეძინათ უსახალკარო მწირებს. ერთი მოხუცი იქვე გდებულ ლოდზე ჩამომჯდარიყო განკერძოებით და ღამის ლოცვებს ბუტბუტებდა თავისთვის. ნიშის წინაშე სანთლები ბჟუტავდნენ”. (კ. გამსახურდია, დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა)

ამგვარად, ინგლისური ენის წარსულ-განგრძობითს ამ მნიშვნელობით უფრო ხშირად უწყვეტლის მწკრივი შეესაბამება, ხოლო შედარებით ნაკლებად II თურმეობითი. რადგან ეს მწკრივი სემას “მოქმედების განგრძობითობა მხოლოდ ლექსიკური აქტუალიზატორების დახმარებით იძენს.

3.2.6. წარსული პერფექტი ინკლუზიური მნიშვნელობით შედარებით იშვიათად გვხვდება. მას შეუძლია აღნიშნოს მოქმედება, რომელიც ჯერ კიდევ წარსულის მომენტამდეა დაწყებული და წარსულის მომენტსაც მოიცავს. ამ შემთხვევაში ნიშანი – “წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა” იხშობა. მაგალითად:

150. They **had not met** since they were young men; hardly more than boys, at the seminary. (W.S. Maugham, Catalina)

151. “ტფილისის მატარებელი მოსულიყო. რამდენიმე მგზავრი ბაქანზე გამოდიოდა. არც ერთი ნაცნობი სახე არა სჩანდა არსაიდან. იდგა არზაყან სვეტთან ატუზული და თავათაც აფხაზებსავით შესცქეროდა მჭვარტლით გამურულს, მარტორქასოდენა ორთქლმავალს” (კ. გამსახურდია, მთვარის მოტაცება)

152. It **had received** the news of Sibyl Vane's death before he had known of it himself. It was conscious of the events of life as they occurred. (O. Wilde, The Picture of Dorian Gray)

153. “ბილიკს ვერ მიაგნო ვერც ერთს, რადგან მთვარეს წაეშალა ადამიანის ნატერფალი, ისე მძაფრად პრიალებდა ბალახი, ძეძვიანი ბუჩქები და ნარის ფოთლები” (იქვე)

ინკლუზიური წარსულ პერფექტს შეესატყვისება ქართულ ენაში II თურმეობითის მწკრივი.

ამგვარად, როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში აღნიშნული მნიშვნელობის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი კონტექსტია საჭირო.

ინკლუზიური წარსული პერფექტ-განგრძობითის ფორმა ამ მნიშვნელობით გვხვდება მაშინ, როცა წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნული ჩართულია მოქმედების განფენილობაში. მაგალითად:

154. Tom Hagen **had been living** in his home for three years and he asked Clemenza if the orphan boy had been involved. (M. Puzo, The Godfather)

155. “ყველანი თავჩაქინდრული შესცქეროდნენ ამ სცენას, ბორდოხან კუთხეში დაჩოქილი სტიროდა ბალღვით, მოხუცი აზნაურებიც ფეხზე იდგნენ და სასოებით ისმენდნენ კათალიკოსის ქადაგებას...” (კ. გამსახურდია, დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა)

156. They **had been expecting** him since before Angelo had gone in the Hotel. (J. Jones, From Here to Eternity)

157. “ზაგრატმა ვერცხლით მოაჭედვინა მისი ლუსკუმა ოქრომქანდაკებლებს და პატოსანი თვლებით შეამკობინა კვლავ” (იქვე)

158. “ჭიაბერის გარდაცვალების მეორე დღეს მამამზე ერისთავმა შაოსანი მაცნენი გაუგზავნა მეგობრებსა და მოკეთეებს. პირველი მაცნენი აფრინა, ჭიაბერის ფარი და ჯაჭვის პერანგი თან გაატანეს” (იქვე)

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, ინკლუზიურ წარსულ პერფექტ-განგრძობითს ქართულში სამი მწკრივი შეესატყვისება: II თურმეობითი, უწყვეტელი და წყვეტილი.

3.2.7. წარსული პერფექტი გადმოცემს მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებს _ სუბიექტისა და ობიექტის მდგომარეობას, რომელიც დასრულებული მოქმედების შედეგია, რეზულტატია. მაგალითად:

159. Mrs. Septimus Small was the tallest of the four sisters; her good, round face **had gone** a little sour. (J. Galsworthy, The Man of Property).

160. “მართალია, ხნით უკვე ორმოც წელს უახლოვდებოდა, მაგრამ ეს მაღალი და წარმოსადეგი ქალი საოცრად **შენახულიყო**, ღაწვები ვარდისფრად **ატკეცოდა**, ხოლო გადახაზულ წარბებ ქვეშ ჩაბანდული ნუშისმაგვარი თვალები მომხიბლელად უციმციმებდა” (აკ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი)

161. It was his beauty that **had ruined** him, his beauty and the youth that he **had prayed for**. But for those two things his life might have been free from stain. His beauty had been to him but a mask, his youth but a mockery. What was youth at best? A green, an unripe time, a time of shallow moods and sickly thoughts. Why had he worn its livery? Youth had spoiled him. (O. Wilde, The Picture of Dorian Gray)

162. “სახეზე ეტყობოდა მის სულს ვნების ქარიშხალი **არ მოჰხვედროდა**. არ ეკუთვნოდა ოქროპირი ამ ქვეყანას, არც ამ ქვეყანამ დაუდო მას წილი” (კ. გამსახურდია, ზარები გრიგალში).

წარსულ პერფექტს აღნიშნული მნიშვნელობით ქართულში შეესაბამება II თურმეობითის მწკრივი.

ქართული ენის ტიპოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ II თურმეობითი I თურმეობითის მსგავსად უნახავი აქტის მნიშვნელობას გადმოცემს. ოღონდ I თურმეობითისაგან განსხვავებით იგი უნახავ მოქმედებას გადმოცემს, რომელიც წარსულში მეორე მოქმედების წინამავალია.

II თურმეობითი ამ მნიშვნელობით გამოხატავს მომედებას, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო დერძის ათვლის წერტილთან გაუთიშველია. მასში შედის სემა “მოქმედების უნახაობა”, რომელიც აღნიშნავს, რომ მოლაპარაკე არ იყო მონაწილე მომხდარი მოქმედებისა.

163. Only it **turned out** he **had been married** already. (N. Mailer, An American Dream)

164. “მეორე ცოლი მოუყვანია ერთ გლეხს, სამი შვილის პატრონს, **შესჩენია თურმე** დედაკაცი, თუ შენი შვილები არ მომაცილე, გაგეყრები და თავს მოგჭრიო” (კ. გამსახურდია, დათვი)

165. **It appeared** that the present box **had been made** with some pieces of the box that had preceded it, the one that had been constructed when the first people settled down to make a village here. (Sh. Jackson, The Lottery)

166. “ის დათვი სახელგანთქმული ყოფილა თურმე იმ მხარეში, მისი ძუ ჯუფთი შარშან მოეკლათ აფთარაულებს. ორი ძმა აფთარაულისათვის ნეკნები ჩაუმტვრევია წრეულს, დათვების მეფეს უწოდებდნენ ხუმრობით, აფთარაულების საქონელის უბოროტესს მტერს”. (იქვე)

როგორც ვხედავთ ამ მნიშვნელობით II თურმეობითი ზმნის შესატყვისი გრამატიკული ფრომა ინგლისურ ენაში არ არის. ამ მიზნისათვის გამოიყენება რთული კონსტრუქციები ზმნით to say პასივში და to appear, to turn out მთავარ წინადადებაში, როცა დამოკიდებულში წარსული პერფექტის ფორმაა წარმოდგენილი.

რეზულტატური წარსული პერფექტ-განგრძობითი ფორმის ვარიანტული მნიშვნელობაა. მასში წარსული პერფექტისაგან განსხვავებით დამატებით ერთი სემაა წარმოდგენილი – “მოქმედების პროცესუალობა”. რეზულტატური ფუნქცია მოქმედების შედეგის რეალიზაციას ითვალისწინებს. მაგალითად:

167. As it happens we **had been having** a number of cases of diphtheria in the school to which this child went during that month and we were all, quite apparently, thinking of that, though no one had as yet spoken of the thing. (W.C. Williams, The Use of Force)

168. “ადამიანები **იდგნენ** ქალაქის ქუჩებში, ხიდებზე, მინდვრებში, შუკებში, სახლის სახურავებზე, ბავშვები ხის ტოტებზე **შემსხდარიყვნენ**, დედის მომლოდინე ბარტყებივით და პირდაბჩენილები **შესჩერებოდნენ**, როგორ კვდებოდა მზე”. (ნ. დუმბაძე, მარადისობის კანონი)

169. She **had been hiding** that sore throat for three days at least and lying to her parents in order to escape just such an outcome as this. (ibid)

170. “ნაგვემი ადგილები თანდათან **უამდებოდა**, სიმსივნეები **უცხრებოდა**, სხეულის შიგნით არა **დაზიანებოდა** რა. მხოლოდ მარჯვენა თვალი ჰქონდა ისევ საშიშ მდგომარეობაში. (იქვე)

ქართულში წარსულ პერფექტ-განგრძობითს ამ მნიშვნელობით შეესატყვისება II თურმეობითი და უწყვეტელი.

ამგვარად, წარსული დროის ფორმათა მნიშვნელობისა და ფუნქციობის ანალიზმა ინგლისურ და ქართულ ენებში შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანა.

აღნიშნული დრო ორ მოცემულ ენაში თავისი მნიშვნელობით ერთნაირი არაა. ფუნქციური მიდგომის გამოყენება, რომელიც წარსული დროის ფორმათა მნიშვნელობათა აზრობრივ ანალიზთანაა დაკავშირებული, ხელს უწყობს მოცემულ ფორმათა მრავალმნიშვნელობის გამოვლენას ორივე ენაში.

როგორც უკვე ვიცით წარსული დროის პარადიგმული მნიშვნელობაა _ საუბრის მომენტთან მოქმედების არაერთდროულობა.

ინგლისურ ენაში წარსული დროის კატეგორიული ფორმა ოთხი ასპექტ-დროის ფორმით რეალიზდება: Simple Past, Past Continuous, Past Perfect, Past Perfect Continuous. ქართულ ენაში კი წარსული დრო ხუთი მწკრივის საშუალებით გადმოიცემა: უწყვეტელი, წყვეტილი (სრული და უსრული ასპექტი), ხოლმეობითი, I თურმეობითი და II თურმეობითი.

ორივე ენაში წარსული დროის კატეგორიული ფორმა მიუხედავად რაოდენობრივი განსხვავებისა მაღალი სემანტიკური პოტენციალის მქონეა. წარსული დროის სემანტიკაში ძირითადი განსხვავება ამ ორ შესაპირისპირებელ ენაში ვლინდება მრავალგზისობისა და უნახავი აქტის გამოხატულების პლანში. ქართულ ენაში მრავალგზისობის მოქმედების გამოსახატავად ენას მოეპოვება სპეციალური გრამატიკული ფორმა _ ხოლმეობითის მწკრივი, ინგლისურში კი არ არის ზმნის გრამატიკული ფორმა, რომელიც ლექსიკური აქტუალიზატორების გარეშე გამოხატავდა მრავალგზისობის მოქმედებას. ინგლისურში განმეორებადი მოქმედების გადმოსაცემად არის სპეციალური კონსტრუქციები used+ ინფინიტივი და would+ ინფინიტივი.

რაც შეეხება უნახავობის მნიშვნელობას, ქართულ ენაში იგი I და II თურმეობითის მწკრივების ერთ-ერთი ვარიანტული მნიშვნელობათაგანია. ინგლისურში კი სემა “მოქმედების უნახავობა” არ გადმოიცემა ზმნის სპეციალური ფორმით. ამისათვის გამოიყენება რთული კონსტრუქციები ზმნით to say პასივში და to appear, to turn out და ა.შ. მთავარ წინადადებაში.

ენათა შორის განსხვავება ასევე ნათლად იჩენს თავს პროსპექტული წარსული განგრძობითის რეალიზაციისას. პროსპექტულობის მნიშვნელობა ინგლისურ ენაში წარსული განგრძობითის ფორმით გადმოიცემა. ქართული ამ მნიშვნელობის

გადმოსაცემად იყენებს მყოფადისა და აწმყოს მწკრივებს. ეს ინგლისური ენის სისტემის თავისებურებითაა განპირობებული, სადაც დროთა შეთანხმების მკაცრი პრინციპი მოქმედებს.

3.3. თხრობითი, აღწერილობითი, დრამატული და რეზულტატური ფუნქციების შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში

დისერტაციის მესამე თავში ასევე შევეცადეთ დაგვედგინა ის მსგავსება-განსხვავებები, რაც წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციებს და მათი გადმოცემის საშუალებებს შორის არსებობს ორ მოცემულ ენაში.

3.3.1. **თხრობითი ფუნქცია.** ამ ფუნქციისათვის დამახასიათებელია თხრობის ერთი მიმართულებით წარმართვა. აღნიშნული ფუნქციის რეალიზება ინგლისურ ენაში წარსული დროის ორი ფორმით – მარტივი წარსულით და წარსული პერფექტით გადმოიცემა.

წარსული მარტივი დრო თხრობით ფუნქციაში შემდეგი კომპოზიციურ-სტილისტური პოტენციალით არის წარმოდგენილი:

1. მოქმედების თანმიმდევრული განვითარების აღწერა (დროის პროცესების დინამიურობის გამოსახვა).
2. “შეჩერებული” დროის გადმოცემა.
3. დროითი მწკრივის ერთგანზომილება/მრავალგანზომილების შექმნა.
4. ორმაგი დროითი პერსპექტივის შექმნა, აბსრაქტული ახლანდელის სფეროში ჩართული გამეორებული მოქმედებებით. მაგალითად:

171. The living-room ceiling of the house next door collapsed **at four o'clock one morning**, fell with an earthquake thump into the room below, breaking an arm and cutting a face of those still dead upon the brass bed of sleep. (A. Sillitoe, Key to the Door)

172. სანამ კაცი დაბრუნდებოდა, ლტოლვილმა სანთელს მიუშვირა დამზრალი თითები და გაუკვირდა – საოცრად გამჭირვალე, ლამაზი ფერის თითებს ხედავდა.

მერე ლოყა მიუშვირა, შუბლიც. **შეთბა** და მადლიანი ზმორება **აუტყდა**, კედელთან **დაჯდა**. კისრის სახსრები **აატკაცუნა**. ვერც შეამჩნია როგორ მიუახლოვდა კაცი და მისი ხმა რომ მოესმა შეერთა. (გ. დოჩანაშვილი, სამოსელი პირველი).

173. The mist **was** so thick that I could not see anything. Although I **knew** my way tshelter very well, I almost **got lost** this time. I was near it when I **saw** a man sitting on the ground, half asleep. I **went up** and **touched** his shoulder. He **jumped up**, and it was the wrong man! He was dressed in grey, too and had an iron chain on his leg. He ran away into the mist. (Ch. Dickens, Great Expectations)

174. იესო ქრისტემ კი ხელმანდილი ამოიღო, შუბლზე უნდა მოესვა, რომ გაეცოცხლებინა, მაგრამ ისეთი **ლამაზი იყო**, მიწაზე დასაბრუნებლად **ვერ გაიმეტაო**, **მოინდომა სულ გვერდით ჰყოლოდა**, ახლაც გვერდითა **ჰყავსო ვარსკვლავადო...** (გ. ლეონიძე, ნატვრის ხე).

175. I always **knew** I would be apprenticed to Joe as soon as I **was** old enough, and so I used to spend most of the day helping him in the forge. However, I also **attended** the village evening school, which was organized by an ancient relation of Mr. Wopsle's. Her teaching mostly **consisted of** falling asleep while we children fought each other, but Mr. Wopsle's young cousin, Bidy, tried to keep us under control and teach us to read, write and count. Mr. Wopsle examined us every three months. In fact he **did not ask** us any questions at all, but read aloud from Shakespeare, waving his arms dramatically and enjoying the sound of his own voice. (ibid)

176. **შევსხედით ცხენებზედ და წამოვედით** სტეფანწმინდიდან. უკანასკნელად **შევხედე** მყინვარს. იგი როგორღაც დიდკაცურად იბღვირებოდა თავის სიმაღლიდამ. ამან **ამირია** იმ დილით დამშვიდებული გონება. გულმა კვლავ ტოკვა დამიწყო და მკლავმა თრთოლა. სრულის მძულვარებით **მოვაშორე** თვალი მყინვარის დიდებულებასა და უფრო დიდის პატივით **გამოვეთხოვე** მის ფეხთა ქვეშე გაგიჟებით მავალს თერგსა. (ი. ჭავჭავაძე, მგზავრის წერილები).

177. ოთახში **გაიხმო** სტუმარი. მხარზე ხელი **დაჰკრა**. გამურული ჯამი გაუვსო. ცალი ფეხი სუფრის კუთხეზე **გადმოაგდო**. ვეებერთელა ფაშვით სუფრას **დაეყრდნო**. სუფრა **ჭრიალებდა**. ნახუცარი **ხითხითებდა**. ტოკავდა უშველებელი, ზარმაცი ტანი. ოქროპირმა დალია, ნაოჭიან, ფერმკრთალ სახეზე სიწითლემ **იელვა**, ღვინო ემჭვახა,

ღრმად ჩამჯდარი თვალები დაუპატარავდა. სახე **დაემანჭა**. ნახუცარმა ისევ გაავსო, ბანჯგვლიანი ხელი **დაავლო** გაქონილ ჭიქას. (კ. გამსახურდია, ზარები გრიგალში)

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, თხრობითი ფუნქცია ქართულ ენაში ძირითადად სამი მწკრივით: წყვეტილით, უწყვეტლით და I თურმეობითით გადმოიცემა. ამ გრამატიკული საშუალებებით დროის ღერძზე მოქმედებათა განლაგება მკაცრი განრიგით ხდება.

მარტივი წარსული დრო თხრობით ფუნქციაში გვაახლოვებს ობიექტური სამყაროს ფაქტების ცალკეულობასთან. იგი მონაწილეობს სიუჟეტის აგებაში ფაბულის სტრუქტურის მიხედვით მაშინ, როცა ერთი მთლიანი გამოვლინდება ცალკეული ერთეულებით.

თხრობითი ფუნქციის გამომსახველი მაგალითები ხასიათდება დინამიურობით, რაც მოვლენათა თანმიმდევრულად მოწესრიგებულ რიგს ქმნის. თხრობითი ფუნქციის გადმოსაცემად მარტივი წარსული დრო ისეთ ლექსიკურ სპეციფიკატორებს ითანხმებს, როგორიცაა: ლექსიკური გარემოებები და დროის მაქვემდებარებელი კავშირი **as**.

171-ე მაგალითში მოცემული ჯგუფის _ at four o'clock one morning _ თხრობაში ჩართვა, ნიმუშთა შექმნაში გვხვდება, რომლებიც თითქოსდა ობიექტური სინამდვილის რეკონსტრუქციას ახდენენ. თანმიმდევრულ მოქმედებათა დროის ლოკალიზაცია, კონკრეტული დეტალებით მათი გამდიდრება ხელს უწყობს თხრობის განვითარებას.

განვიხილოთ 173-ე მაგალითი. პირველივე რთული წინადადების სტრუქტურაში ფიქსირდება კავშირის _ **სანამ** არსებობა, რომელიც აკონკრეტებს და აზუსტებს მოქმედებათა თანმიმდევრობას. ეს კავშირი გამოხატავს მსვლელობას და არა ერთდროულობას. პირველი ორი მოქმედება ურთიერთმონაცვლე სერიიდან ერთდროული არ არის. ერთი მეორის წინამავალია. ეს დაზუსტებანი ტექსტში სხვადასხვა დონის მოვლენებით შემოდის:

1. დროის მაქვემდებარებელი კავშირი **სანამ**.
2. წინადადების სტრუქტურით, რომელიც მოიცავს დროით დამოკიდებულებას.

3. ლექსიკური გამეორებით, რომელიც ამასთანავე ანელებს დროით მსვლელობას და იქმნება საკვანძო მომენტის აღქმის წინაპირობა.

174-ე მაგალითში I თურმეობითი გამოიყენება როგორც კომპოზიციური საშუალება, რომელიც აკავშირებს თანმიმდევრული მოქმედების გამაერთიანებელ ერთგვაროვან შემასმენლებს. ეს გრამატიკული ფორმა ახდენს თხრობითი ფუნქციის რეალიზებას და ამასთანავე, გვიჩვენებს მოქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია შედეგის მიხედვით ან სხვისგან არის გაგონილი (ლამაზი იყო, ვერ გაიმეტა...). I თურმეობითი ხშირად გვხვდება უარყოფითი ფორმითაც.

თხრობითი ფუნქცია ინგლისურ ენაში კიდევ ერთი ფორმით – წარსული პერფექტით გადმოიცემა. წარსული პერფექტის კომპოზიციური დატვირთვა მდგომარეობს თხრობის მოძრაობაში, თანმიმდევრული რიგის მოქმედებათა შექმნაში, რომლებიც ერთმანეთს გასდევს დროში ან ერთდროულია ან ნაწილობრივ ერთმანეთზე გადაჯაჭვული.

წარსული პერფექტი თხრობითის კომპოზიციურ-სტილისტური პოტენციალი შემდეგნაირია:

1. დროის შექცევადობის გამოხატვა.
2. რეტროსპექტულობის გამოხატვა (რემინისცენციები).
3. შედეგობრიობის გამოხატვა.
4. ერთი დროის პლანის მეორე დროის პლანით განპირობება; ერთიანობა,

დროის ნაკადის შეუწყვეტელობა; დამატებითი დროითი პლანის შექმნა. მაგალითად:

178. Fanny **had lived**, she **had married** a distinguished man, she **had borne** children. She **had loved** her children and her husband and her grandchildren and her cats and dogs. She **had been**, he supposed happy. She **had not been** all together cheated. (I. Murdoch, An Official Rose)

179. სოფლის სკოლიდან მხიარულად გამოცვივრულ ბავშვებს დიდ ცაცხვთან დაგვხვდებოდა ჩორები და გვმოდღვრავდა, გვწრთენიდა, გვრჯულავდა, გვასწავლიდა. (გ. ლეონიძე, ნატვრის ხე)

180. He looked at her with his calm, reflective eyes, and on a sudden Julia had a sickening fear that he knew that Tom **had been** her lover. It was impossible, she told herself, it was only her guilty conscience that made her think so; at Taplow there **had been nothing**; it was

incredible that any of the horrid gossip **had reached** his ears; and yet there was something in his expression that made her certain that he knew. She was ashamed. (W.S. Maugham, Theatre)

181. მთელი კაცობრიობა **მისჩერებოდა** მზეს შავი სათვალეებითა და გამურული შუშებით. იგი, როგორც ყველა მომაკვდავი სიკვდილის წინ ათასგზის **დამშვენებულიყო, გათვალწარმტაცებულიყო, ნათელით ავსილიყო** და მის აგონიაში მისი ცქერა ჩვეულებრივი თვალთ თითქმის შეუძლებელი იყო. ადამიანები იდგნენ ქალაქის ქუჩებში, ხიდებზე, მინდვრებში, სახლის სახურავებზე. ბავშვები ხის ტოტებზე **შემსხდარიყვნენ**, დედის მომლოდინე ბარტყებივით და პირდაბჩენილები **უმზერდნენ** როგორ კვდებოდა მზე. (ნ. დუმბაძე, მარადისობის კანონი)

182. Three days later Roger went up to Scotland. By the exercise of some ingenuity Julia **had managed** that they should not again spend any length of time alone together. When they happened to be by themselves for a few minutes they talked of different things. Julia was not really sorry to see him go. She could not dismiss from her mind the curious conversation she **had had** with him. There was one point in particular that unaccountably worried her; this was his suggestion that if she went into an empty room and someone suddenly opened the door there would be nobody there. It made her feel very uncomfortable. (ibid.)

183. მთელი კაცობრიობა **მისჩერებოდა** მზეს შავი სათვალეებითა და გამურული შუშებით. იგი, როგორც ყველა მომაკვდავი სიკვდილის წინ ათასგზის **დამშვენებულიყო, გათვალწარმტაცებულიყო, ნათელით ავსილიყო** და მის აგონიაში მისი ცქერა ჩვეულებრივი თვალთ თითქმის შეუძლებელი იყო. ადამიანები იდგნენ ქალაქის ქუჩებში, ხიდებზე, მინდვრებში, სახლის სახურავებზე. ბავშვები ხის ტოტებზე **შემსხდარიყვნენ**, დედის მომლოდინე ბარტყებივით და პირდაბჩენილები **უმზერდნენ** როგორ კვდებოდა მზე. (ნ. დუმბაძე, მარადისობის კანონი)

184. ზოგჯერ ტყეს მთელი კვირით ნისლი **დააწვებოდა**, და ღრუბლიანი ცა წვიმით **იცრებოდა**. ასეთ დროში პავლე და მისი შვილები ვერ ისვენებდნენ, გალიაში მომწყვდეული მხეცებივით **დაბორიალებდნენ** პატარა სახლში და უფრო ხშირად საქონელს, დათვის ბელებს და ძაღლებს **ელაპარაკებოდნენ**, ვიდრე ერთმანეთს. (მ. ჯავახიშვილი, ტყის კაცი)

185. ანცი, გიჟმაჟი და თხელი ფეფელო ორიოდე წელიწადში უცნაურად **გარდაქმნილიყო**, თითქო ხელმეორედ **დაბადებულიყო**. დაბალი ტანი აყვარნა და

დასრულებულიყო. თეძოებში გაშლილიყო და მკერდი გაესწორებინა. ღვედის სისქე ნაწნავებად დაწნული შავი თმა მუხლებზე სცემდა (მ. ჯავახიშვილი, მუსუსი).

178-ე მაგალითში მოცემული მოქმედებები _ had married, had borne, had attended, had died... თანმიმდევრულია მოქმედებებისა _ had lived, had loved, had been happy. თხრობითი ფუნქცია მხოლოდ ზმნურ ფორმებს როდი გააჩნიათ. მოქმედების გაშლაში გრამატიკულ ფორმებთან ერთად მონაწილეობენ კონტექსტის სხვა ელემენტებიც: სინტაქსური და ლექსიკური საშუალებები, რომელთა დახმარებით მოვლენები, რომლებიც იშლება ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში წარმოგვიდგება როგორც სწრაფად მიმავალი თანმიმდევრობა. შემდეგ თხრობა ჩერდება, დრო იყინება. ორი თანმიმდევრული წინადადება _ she had not been happy, she had not been all together cheated _ აჯამებენ ინფორმაციას.

თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში წარსული პერფექტი თხრობით ფუნქციაში ხშირად გამოიყენება. იგი ხორციელდება მთხრობელის გეგმასა და არასაკუთარ პირდაპირ მეტყველებაში.


როგორც მაგალითებიდან ჩანს, წარსულ პერფექტს ქართულ ენაში შეესაბამება წყვეტილი, უწყვეტელი, ხოლმეობითი და II თურმეობითი. ხოლმეობითი ყველაზე ინტენსიურად გამოიყენება თხრობითი ფუნქციის განსახორციელებლად. ქართულ ზმნას აქვს საშუალება ერთი ფორმით აღნიშნოს განმეორებითი სახის მრავალგზისი მოქმედება. 183-ე მაგალითში შეინიშნება ორი მწვერვალის არსებობა. აქ გამოიყოფა თხრობის პირველი ხაზი ან ფუძე-სიტუაცია, რომელიც თხრობის შუაში არის მოქცეული და სრულდება წინადადებით _ “მისი ცქერა ჩვეულებრივი თვალით თითქმის შეუძლებელი იყო.” შემდეგ იწყება თხრობის ახალი ხაზი, რომელიც აგრძელებს იმ ინფორმაციას, რაც მაგალითის პირველ წინადადებაში იყო ჩადებული.

ამგვარად, თხრობითი ფუნქცია არანაკლები სრულყოფითად გამოიხატება ქართულ ენაში. ინგლისური ენისაგან განსხვავებით ქართულში მისი რეალიზების გრამატიკული საშუალებანი გაცილებით მეტია. ინგლისურ ენაში თხრობითი ფუნქცია გამოიხატება მარტივი წარსულისა და წარსული პერფექტის ფორმებით. ხოლო ქართულ ენაში ასპექტ-დროის ხუთი მწკრივით: წყვეტილი (სრული), უწყვეტელი, I და II თურმეობითი. გრამატიკულ ფორმათა სიმცირეს ინგლისურ ენაში

უხვი ლექსიკური თუ კონტექსტუალური საშუალებანი ავსებენ თხრობითი ფუნქციის რეალიზების დროს.

სქემა 14

თხრობითი ფუნქციის გადმოცემის საშუალებები ინგლისურსა და ქართულ ენებში



წარსული პერფექტი
Past Perfect

II თურმეობითი

3.3.2 წარსული დროის შემდეგი კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქცია გახლავთ – **აღწერილობითი ფუნქცია**. მისი კომპოზიციურ-სტილისტური მნიშვნელობა სუბიექტის თვისობრივ დახასიათებაში მდგომარეობს. აღნიშნული ფუნქცია ინგლისურ ენაში მარტივი წარსულით და წარსული განგრძობითის ფორმებით გადმოიცემა.

მარტივი წარსული აღწერილობითის კომპოზიციურ-სტილისტური პოტენციალი შემდეგ სემებს შეიცავს:

1. მოქმედების თანმიმდევრობის აღწერა (დროის პროცესების დინამიურობის გამოხატვა).
2. დროითი რიგის ერთგანზომილება/მრავალგანზომილების შექმნა.
3. ესთეტიკური სინამდვილის სამყაროს მოვლენათა ერთეულობა/სიმრავლის გამოხატვა.
4. სუბიექტის თვისობრივი დახასიათება. მაგალითად:

186. It **stormed** all that day. The wind **drove down** the rain and everywhere there was standing water and mud. The plaster of the broken houses **was** gray and wet. Late in the afternoon the **rain stopped** and from out number two post I **saw** the bare wet autumn country

with clouds over the tops of the hills and the straw screening over the roads wet and dripping. The sun **came out** once before it **went down** and shone on the bare woods beyond the ridge. **There were** many Austrian guns in the woods on that ridge but only a few fired. I watched the sudden round puffs of shrapnel smoke in the sky above a broken farmhouse near where the line was; soft puffs with a yellow white flash in the centre. (E. Hemingway, A Farewell to Arms)

187. შენ ჩვრებში გახვეული იწექი, სახე გაგლურჯებოდა და კაცმა არ იცოდა, გადარჩებოდი თუ არა, ტირილის თავიც აღარ გქონდა. წყაროს წყალს გასმევდნენ ქალები, წლისა რომ შესრულდი ძლივს გამოიხედე. (გ.დოჩანაშვილი, სამოსელი პირველი)

188. Hallward was thunderstruck. He **looked at** Dorian Gray in absolute amazement. He had never seen him like this before. The lad was actually pallid with rage. His **hands were clenched**, and the pupils of his eyes were like disks of blue fire. He **was trembling** all over. (O. Wilde, The Picture of Dorian Gray)

189. შორენა ჩამოვიდა კედლიდან, ხატაური ფარჩის კაბა ეცვა შავი, ოქროსფერი თმები გადმოღვრილიყვნენ მხრებზე. მოდიოდა ყაყაჩოების ველზე, თავთუხის თაველებს ესროდა უტას, ყაყაჩოებსა და თავთუხის თაველებს. (ვ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა)

190. ჭიაბერის ცხედრის წინ იჯდა უსინათლო მამამძუმე და გოდებდა. იგონებდა ჭიაბერის ბავშვობას, სიყრმეს და სიჩაუქეს. აქებდა მის ტანკენარობას, ცისფერ თვალებს და ლომგულოვნებას. (იქვე)

191. ჩანჩურას ორივე ხელით პატარა და ღრმად ჩამძვრალი მუცელი ეჭირა, ტოკავდა, კანკალებდა, იცინოდა და თავის წვრილსა და სრულიად მისუსტებულ ხმას ათასნაირად უქცევდა. მისი სიცილის მაყურებლებიც თავს ვერ იმაგრებდნენ და გულიანად ხითხითებდნენ. (მ. ჯავახიშვილი, ჩანჩურა)

როგორც ვხედავთ, ქართულ ენაში აღწერილობითი ფუნქცია შემდეგი მწკრივებით გადმოიცემა: წყვეტილი, უწყვეტელი, I თურმეობითი.

მოყვანილ მაგალითებში შემასმენლის ფართო გამოყენება თავად მისი სემანტიკით აიხსნება – სუბიექტის მოქმედების ან მდგომარეობის გამოხატვა, რაც მოცემული სტილისტურ-კომპოზიციური ფუნქციის განხორციელებისას დამატებით სტილისტურ შეფერილობას იძენს.

მარტივი წარსული დრო აღწერილობითი ფუნქციის გადმოსაცემად იყენებს ისეთ სივრცით ორიენტირებს, როგორცაა თანმხლები გარემოებები. წარსული მარტივი დრო ხელს უწყობს ცენტრისკენული ტენდენციის რეალიზაციას მოქმედების განვითარებისას. ნაცვლად თანდათანობითი მოძრაობისა შეინიშნება დროის მნიშვნელობათა კონცენტრაცია გარკვეული წერტილის მიმართ, აღწერილი მოვლენების სინქრონულობა, გადმოცემის სიმკვეთრე.

განხილული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მოცემული კომპოზიციური ფუნქციის შემცველი მაგალითებში გამოიყენება განსაზღვრებები, რომლებიც სუბიექტის ლექსიკური მახასიათებლებია. აღწერილობითი ძალა აქ მდგომარეობს არა კონტექსტის განზოგადებაში, არამედ მის განუმეორებლობასა და ინდივიდუალიზაციაში.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფორმა, რომლის საშუალებით გადმოიცემა აღწერილობითი ფუნქცია წარსულ დროში არის წარსული განგრძობითი. იგი აღწერილობით ფუნქციაში ინარჩუნებს ფორმისათვის დამახასიათებელ გრამატიკულ სემანტიკას და ხდება მისი სტილისტური პოტენციალის რეალიზება.

წარსული განგრძობითის კომპოზიციური პოტენციალი შემდეგნაირია:

1. სუბიექტის თვისობრივი დახასიათება.
2. მოსაზრებათა ცვალებადობის გამოხატვა.
3. თანაგანცდის ეფექტის შექმნა.
4. აღწერის სურათობრივობა.
5. ესთეტიკური სინამდვილის სამყაროს ცალკეულობა/სიმრავლის გამოხატვა.

მაგალითად:

192. He was thin and rather stooping with sandy hair; and except when he **was being pedantic**, he could not be badlooking... but he was being pedantic **a good deal of the time**. (J. Wain, A Travelling Woman)

193. ჩვენ გეძახოდით, შველასა გთხოვდით... თქვენი პაპები და მეფეები ფარისევლურ ეპისტოლეებით გვანუგეშებდნენ. (კ. გამსახურდია, დიონისეს ღიმილი)

194. On the wall behind it **was hanging** the same ragged Flemish tapestry where a faded king and queen **were playing** chess in a garden, while a company of hawkers rode by, carrying hooded birds on their gauntled wrists. (O. Wilde, The Picture of Dorian Gray)

195. თუთაშხიას ტყვია იასე-ბერის ილლიის ქვეშ გავიდა, ბოდლო ყვალთავას გასწვრივ გაიარა, თუმნიანებს ებგერა, მაგიდის წბო ოდნავ გადაკაწრა და მოპირდაპირე კედელში შეიჭრა. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

196. სახე გაუნათლდა და ღრუბელი გადაეყარა, ნაბიჯი გაუმტკიცდა, გული გაუმაგრდა და იმის ყოველ მიხვრა-მოხვრასა და იერში მტკიცე გადაწყვეტილება, იმედი და სიხარული მოჩანდა. გულიდან მძიმე ბარგი მოეშვა, ტანი გაუმსუბუქდა და ილღიებში ფრთები გამოესხა. (მ. ჯავახიშვილი, ჯილდო)

წარსული განგრძობითი დროის აღწერილობითი ფუნქციის განხორციელებისას აუცილებელია სასურველი კონტექსტი:

1. წარსული განგრძობითის აღწერილობით ფორმებთან შეთავსება.
2. გარემოცვა, რომელიც შეიცავს შედგენილ სახელობით შემასმენელს.

წარსული განგრძობითი აღწერილობითი ფუნქციის მატარებელია ისეთ კონტექსტში, სადაც ჭარბობს ავტოსემანტიკური ერთეულები, ტენდენცია ტექსტის თითოეული ნაწყვეტის დამოუკიდებლობისაკენ, რომელშიც კომპოზიციური ფუნქცია ხორციელდება.

როგორც ვნახეთ, წარსულ განგრძობითს ქართულ ენაში კონკრეტულ შემთხვევაში ორი მწკრივი შეესაბამება: წყვეტილი და უწყვეტელი. უწყვეტლის მწკრივი ფართოდ გამოიყენება აღწერილობით ფუნქციაში. მისი უნარი გადმოსცეს მოქმედების განგრძობითობა, აღწერილობის დიდ კომპოზიციურ პოტენციალს ანიჭებს მას. აღნიშნული მწკრივები მონაწილეობენ სუბიექტის თვისობრივი დახასიათების შექმნაში _ მოქმედება ან მდგომარეობა, რომელიც მას მიეწერება, იძენს მაკვალიფიცირებელ კონოტაციებს. ხშირია ერთგვაროვანი შემასმენლების და ლექსიკური საშუალებების გამოყენების შემთხვევები. მათი საშუალებით ხდება ფორმათა სტილისტური შეფერილობის გაძლიერება და მოცემული კომპოზიციური ფუნქციის განხორციელება. მაგალითად:

197. Chimney swallows **were darting** swiftly across the yard, and the chickens, ducks and turkeys **were waddling and strutting** and straggling in from the fields. (M. Mitchell, Gone With The Wind)

198. მოქალაქეები დაცურებულ მორებივით მიჰყვებოდნენ მდინარეთა ამ თავაწყვეტილ დინებას. ერთმანეთს გვერდს უქცევდნენ, ეხეთქებოდნენ, აჩერებდნენ,

რალაცას უხსნიდნენ ერთმანეთს ხელებით და კვლავ მიჰყვებოდნენ ამ აბობოქრებულ მდინარეს. (ნ. დუმბაძე, მარადისობის კანონი)

199. Scarlett sat behind a table with Melanie at the sale. They were in a large room, which was usually full of soldiers learning the business of war. But tonight there were flowers and coloured lights around the room and music **was playing**. There would be dancing soon, but already Scarlett's feet **were secretly moving** in time with the music.


200. ილარიონმა აბგა გახსნა, მოხარშული დედალი, გაფიცებული ჭადი, ჭყინტი ყველი, ერთი ბოთლი ჭაჭის არაყი ამოიღო და ჩვენს შუა მაგიდასავით ბრტყელ ქვაზე დააწყო. მე ჩემი მხრიდან ჭინჭრის ფხალი, კირკვალი ლობიო, მოხარშული კარტოფილი და მარილი შევმატე სუფრას და პურ-მარილი გაიშალა. (ნ. დუმბაძე, მე, ბებია, ილიკო და ილარიონი)

201. ცოტა ხნის შემდეგ ოთახიდან მერი გამოვიდა, მოდიოდა თავჩალუნული, დაფიქრებული, გათოშილ ხელებს აღარ მალავდა, თავშალი მხრებზე დაცურებოდა, თმა საფეთქელთან ჩამოშლოდა, რომელიღაც სახელოვანი მხატვრის ნახატს გავდა, სადღაც რომ მენახა და სახელი რომ არ ვიცოდი. ისე ჩამიარა ჩემსკენ არ გამოუხედია. (იქვე)

ამგვარად, აღწერილობითი ფუნქცია ინგლისურ ენაში წარსული დროის ორი ფორმით – მარტივი წარსული და წარსული განგრძობითით გადმოიცემა. ქართულ ენაში კი, მას სამი მწკრივი – წყვეტილი (სრული), უწყვეტელი და I თურმეობითი შეესაბამება. მიუხედავად ზოგიერთი სტრუქტურული ხასიათის განსხვავებისა, ორივე ენაში შესაბამისი გრამატიკული თუ ლექსიკური საშუალებები საერთო მიზანს ემსახურება. აღწერის მხატვრული ხერხი ითვალისწინებს სისხლსავსე, მგრძნობიარე სახეების შექმნას, რომლებიც საჭიროებენ სრულმნიშვნელოვან ლექსიკურ ერთეულებს სრულყოფისათვის.

აღწერილობითი ფუნქციის გადმოცემის საშუალებები ინგლისურსა და ქართულ ენებში

Simple Past



3.3.3. დრამატული ფუნქცია წარსული დროისათვის დამახასიათებელი კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციაა. დრამატული ფუნქციის მნიშვნელობა მდგომარეობს თხრობიდან ერთი ტიპური ეპიზოდის გამოყოფაში, რომლის ტიპიურობაშიც ჩადებულია წარმოდგენა განმეორებადობასა და ჯერადობაზე. დრამატული ფუნქციის რეალიზება ინგლისურ ენაში წარსული დროის მხოლოდ ერთი ფორმით – მარტივი წარსულით – წარმოებს, მაგრამ აღნიშნული როდი მიუთითებს მის ნაკლებ ღირებულებაზე. მაგალითად:

202. The car **was** still there. One might see it on a good day when the river can slow and then mud cleared. Deep under its metal shining, long and slow and very rich, lay the car. But the mud **came in** again and you saw nothing. (B. Bradbury, The Highway)

203. ხათუთა თითქოს ამას ელოდებოდა. ფერხთით მომიჯდა, იდაყვი მუხლზე მოიდო, თავი ხელის გულზე დაიბჯინა, თვალი თვალში გამიყარა, ნელის რხევით აქანავდა და ჩუმი ხმით ნანასავით დაიწყო.

– იყო და არა იყო რა, ხთის უკეთესი რა იქნებოდის... და ჩემს დაღლილ თავს ასი უცნაური ლანდი მოახვია... (მ. ჯავახიშვილი, თეთრი საყელო)

204. **It was** pretty nice to get back to my room, after I **left** old Spencer, because **everybody was down** at the game, and the **heat was on** in our room, for a change. It felt sort of cosy. I took off my coat and my tie and unbuttoned my shirt collar; and then I put on this hat that I'd bought in New York that morning. It was this red hunting hat, with one of those very, very long peaks. (J.D. Salinger, The Catcher in the Rye)

205. _ ცუცქი _ ვუთხარი ჩემს ცოლს, როცა ფშავ-ხევსურეთში წასასვლელად ვემზადებოდი. _ ცუცქი, აქ დაჯექი, სათქმელი მაქვს.

დაჯდა და ხორც-ნაპარავი კატასავით შემომხედა. მე დიდხანს **ჩავცქეროდი** მღვრიე თვალებში და განგებ **ვსდუმდი**. ცუცქიამ ვეღარ გამიძლო და თვალები აქეთ-იქით გააცეცა. (იქვე)

206. All of a sudden the door opened, and old Stradlater **barged in**, in a big hurry. He was always in a big hurry. Everything was a very big deal. He **came over** to me and **gave** me these two playful as hell slaps on both cheeks - which is something that can be very annoying. (ibid.)

207. მზე ჩასავალს იყო. აქა-იქ ლურჯ-ხალათიანი მუშები, დედაკაცები, ბავშვები **ირეოდნენ**, ზოგნი ჯგუფ-ჯგუფად **მიდიოდნენ**, ზოგნი _ კენტად, ზოგნი სახლების კარებთან **იდგნენ** და **ლაპარაკობდნენ**. სალდათებს ყველანი ცერად **უყურებდნენ** და **უბღვეროდნენ**. ზოგნი ზიზღით ათვალიერებდნენ, ზოგნი კი შიგ თვალებში **უცქეროდნენ** და აშკარად **ემუქრებოდნენ**. (მ. ჯავახიშვილი, ჯილდო)

208. Then **he gave** his head a twitch, and his eyes **bulged** with wide suddenly, even if the light **was hitting** him full in the face and you could see the glitter in them. It's coming, I thought. (R.P. Warren, All the King's Men)

209. გიორგიმ ლასლასით **გაიარა** პატარა მანძილი და იქვე არხის პირას **ჩამოჯდა**. ფეხები **უკანკალებდა**, შუბლზე თითქო ჭიანჭველები **დადიოდნენ**, რაღაც უღიტინებდა და გულზე ვიღაც **სჩქმეტდა**. ცოტა ხნის შემდეგ **დამშვიდდა**, ადგა და **მიიხედ-მოიხედა**. თავის ორი ამხანაგი სალდათი **მოაგონდა**, მაგრამ მაშინვე **დაავიწყდა**. მერმე ზედაზნის ქედისკენ **მიიხედა** და უცებ საოცარი სინამდვილით დაუდგა თვალწინ ასეთივე წყნარი და მშვენიერი საღამო თავის სოფელში, რომელიც მშვენიერი მდინარის ნაპირზე იყო გაშენებული. (იქვე)


როგორც მაგალითებიდან ჩანს, ქართულ ენაში დრამატული ფუნქცია წარსული დროის ორი მწკრივით _ წყვეტილით და უწყვეტლით გადმოიცემა. აღნიშნული გრამატიკული საშუალებები რომელიმე კონკრეტულ ეპიზოდს დრამატულობის ნიშნით გამოყოფენ და ამ ფუნქციას კომპოზიციურ დატვირთვას ანიჭებენ.

ადგილი აქვს ერთიანი დროითი წესრიგის დარღვევას. უწყვეტელი, უფრო მეტად კი, წყვეტილი (სრული) დრამატულ ფუნქციაში მკითხველს აღწერილი მოვლენების შთაბეჭდილების ქვეშ აქცევს. რთავს მკითხველის დროით სისტემას და პერსონაჟთა მოქმედების დროს. ეპიკური დრო შეიძლება შევიწროვებულ იქნას ინდივიდუალური დროის მიერ, რომელიც მკითხველს თავის შეგრძნებაში გააჩნია. იქმნება თითქოსდა ობიექტური რეალობა დროისა და სივრცისა. დროის მნიშვნელობების მსგავსი თამაში აღიქმება, როგორც განსხვავებული დროითი სისტემების _ პერსონაჟების და მკითხველის _ შერწყმის მცდელობა.

წარსული მარტივი დრამატულ ფუნქციაში თხრობას უფრო თვალსაჩინოს ხდის. ფორმის კომპოზიციური დატვირთვა უფრო ფართოა, ვიდრე უბრალოდ ორმაგი ექსპოზიციის შექმნა. დრამატული წარსული ანიჭებს თხრობას სიღრმეს, დროით ტევადობას, აფართოებს მის დროით ჩარჩოებს, ფორმის შინაარსი შეიძლება გაიზარდოს და იმის გამო, რომ განმეორებადი, განზოგადებული მოქმედებანი, რომლებიც ზუსტად არ არიან ფიქსირებულნი, ასოცირდებიან ამა თუ იმ მოქმედი გმირის პიროვნებასთან და ღებულობენ მათი მუდმივი მახასიათებლის მნიშვნელობას. 202-ე მაგალითში დრამატული კავშირი ხორციელდება სიტყვის car საშუალებით ან მისი შემცვლელი ნაცვალსახელის it დახმარებით.

ამგვარად, დრამატული ფუნქცია ორ მოცემულ ენაში ერთნაირი დატვირთვით ხორციელდება. თუმცა, მისი ფუნქციობის პირობები და გრამატიკული საშუალებანი განსხვავებულად არის წარმოდგენილი, ფუნქციის კომპოზიციური მნიშვნელობა ინგლისურსა და ქართულ ენებში თანხვედრილია.

დრამატული ფუნქციის გადმოცემის საშუალებები ინგლისურსა და ქართულ ენებში



3.3.4. რეზულტატური ფუნქცია. რეზულტატურობა კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციაა, რომლის საშუალებით ხდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება და ერთი დროითი შრის მეორეთი განპირობება. ინგლისურ ენაში იგი გადმოიცემა პერფექტული დროის ფორმებით.

წარსული დრო რეზულტატური ფუნქციის გამოხატვისას იძენს ფორმის სემანტიკისათვის დამახასიათებელ კიდევ ერთ სემას – შედეგის გამოხატვა. ეს მნიშვნელობა წამყვანია რეზულტატური ფუნქციის რეალიზებისას. მაგალითად:

210. It was generally known that he was incompetent resident manager at the mines and that he seldom showed up there before eleven. As a father **he had certainly failed** in the rearing of two of his three children. (Th. Wilder, The Eighth Day)

211. გუშინ სარკეში ჩაიხედა და სარკე მიწაზე დაანარცხა. სარკემ უთხრა, რომ პირის მთვარიანობა დიდი ხანია რაც **ჩაჰქრობოდა**, ბროლის ნათელი, ლალის ბრდღვიალი **გაჰხუნებოდა**, შუქჩამდგარ სალამოს მიჰგავდა. მისი **ყვავილიანი სამზეო დალეულიყო**. წყალმა წაიღო სილამაზეც და თაყვანისცემაც. (გ. ლეონიძე, ნატვრის ხე)

212. Julia wondered why servants stayed with them. They did because Michael was so nice to them. With his hearty, jolly affable manner he mad them anxious to please him, and the cook shared his satisfaction when she **had found** a butcher from whom they could get meat a penny a pound cheaper elsewhere. Julia could not but laugh when she thought how strangely his passion for economy contrasted with the devil-may-care, extravagant creatures he portrayed so well on the stage.

She **had often thought** that he was incapable of a generous impulse, and now, as though it

were the most natural thing in the world, he was prepared to stand aside so that she might have her chance. She was too deeply moved to speak. She reproached herself bitterly for all the unkind things **she had for so long been thinking of him.** (W.S. Maugham, Theatre)

213. მზიანი დარი იყო, ილარიონს ეზოში სკამი **გაეტანა**, თუთის ძირას **დამჯდარიყო**, კალთაში სოფიო ეჯდა, პაპიროსს აბოლებდა და სადღაც მაღლა, ლურჯ ცაში იყურებოდა. (ნ. დუმბაძე, მე, ბებია, ილიკო და ილარიონი)

214. It **had given** her a great deal of satisfaction to see the disappointment that was clearly expressed on Michael's face. She knew how much money meant to him and she had a hope that what she **had said** would rankle. He pulled himself together quickly. (ibid.)

215. დიდი ამალით მოვიდა გიორგი მეფე, მხოლოდ დედოფალი და ზვიად სპასალარი უფლისციხეში **წასულიყვნენ**. სამი ერისთავი თან ახლდა მეფეს, ეზოსმომღვარი, მსახურთუხუცესი და ანჩელი ეპისკოპოზი კათალიკოსოს ნაცვლად, რადგან მელქისედეკ ფხოვიდან დაბრუნების შემდეგ ლოგინად ჩავარდნილიყო. (კ. გამსახურდია, დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა)

წარსული დრო გადმოგვცემს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს _სუბიექტს ან ობიექტს შორის დასრულებული მოქმედების შედეგს. წარსული პერფექტი რეზულტატურ ფუნქციაში წარმოადგენს დროს, როგორც წყვეტილობა/უწყვეტელობის ერთიანობას. წყვეტილობა წარმოადგენს დროის დინების დანაწევრებას ცალკეულ ფაზებად, ეტაპებად. ერთიანობა მდგომარეობს იმაში, რომ ცალკეული ეტაპები, მოვლენები ერთიანდება მთლიანი დროის დინებაში. მიზეზი და შედეგი შეიძლება ერთი ან სხვადასხვა წინადადების საზღვრებში იყოს გამოხატული.

როგორც ვხედავთ, წარსულ დროს რეზულტატური ფუნქციის გადმოცემისას ქართულ ენაში II თურმეობითის მწკრივი შეესაბამება. II თურმეობითი ამ მნიშვნელობით გამოხატავს მოქმედებას, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო ღერძის უარყოფით ვექტორზეა მოთავსებული და ამ ღერძის ათვლის წერტილთან არ არის გათიშული. სემა “მოქმედების უნახაობა” აღნიშნავს, რომ მთხრობელი არ იყო მონაწილე მომხდარი მოქმედებისა, მის შესახებ მან მხოლოდ სხვისგან გაიგო. II თურმეობითის შესატყვისი გრამატიკული ფორმა ინგლისურში Aარ არის. ამ მიზნით გამოიყენება რთული კონსტრუქციები to appear, to turn out, they say, it's generally known,

რაც ხელს უწყობს დამოკიდებულ წინადადებაში გამოყენებულ წარსული პერფექტისათვის კომპოზიციური დატვირთვის მინიჭებას.

რეზულტატური ფუნქცია წარსული პერფექტ-განგრძობითი დროის ფორმითაც გადმოიცემა. ფორმის კომპოზიციურ-სტილისტური პოტენციალი მოცემულ შემთხვევაში შემდეგნაირია:

1. დროის შექცევადობის გამოხატვა.
2. რეტროსპექტულობის გადმოცემა.
3. რეზულტატურობის ჩვენება.
4. მოქმედებათა დროითი მოწესრიგებულობის დარღვევა.
5. ემფაზის გამოსახვა.
6. დროითი მწკრივის ერთგანზომილება/მრავალგანზომილების შექმნა.

მაგალითად:

216. That had been an accident too. She **had been acting** for a long time without a rest and she badly needed one. The play she was in was ceasing to attract and they were about to start rehearsing a new one when Michael got the chance of letting the theatre to a French company for six weeks. (W.S. Maugham, Theatre)

217. ბაჩანა ბევრჯერ დაკიდებულა ღერძზე ბავშვობაში თავდაყირა, ფიზკულტურის მასწავლებლის აღტაცებაცა და მოწონებაც დაუმსახურებია, მაგრამ ახლა რომ გაიხსენა, მაინდამაინც დიდ სიამოვნებას ასე თავდაყირა ყოფნა არასოდეს არ ანიჭებდა. (ნ. დუმბაძე, მარადისობის კანონი)

218. გადიოდა დღეები და კვირეები. წამლები და ახალგაზრდა ჯანსაღი სხეული თავისას აკეთებდნენ. მეფე ძალ-ღონის მომატებას და ენერგიის მობრუნებას გრძნობდა. (გ. აბაშიძე, ლაშარელა)

219. არჩილი და კესოც გამოსულიყვნენ სახლიდამ, ჩასულიყვნენ სათივესთან, იქ ერთს უშველებელ კუნძუდ ჩამომსხდარიყვნენ და უცქეროდნენ მუშებს, რომელნიც თივასა სდგამდნენ. (ი. ჭავჭავაძე, ოთარაანთ ქვრივი)


რეზულტატური ფუნქცია აღნიშნული მოქმედების შედეგის რეალიზებას ითვალისწინებს. ქართულ ენაში წარსულ პერფექტ განგრძობითს ამ მნიშვნელობით ასპექტ-დროის ორი მწკრივი – უწყვეტელი და II თურმეობითი შეესაბამება.

ამგვარად, რეზულტატური ფუნქცია ინგლისურ ენაში წარსული დროის ორი

ფორმით _ წარსული პერფექტით (Past Perfect) და წარსული პერფექტ-განგრძობით (Past Perfect Cont.) გადმოიცემა. ქართულ ენასაც ამ ფუნქციის რეალიზებისათვის ასპექტ-დროის ორი მწკრივი _ უწყვეტელი და II თურმეობითი _ მოეპოვება. აღნიშნული ფუნქცია ორივე ენაში “იმპლიცირებული მდგომარეობის” როგორც განსაზღვრული მდგომარეობის შედეგის აუცილებელ რეალიზებას მოითხოვს.

სქემა 17

რეზულტატური ფუნქციის გადმოცემის საშუალებები ინგლისურსა და ქართულ ენებში



3.3.5 რეტროსპექტული ფუნქცია. რეტროსპექტულობა წარსული დროის კიდევ ერთი კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციაა. მისი დანიშნულება განსაკუთრებული ასოციაციების შექმნასა და დროის შექცევადობის გამოხატვაში მდგომარეობს. ამ ფუნქციის გადმოცემა ინგლისურ ენაში ხორციელდება წარსული პერფექტი და წარსული პერფექტ-განგრძობითი დროის ფორმებით.

წარსული პერფექტის კომპოზიციურ-სტილისტური პოტენციალი რეტროსპექტული ფუნქციის გადმოცემისას შემდეგნაირია:

1. დროის შექცევადობის გამოხატვა.
2. რეტროსპექტულობის გამოხატვა (რემინისცენციების გამოხატვა).
3. დამატებითი დროის შექმნა.
4. ესთეტიკური სინამდვილის სამყაროს ერთეულობა/სიმრავლის გამოხატვა.

მაგალითად:

220. Mildred was not a figure to pity. Mildred whom Hugh **had passionately kissed** once, he **remembered**, on a summer evening over twenty-five years ago, when they were both already sensible middle-aged married people. He wondered whether she still recalled that curious incident. (I. Murdoch, An Unofficial Rose)

221. შორენას მიწისფერმა გადაჰკრა ამის გამგონეს, სავსებით ჩაეფერფლა თვალები. მოაგონდა: მართლაც რომ **დაეკარგა** საწმერთული ხობხისყელისფერი ამ ორი კვირის წინად. მცირე ხანს გატვრინული იჯდა, მერმე წამოდგა, მთვარეულივით წაბარბაცდა ქარაფისაკენ. (ვ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა)

222. Once in camp I **had put** a log on top of the fire and it was full of ants. As it commenced to burn, the ants swarmed out and went first toward the centre where the fire was; then turned back and ran toward the end. When they were enough on the end they **had fallen off** into the fire. Some got out, their bodies burnt and flattened, and went off not knowing where they were going. But most of them went toward the fire and then back toward the end and swarmed on the cool end and finally fell off into the fire. I **remembered** that it was the end of the world and a splendid chance to be a messiah and lift the log off the fire and throw it out where the ants could get off onto the ground. (E. Hemingway, A Farewell to Arms)

223. იქვე მოკეცილ დედაკაცებს მოუბრუნდა _ ხატობაში **დავენახე** სულ პირველად, ჩემი ატლასურ-ნარინჯისფერი კაბის შემხედვარე **გაგაყებულიყო!**.. შიოლასავით არავინ არ გამოსულა, _ განაგრძობდა ფუფალა, _ მასავით ქამანდარი სროლაში, მასავით ტკბილი მღერაში... რა თვალადი, რა ტანადი, ბოჭორმის წმინდა გიორგი გეგონებოდა. (გ. ლეონიძე, ნატვრის ხე)

224. News came that Ashley was missing. He **had been missing** for three days, after going on a five-man search to discover where the Yankee army were preparing to fight their next battle. A shocked Scarlett was certain that God was punishing her for loving a married man.

Melanie's face was white and frightened, like a child lost in the dark. (M. Mitchell, *Gone With the Wind*)

225. ყველას ახსოვდა, რომ რევაზ ვაჩნაძემ თავდაპირველად ასეთი სისულელით ისახელა თავი: მას ჟამსა შინა ნიკოლოზ მეორე, ჯერ კიდევ ტახტის მემკვიდრე, საქართველოში მოგზაურობდა... გველეთის ზეგანზე მდებარე ტყეები გაჰყიდა რევაზმა, ამ ფულით ნოხები და ფარდაგები შეიძინა და რამდენიმე კილომეტრის მანძილზე დააგო თემშარაზე. (ვ. გამსახურდია, ვაზის ყვავილობა)

226. ალაზნის პირად, ამ რვა ნამუხართა შორის იდგა ერთადერთი ბერმუხა, ლალი და ამაყი, როგორც ომგადახდილი ძველი რაინდი. ხავსმოდებული, დაგრაგნილი შტოები გაეშვირა ზეცის ოთხივე კიდისაკენ. იდგა თვალსაჩინოდ და შეუდრეკელად, თითქოს ამაყობსო კიდევაც იმით, საქართველოს აურაცხელ მტრების შემოსევას რომ გადაურჩა, ამდენსავე მეხთატეხასა და გრიგალებს. (იქვე)

წარსულზე თვალის გადავლებას, წარსულის გახსენებას შემოჰყავს თხრობაში მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ იმ დროით გეგმამდე, რომელშიც იშლება მოქმედება. მყარდება გარკვეული კავშირები, ასოციაციები. თხრობა თითქოს ნახტომს აკეთებს უკან, წარსულისკენ. წარსული პერფექტი არა მარტო არღვევს თხრობის დინებას, არამედ გვევლინება ახალ დროით სიბრტყესთან მაკავშირებელ სიგნალად.

რეტროსპექტულობის გამომხატველ მაგალითებში ძირითადად ვხვდებით ისეთ ზმნებს, რომელთა სემანტიკაში ჩადებულია ინფორმაცია მრავალდროული მიმართულების მოვლენების შესახებ. ასეთია მაგალითად ზმნა _ remember (220-ე და 222-ე მაგალითები).


რეტროსპექტულობა გადმოიცემა წარსული პერფექტ-განგრძობითი დროის ფორმითაც. ამ ფორმით გამოხატულ მოქმედებებს ახასიათებს წარსული დროის ღერძის ვექტორული ნულის მიმართ კონტაქტური რეტროსპექტულობა. ეს ფუნქცია შეიძლება გააჩნდეს წარსული პერფექტ-განგრძობითის სხვადასხვა ვარიანტებს. აქედან, შესაძლებელია ურთიერთ გამომრიცხველი სემების რეალიზება _ “ცალსახობისა” და “ჯერადობის”, “დროში ლოკალიზებისა” და “დროში არალოკალიზების”.

ქართულ ენაში რეტროსპექტული ფუნქცია ასპექტ-დროის სამი მწკრივით რეალიზდება: წყვეტილი, უწყვეტელი და II თურმეობითი. რეტროსპექტული ფუნქციის რეალიზება როგორც ცნობილია, კონტექსტის მრავალმწვერვალიანობას უკავშირდება.

II თურმეობითი ფართოდ გამოიყენება ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში რეტროსპექტული ფუნქციით, ამის ფესვები გმირის შინაგანი სამყაროს რეკონსტრუქციისადმი ტენდენციაში უნდა ვეძებოთ, რამოდენიმე დროითი შრის შექმნაში რომლებიც ერთ უნიკალურ შენაღობში _ ადამიანის მეხსიერებაში ერთიანდება. პერსონაჟის შინაგანი სამყარო წარმოგვიდგება თავად მის გამოცდილებაში, და ეს ხდება რეტროსპექტული გზით.

რეტროსპექტული ფუნქცია ინგლისურ ენაში წარსული დროის ორი ფორმით: წარსული პერფექტით (Past Perfect) და წარსული პერფექტ-განგრძობითით (Past Perfect Cont.) გადმოიცემა. ქართულ ენაში კი იგივე ფუნქცია ასპექტ-დროის სამი მწკრივით რეალიზდება. ესენია: წყვეტილი, უწყვეტელი და II თურმეობითი. ეს უკანასკნელი წარმოგვიდგენს ისეთ მოქმედებას, რომელიც წარსულში მომხდარი სხვა მოქმედების წინამავალია.

რეტროსპექტული ფუნქციის გადმოცემის საშუალებები ინგლისურსა და ქართულ ენებში



წარსული დროის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტების შეპირისპირების
სქემა ინგლისურ და ქართულ ენებში

ამგვარად, ჩატარებულ შეპირისპირებით ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ განხილული კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციები ის ვარიანტული მაჩვენებლებია, რომლებიც ორივე ენას მოეპოვება. ასეთი ფუნქციურ-სისტემობრივი შეპირისპირება ქმნის ერთი და იგივე ენობრივი მოვლენის სხვადასხვაგვარი ქცევის დადგენის საფუძველს ინგლისურსა და ქართულ ენებში და იძლევა ორგვარ შედეგს: ერთის მხრივ, თვალსაჩინო ხდება ის საერთო მახასიათებლები, რაც კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციებს გააჩნია ამ ენებში. კერძოდ, მათი უნარი ჩაერთონ თხრობის ორგანიზებაში და სტილისტური შეფერილობა შესძინონ მას. მეორეს მხრივ, წარმოჩინდება ენათა სტრუქტურული განსხვავება მოცემულ ფუნქციათა რეალიზების ენობრივი საშუალებების თვალსაზრისით, ამასთან, ვლინდება ენათა სპეციფიკა და ყურადღება ექცევა თვით ქართული ენის შიგნით შესასწავლი მოვლენის ბევრ ახალ, მანამდე უცნობ ან გაუთვალისწინებელ მხარეს. შესაძლო ენობრივი ვარიანტებიდან შეირჩევა ის ფორმები, რომლებიც ამა თუ იმ ფუნქციას გადმოცემენ. თითოეული მხატვრული აღწერა განუმეორებელია მისთვის საგანგებოდ შერჩეულ და გამოყენებულ გრამატიკულ ფორმებთან ერთად.

დასკვნა

ენათა შესაპირისპირება აზრობრივ მიმართებათა თვალსაზრისით ეფუძნება მათი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიების შესწავლას. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ის ზოგადი მნიშვნელობებია, რომლებსაც შესაპირისპირებელ ენებში ესა თუ ის გამოხატულება აქვთ. ჩვენ ვიკვლევთ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიებს იმდენად, რამდენადაც მათი გამოხატვა ფორმალური გრამატიკული კატეგორიებით ხდება.

ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია გამოხატულების პლანისა და შინაარსის პლანის რთული ერთიანობაა. გამოხატულების პლანს ქმნის ენობრივი საშუალებები, რომლებიც ენის სხვადასხვა დონეს განეკუთვნება – მორფოლოგიურს, სინტაქსურს, ლექსიკურს, კონტექსტში კი ენობრივ ერთეულთა სხვადასხვა კომბინაციებს ქმნის.

ფუნქციურმა მიდგომამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, ერთი და იგივე ენობრივი მოვლენის ფუნქციობის სხვადასხვა საშუალება შესაპირისპირებელ ენებში. ეს კი აღსაწერი ენების სტრუქტურულ თავისებურებათა ანალიზის საშუალებას იძლევა.

შესაპირისპირებელ ენებში ზმნურ სისტემათა სხვაობის ერთ-ერთი მიზეზია ამ ენათა განსხვავებული მორფოლოგიური აგებულება. ქართული ენის აგებულება ცნობილია როგორც სინთეზური, ინგლისურისა როგორც ანალიზური. ინგლისური ენა ზმნის სფეროში საკმაოდ მაღალი ხარისხის ანალიტიზმით ხასიათდება, თუმცა ფლექსიურ ფორმათა ხმარებაც ახასიათებს. ქართულ ენაში ზმნისთვის ფლექსიათა ფართო გამოყენებაა დამახასიათებელი. თუმცა ზოგჯერ აღნიშნულ ენაში ანალიტიკურ კონსტრუქციებსაც ვხვდებით. ამიტომაც, რომ შესაპირისპირებელ ენებში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეინიშნება როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული თვისებები.

ჩატარებული კვლევა თვალსაჩინოს ხდის რაოდენ მნიშვნელოვანია შეპირისპირებით-ტიპოლოგიური მეთოდის როლი ენობრივი უნივერსალების გამოვლენის, ენათა შორის მსგავსება-განსხვავების დადგენის საქმეში. კონკრეტული ანალიზისას უნდა ამოვიდეთ ცნებათა სისტემიდან, რომელიც თავის მხრივ გამოხატულებას ენაში პოულობს. ასე წარმოიშვა კვლევის მიმართულება შინაარსიდან ფორმისაკენ. ეს პრინციპი დაედო საფუძვლად ჩვენს ნაშრომში წარსული დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის და მისი კომპოზიციურ-სტილისტური შინაარსის შესწავლას.

ორივე ენაში ერთია დროის გრამატიკული კატეგორიის არსი _ მოქმედების საუბრის მომენტთან მიმართების გამოხატვა. განსხვავებულია გამოხატულების საშუალებები და დროთა ფორმების სემანტიკა.

თანამედროვე ინგლისურ ენაში დროთა მიმართების გრამატიკული კატეგორია ორი კატეგორიული ფორმის _ წინამავლობისა და ერთდროულობის _ დაპირისპირებას ეყრდნობა, რომლებიც გრამატიკულ ფორმათა ოპოზიციას არაპერფექტი/პერფექტის სახით ხორციელდება ენაში. დროთა მიმართებას ინგლისურ ენაში და დროთა თანამდევრობას ქართულში მიუხედავად დიდი განსხვავებისა, მსგავსი ელემენტებიც აქვს. ასე მაგალითად წარსული დროის ფარგლებში ქართული ენა, ინგლისურის მსგავსად განსხვავებს მოქმედებას, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ერთდროულია (მარტივი წარსული, წყვეტილი) და მოქმედებას, რომელიც ამ ვექტორული ნულის წინამავალია _ (წარსული პერფექტი, II თურმეობითი). მაშასადამე, ორივე ენა განსაზღვრულ ერთგვაროვნებას ამჟღავნებს ანტერიორობის გამოხატვისას, რომელიც ორივეგან გრამატიკულად, ე.ი. თვით ზმნის ფორმით გადმოიცემა. ასევე თანხვედრილია წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტური ფუნქციების მნიშვნელობა ორ კონკრეტულ ენაში. როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში ხორციელდება თხრობითი, აღწერილობითი, დრამატული, რეზულტატური და რეტროსპექტული ფუნქციები, თუმცა აღსანიშნავია მათი განსხვავებული რეალიზება შესაპირისპირებელ ენებში.


ამრიგად, ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს ჩამოვაცალიბოთ შემდეგი თეორიული განზოგადებანი:

1. ფუნქციური მიდგომის გამოყენება, რომელიც წარსული დროის ფორმათა მნიშვნელობათა აზრობრივ ანალიზთანაა დაკავშირებული, ხელს უწყობს მოცემულ ფორმათა მრავალმნიშვნელობის გამოვლენას. წარსული დროის პარადიგმული მნიშვნელობაა _ საუბრის მომენტთან მოქმედების არაერთდროულობა, მისი დროის ისეთი პერიოდისათვის განკუთვნიება, რომელიც უკვე მომხდარია.. წარსული დრო ძლიერი გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც უფრო ნათლადაა გამოკვეთილი, ვიდრე არაწარსული. აღნიშნული დროის სფეროში უფრო ნათლად ვლინდება ენის სისტემის მიდრეკილება, რომ ობიექტური სინამდვილის პროცესების მკაფიო დროითი ლოკალიზაცია მოახდინოს.

2. ინგლისურ ენაში წარსული დროის კატეგორიული ფორმა ასპექტ-დროის ოთხი ფორმით რეალიზდება: Simple Past, Past Continuous, Past Perfect, Past Perfect Continuous. ქართულ ენაში კი წარსული დრო ხუთი მწკრივის საშუალებით გადმოიცემა: უწყვეტელი, წყვეტილი (სრული და უსრული ასპექტი), ხოლმეობითი, I თურმეობითი და II თურმეობითი. ინგლისური და ქართული ენების წარსული დროის კატეგორიული ფორმა სქემატურად შეგვიძლია წარმოვადგინოთ ასე:

სქემა 20

ინგლისური და ქართული ენების წარსული დროის კატეგორიული ფორმის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები



3. ორივე ენაში წარსული დროის კატეგორიული ფორმა მიუხედავად რაოდენობრივი განსხვავებისა მაღალი სემანტიკური პოტენციალის მქონეა და დიდ ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს. აქ პირველყოვლისა, აღსანიშნავია წინამავლობის ნიშანი, რომელიც ინგლისურსა და ქართულ ენებში გრამატიკულადაა გამოხატული. ქართულ ენაში წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობის გადმოსაცემად ძირითადად გამოიყენება II თურმეობითი. თუმცა საკმაოდ ხშირი მოვლენაა წყვეტილის (სრული ასპექტი) სინონიმური გამოყენება ამ მნიშვნელობით. წყვეტილის მწკრივი, ისე როგორც მარტივი წარსული ინგლისურ ენაში, საკმაოდ ხშირად გამოიყენება წინამავლობის ნიშნის გადმოსაცემად. ამგვარად, ინგლისურშიც და ქართულშიც შეინიშნება მნიშვნელობათა სიჭარბე წარსულში წინამავლობის ნიშნის გადმოცემისას, რაც ინგლისურ ენაში მარტივი წარსულისა და წარსული პერფექტის, ქართულში კი წყვეტილისა და II თურმეობითის სინონიმური გამოყენებითაა განპირობებული.

4. წარსული დროის სემანტიკაში ძირითადი განსხვავება ამ ორ შესაპირისპირებელ ენაში ვლინდება მრავალგზისობისა და უნახავი აქტის გამოხატულების პლანში. ქართულ ენაში მრავალგზისი მოქმედების გამოსახატავად ენას მოეპოვება სპეციალური გრამატიკული ფორმა – ხოლმეობითის მწკრივი, ინგლისურში კი არ არის ზმნის გრამატიკული ფორმა, რომელიც ლექსიკური აქტუალიზატორების გარეშე გამოხატავდა მრავალგზის მოქმედებას. განმეორებადი მოქმედების გამოსახატავად ინგლისური ენა იყენებს ზმნის ფორმას, რომელიც უნდა შეეხამოს რომელიმე სიტყვას, რომელიც განმეორებად, ციკლურ მნიშვნელობაზე მიუთითებს, ან კიდევ ეს მნიშვნელობა შეიძლება გადმოიცეს კონტექსტის სხვადასხვა საშუალებით. ინგლისურ ენაში განმეორებადი, რეგულარულად მომხდარი მოქმედების გამოსახატავად არის სპეციალური კონსტრუქცია used to + ინფინიტივი და would + ინფინიტივი.

5. მეორე მნიშვნელობა _ უნახაობა ქართულ ენაში I და II თურმეობითის მწკრივების ერთ-ერთი ვარიანტული მნიშვნელობათაგანია. ინგლისურში კი სემა “მოქმედების უნახაობა” არ გადმოიცემა ზმნის სპეციალური ფორმით. ამისათვის გამოიყენება რთული კონსტრუქციები ზმნით to say პასივში და to appear, to turn out და ა.შ. მთავარ წინადადებაში, როცა დამოკიდებულ წინადადებაში პერფექტის ფორმებია წარმოდგენილი. ამგვარად, იმ ფაქტს, რომ ინგლისურ ენაში უნახაობის აქტის კატეგორია არ არის, ლექსიკური საშუალებების გამოყენების აუცილებლობამდე მივყავართ, რაც ამ ენისათვის ჩვეულებრივი და მისაღებია.

6. ენათა შორის განსხვავება ასევე ნათლად იჩენს თავს პროსპექტული წარსული განგრძობითის რეალიზაციისას. პროსპექტულობის მნიშვნელობა ინგლისურ ენაში წარსული განგრძობითის ფორმით გადმოიცემა. ეს ინგლისური ენის სისტემის თავისებურებითაა განპირობებული, სადაც დროთა შეთანხმების მკაცრი პრინციპი მოქმედებს. ქართული ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად იყენებს მყოფადისა და აწმყოს მწკრივებს.

7. წარსული დროის სემანტიკის შეპირისპირებითი (კონტრასტული) ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში საშუალებას იძლევა ვისაუბროთ წარსულის ფუნქციათა ერთიანობაზე ამ ორ სხვადასხვა სისტემის ენაში. ფუნქციათა ეს ერთიანობა წარსულის ფორმათა სემანტიკური პოტენციალის სიახლოვეს ასახავს ორივე ენაში და წარსული დროის კატეგორიულ ფორმათა უნივერსალურ თვისებებზე მიუთითებს.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

1. არაბული, ა. ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის. ჟურნალი “მაცნე”, თბილისი, '4, 1992.
2. ბაბუნაშვილი, ე. II თურმეობითის სემანტიკასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხისათვის ქართულში. საენათმეცნიერო ძიებანი, თბილისი, ტ.IV, 1995.
3. გოგოლაშვილი, გ. შერეული პარადიგმები ნამყო ძირითადის წარმოებაში. ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1978.
4. ზურაბიშვილი, თ. მრავალგზისობის საკითხი თანამედროვე ქართულში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბილისი, XL:2, 1965.
5. თოფურია, ვ. ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბილისი, ტ.7, 1955.
6. კვაჭაძე, ლ. ქართული ენა, მორფოლოგია, თბილისი, 1969.
7. - - - თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: განათლება, 1966
8. მეგრელიშვილი, მ. ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში. თბილისი, 1986.
9. ნათაძე, ნ. მესამე სერიის დრო-ვილოთა წარმოებისათვის ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბილისი, ტ.7, 1955.

10. ფეიქრიშვილი, ჟ. მესამე სერიის მწკრივები ახალ სალიტერატურო ქართულში, თბილისი, 2007.
11. - - - თურმეობითის მნიშვნელობა და გამოყენება ახალ ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურული საკითხები, თბილისი, 1974.
12. ქავთარაძე, ი. დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბილისი, ტ.7. 1955.
13. - - - უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. თბილისი, ტ.8, 1956.
14. ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურული საკითხები, თბილისი, II, 1961.
15. შანიძე, ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.
16. ჩიქობავა, ა. პერმანსივი (“ხოლმეობითის”) ისტორიის ადგილისათვის ქართული ზმნის უღლების სისტემაში, საქ. მეცნიერებათა აკად. მოამბე, ტ.4, ¹, 1943.
17. - - - ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952.
18. - - - თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება უღვლილების სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით ქართულში. ლიტერატურული ძიებანი, თბილისი, ტ. 2, 1944.
19. - - - ქართული ზმნის ნაკვეთელთა დაჯგუფების პრინციპისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XII, 1962.
20. ძიძიგური, შ. ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია. თბილისი, 1956.
21. ჯანაშვილი, მ. ქართული ენის გრამატიკა, ტფ. 4, 1906.
22. ჯორბენაძე, ბ. ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი, 1975.
23. - - - ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი, 1980.
24. ფხაკაძე, დ. I თურმეობითის ფუნქციები ქართულში. ქართული ენის სტრუქტურული საკითხები, თბილისი, ტ.9, 1974.
25. Allen, R.L. The Verb System of Present-day American English. The Hague, 1966.
26. - - - Living English Structure. London, 1955.

27. Anderson, J. An Essay Concerning Aspect. The Hague: Paris: Mouton, 1966.
28. Bailey, ch-J N. Variation and Linguistic Theory, center for Applied Linguistics, Arlington, 1972.
29. Baker, C.L. English Syntax. London: The MIT Press, 1989.
30. Balmer, T. Logical Grammar. Amsterdam: North Holland, 1978.
31. Bernard, G. Chronotypes and Formal Representation of Past Tenses. Research report to the Laboratoire de linguistique formelle, UA 1028, Universite Paris 7. [gb@univ-paris8.unparis8.fr].
32. Blokh, M.Y. A Course in Theoretical English Grammar, 1983.
33. Bloomfield, L. Language. New York, Holt, 1993.
34. Bull, W.E. Time, Tense and the Verb. A Study in Theoretical Linguistics with particular Attention to Spanish. Los Angeles: University of California Press, vol. 19, 1960.
35. Brinton, Laurel J. The Development of English Aspectual Systems. Cambridge: Cambridge University Press, 1988. [<http://www.eng.sagepub.com/cgi/content/refs/36/1/88>].
36. Bryan, W.F. The Preterite and the Perfect Tense in Present-Day English, Journal of English and Germanic Philology, 1936.
37. Bybee, Joan L., Revere Perkins and William Pagliuca. The Evolution of Grammar: Tense, Aspect and Modality in the languages of the World. University of Chicago Press, 1994 [<http://www.books.google.ge> =0226086658]
38. Clifford, J.F. Tense and Tens Logic. The Hague: Paris: Mouton, 1975.
39. Comrie, B. An Introduction to the study of Verbal Aspect and related problems. Cambridge: New York: Cambridge University Press. [<http://www.amazon.com>]
- 40.- - - Aspect, Cambridge University, 1976.
- 41.- - - Language Universal and Linguistic Typology, Cambridge: Cambridge University Press, 1976.
- 42.- - - Tense, Cambridge: Cambridge University Press, 1985.
43. Charleston, B.M. A Reconsideration of the Problem of Time, Tense and Aspect in Modern English, English Studies, 1955.
44. Crystal, D. Specification and English Tenses, Journal of Linguistics, 1966.
- 45.- - - Investigating English Style. London: Longman, 1969.

46. Davidson, D&Harman, G. The Logic of Grammar. Encino, California: Dickenson, 1975.
47. Denis, L. The Progressive Tense. Frequency of its use in English. Publications of Modern English Associations of America, vol.4, 1940.
48. Diver, W. The Chronological System of the English Verb, 1963.
49. - - - The Model System of the English Verb, 1964.
50. Dowty, D.R. Studies in the Logic of Verb Aspect and Time Reference in English. (Studies in Linguistics) Department of Linguistics. University of Texas at Austin, 1972.
51. Forsyth, J. A Grammar of Aspect: Usage and Meaning in the Russian Verb, Cambridge Univ. 1970.
52. Fraser, J.T. The Voices of Time. London: Lane, 1968.
53. Gale, R.M. The Philosophy of Time. London: Macmillan, 1968.
54. Gelden, E. Structure of Tense and Aspect. Arizona State University, 2002.
55. Green, M. Semantics and Syntactic Regularity, New York, 1974.
56. Greenbaum, S. Verb-Intensifier Collocations in English. The Hague: Mouton, 1970.
57. Hill, A.A. Introduction to Linguistic Structures. New York: Harcourt, Brace and Co, 1958.
58. Hirtle, W.H. The Simple and Progressive Forms: An Analytical Approach. Quebec: Presses de l'Universite Laval, 1967.
59. Jepsen, O. Essentials of English Grammar. London, 1943.
60. - - - The Philosophy of Grammar. London: Allen&Unwin, 1929.
61. - - - Negation in English and other languages. London and Tokyo, 1962.
62. - - - A Modern English Grammar on Historical Principles, London: Part IV, 1931.
63. Johnson, O.E. Tense Significance, as the Time of Action. Lang. diss. Philadelphia, #21, 1936.
64. Joos, M. The English Verb. Madison & Milwaukee: University of Wisconsin Press, 1964.
65. Lakoff, R. Tense and its relations to participant, 1970.
66. Leech, G. Svartvik J. A Communicative Grammar of English. London: Longman, 1975. [[http:// www.ebooksx.com](http://www.ebooksx.com)].
67. - - - English Grammar and Usage. London: Eduard Arnold, 1989.
68. - - - Towards a Semantic Description of English. London: Arnold, 1964.

- 69.- - - Meaning and the English Verb. London. Longman Group Limited, 1971.
70. Lees, R.B. The Grammar of English Nominalizations. (Publications of the Indiana University Research Center in Anthropology, Folklore&Linguistics). Bloomington, Indiana University & The Hague: Houton, 1962.
- 71.Lyons, S.J. Semantics. London: New York: Melbourne, vol.II, 1977.
- 72.Martinet, A. Grammatical Functions. In: Functions and Context in Linguistic Analysis, 1979.
73. McCawley, J.D. The Role of Semantics in a Grammar. In Bach & Harms, 1968.
74. - - - Grammatical Meaning. Tokyo: Taishukan, 1973.
75. Mead, H., Stevenson, J. The Essentials of Grammar. New York:Longman, 1966.
- 76.Michaelis, L.A. Aspectual Grammar and Past Time Reference. Routledge, London,1998.
- 77.Newmeyer, F.J. English Aspectual Verbs. The Hague, Paris: Mouton, 1975.
- 78.Nickel, G. Contrastive Linguistics and Foreign Language Teaching. In: Papers in Contrastive Linguistics, ed. by G. Nickel. [<http://www.alibris.com>].
- 79.Palmer, F.R. A Linguistic Study of the English Verb. London: Longmans, 1965.
- 80.- - - A Grammar of spoken English. 3rd ed. Rev. and Rewritten by K,Kingdom, Cambridge, 1969.
- 81.- - - The English Verb. London: Longman, 1974.
- 82.- - - Semantics. A New Outline. Cambridge-London-New York-Melburne, 1971.
83. Quirk, R. A Grammar of Contemporary English. London: Longman, 1968.
84. - - - A Comprehensive Grammar of the English Language. London and New York:Longman, 1985.
- 85.Roberts, P. Understanding Grammar. New York, 1954.
- 86.- - - Modern Grammar. New York, 1968.
- 87.Reichbenbach, H. The Philosophy of Space and Time. New York, 1958.
- 88.Smith, C.S. Tense and Aspect, University of Texas, Austin, Texas, USA, 1992.
- 89.Sweet, H. A New English Grammar, Logical and Historical. vol. I. Oxford, 1982.
- 90.Taylor, B. Tense and Continuity. Linguistics and Philosophy, 1971.
- 91.Thompson, G. Introductory Functional Grammar. London, Arnold, 1996.

92. William C.E. Meaning Reference and Tense. In: Analysis, vol.36, #3, 1976.
93. Бархударов, Л.С. Русско-английские языковые параллели.- Рус. яз. зарубежном, №2, 1973.
- 94.- - - Грамматика Английского языка. М. Высшая школа, 1973.
95. Бондарко А.В. По поводу теории синтаксического индикатива и релятива. Л. 1961.
- 96.- - - проблеме функционально семантических категорий. Вопросы языкознания, №2, 1967.
- 97.- - - Грамматическая категория и контекст. Л. Наука, 1971.
- 98.- - - Понятийные категории и языковые семантические функции в грамматика – М. Наука, 1974.
- 99.- - - Теория морфологических категорий. Л. Наука, 1976.
- 100.- - - Грамматическое значение и смысл. Л. Наука, 1976.
101. Вудагов Р.А. Сравнительно-семасиологические исследования. Моск. 1963.
102. Венгеров Г.И. Выражение повторности действия в прошлом посредством сочетания would с инфинитивом и used to с инфинитивом. Моск. 1963.
103. Иванова И. П. Вид и время в современном английском языке Л. 1961.
104. Исаченко А.В. О грамматическом значении. Вопросы языкознания, №1 1961.
105. Лайонз Дж. Введение В теоретическую лингвистику. М. Прогресс, 1972.
106. Махароблидзе Г.А. Проблема сопоставительное-типологического анализа неродственных языков. Тбилиси: Месниереба, 1970.
107. Милейковская Г.М. О соотношении объективного и грамматического времени. Вопросы языкознания, №5, 1966.
108. Мостепаненко А.М. Проблема универсальности основах свойств пространства и времени, Л. Наука, 1969.
109. Миркин В. Я. Типы контекстом. Коммуникативный контекст, №1, 1978.
110. Смирницкий А.И. Об особенностях обозначения направления движения в отдельных языках. Иностр. яз. в школе, №2, 1953.
- 111.- - - Перфект и категория временной отнесенности. Иностр. яз. в школе, №1, 1955.
- 112.- - - Морфология английского языка. М. 1959.

113. Солнцев В.М. Язык как системо-структурное образование. М. Наука, 1977.
114. Степанов Ю.С. Методы и принципы современной лингвистики. М. Наука, 1975.
115. Ярцева В.Н. Структурно-типологическое описание современных германских языков. М. Наука, 1966.
116. Тураева З.Я. Категория времени. Время грамматическое и время художественное М. Высшая школа, 1979.
117. Чикобава А.С. Сопоставительное изучение языков как метод исследования и как метод обучения. М. №6. 1957.
118. Якобсон Г.К. К теоретическому обоснованию сопоставительного описания языков. М. №6, 1979.
119. Ярцева В.Н. Взаимоотношение грамматики и лексики в системе языка. Л. Наука, 1961.
120. - - - Принципы типологического исследования родственных и неродственных языков. М. Наука, 1967.
121. - - - Типология языков и проблема универсалии. М. №2, 1976.
122. - - - Контрастивная грамматика. М. Наука, 1981.

გამოყენებული მხატვრული ლიტერატურა

1. ამირეჯიბი, ჭ. დათა თუთაშხია. თბილისი: მერანი, 1973. (ჭ.ა.)
2. გოთუა, ლ. გმირთა ვარამი. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1960. (ლ.გ.)
3. გოთუა, ლ. წისლი ნახატარის ტყეში. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1981.
4. გოთუა, ლ. ლეკვი ლომისა. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1981.
5. გამსახურდია, ვ. დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1976.
6. გამსახურდია, ვ. დიონისეს ღიმილი, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1976.
7. გამსახურდია, ვ. მთვარის მოტაცება. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1976.
8. დოჩანაშვილი, გ. სამოსელი პირველი. თბილისი: მერანი, 1975. (გ.დ.)
9. დუმბაძე, ნ. მარადისობის კანონი. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1978.
10. დუმბაძე, ნ. მე, ბებია, ილიკო და ილარიონი. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1966. (ნ.დ.)

11. კლდიაშვილი, დ. ქამუშაძის გაქირვება. თბილისი, 1952. (დ.კ.)
12. ლეონიძე, გ. ნატვრის ხე. თბილისი: მერანი, 1990.
13. ჭილაძე, ო. გზაზე ერთი კაცი მიდიოდა. თბილისი: მერანი, 1985.
14. ჯავახიშვილი, მ. თეთრი საყელო. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1985.
15. ჯავახიშვილი, მ. რჩეული თხზულებანი. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1958.
16. ჭავჭავაძე, ი. მოთხრობები. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1974.
17. Anderson, Sh. Hands. Moscow, 1981
18. Baldwin, J. Sonny's Blues. Moscow, 1981.
19. Bradbury, R. The Rocket Man. Moscow, 1971.
20. Dreiser, TH. An American Tragedy. Moscow, 1960.
21. Fowles, J. The French Lieutenant's Woman. New York, 1970.
22. Golding, J.W. The Lord of the Flies. Moscow, 1960.
23. Hardy, Th. Far From the Madding Crowd. Oxford Bookworms, 1992.
24. Hardy, Th. Tess of the D'Urbervilles. Penguin Books, 1989.
25. Hemingway, E. A Farewell to Arms. Moscow, 1961.
26. Hemingway, E. For Whom the Bell Tolls. Moscow, 1965.
27. Lawrence, D. Lady Chatterley's Lover. Penguin Books, 1993.
28. Maugham, W.S. Theatre. Moscow, 1998.
29. Mitchell, M. Gone with the Wind. Moscow, 1954.
30. Salinger, J.D. The Catcher in the Rye. Anthology, 2004.
31. Twain, M. The Adventures of Tom Sawyer. Moscow. Foreign Languages Publishing House, 1948.,
32. Updike, J. Tomorrow and Tomorrow and So Forth. Moscow, 1982.
33. Warren, R.P. A ll the King's Men. Progress, Moscow, 1979.
34. Wilde, O. Fairy Tales, Moscow, 1979.

სარჩევი

შესავალი

..... 3

თავი I. ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია

1.1.	ობიექტური	და	ინდივიდუალური	დრო	
.....					11
1.2	რეალური და მხატვრული დროის ურთიერთმიმართება			19
1.3.	კონცეპტუალური დრო და კონცეპტუალური სივრცე			34
1.4.	დროის	გრამატიკული		კატეგორია	
.....					39

თავი II. წარსული დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში

2.1.	წარსული დროის შინაარსის გადმოცემის საშუალებები ინგლისურ ენაში			
.....					45
2.2.	წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტური შინაარსის გადმოცემის საშუალებები		ინგლისურ	ენაში	
.....					67

თავი III. წარსული დროის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტებისა და კომპოზიციურ-სტილისტურ ფუნქციათა შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში

3.1. წარსული დროის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და მისი გადმოცემის საშუალებანი ქართულ ენაში
..... 89

3.2. წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტური შინაარსის გადმოცემის საშუალებათა შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში
..... 110

3.3. თხრობითი, აღწერილობითი, დრამატული და რეზულტატური ფუნქციების შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში
..... 125

დასკვნა

..... 149

ბიბლიოგრაფია

.....
154